# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 5 დეკემბერი, 2004 წელი. №282 (5011) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



◉ ასტროლოგია

## ვის მოუტანს ბედნიერებას ლურჯი მამლის წელიწადი?



აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, ლურჯი მაიმუნის წელს შეცვლის ლურჯი (ხის) მამლის წელი. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდება 2005 წლის 9 თებერვალს. მიმდინარე წელი, ისევე როგორც მომდევნო, იუპიტერის მფარველობით წარიმართება. რა გველის ჩვენ?

ქვეყანაში განმტკიცდება სახელმწიფო ხელისუფლება, კანონები უფრო მკაცრი და ქმედუნარიანი გახდება. მოსალოდნელია სენსაციური აღმოჩენები ფუნდამენტურ მეცნიერებათა სფეროში. ბუნებრივი კატაკლიზმების, ეკოლოგიური და სატრანსპორტო კატასტროფების, ტერორისტული აქტების საშიშროება გაიზრდება 2005 წლის 17 ივლისიდან. დაძაბული პერიოდი აგვისტოს შუა რიცხვებამდე გასტანს. განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს აგრეთვე, სექტემბრის მეორე დეკადიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში. შემოდგომის ბოლო თვეებში და ზამთრის დამდეგს პლანეტათა განლაგება უფრო ხელსაყრელი იქნება.

ეს ჩინებული წელიწადია ქორწინებებისა და ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის. ასე რომ, მარტოხელა ადამიანებს აქვთ ყველა შანსი იმისთვის, რომ იპოვონ გულის სწორი, ხოლო იმათ კი, ვინც ასეთი უკვე ნახა, — დააკანონონ თავიანთი ურთიერთობა. ნუ შეგეშინდებათ პირველი ნაბიჯის გადადგმისა — თქვენ გაგებით შეგხვდებიან!

## ნომერში წაიკითხავთ:

### გენერალ პეტრე ბაგრატიონის პირველი და უკანასკნელი მარცხი



ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში ბოროდინოს ველზე მიღებული ჭრილობებით პეტრე ბაგრატიონი გარდაიცვალა. ამის შემდეგ მისი ეკონომიკურად გაძლიერებული „ქვრივი“ ეკატერინე პეტრეს ასული... აღვირახსნილი ცხოვრების მორევში გადაეშვა.

მე-3-7 გვ.

### „სახელის გატეხვას...“





კასპერ ჰილი (ინგლისური ტოტალიზატორი „ბეტფაირი“) — „უამრავ ადამიანს ზუსტ ანგარიშზე — 5:2-ზე სურდა ფსონის დადება“.

ბრემ შარპი (ინგლისური საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილი“) — „ეჭვი არ მეპარება, რომ თამაში გარიგებული ანგარიშით დასრულდა“.

მე-5 გვ.

◉ კვირის თვალსაწიერი

## როცა შუაღამემდე ქმარი ეხვეწა, ნაშუაღამევს კი — ცოლი

**რუსეთში ამ ბოლო ათწლეულში არ შენელებულა გოდება საშინელი უსამართლობის — რუსებით დასახლებული და „საერთოდაც რუსული“ ყირიმის, ოდესის, დონბასის, ხარკოვის „წაგვრის“ გამო უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.**

და აი, ისტორიული უსამართლობა შეიძლება გამოსწორდეს, შეიძლება უკრაინა ნაკერზე გაირღვეს — მას ავტონომიად (25-30 მილიონი მცხოვრებით) გამოეყოს „რუსული“ აღმოსავლეთი უკრაინა, რამეთუ გაჭიანურებული სახელისუფლებო კრიზისი ამის რეალურ საფუძველს ქმნის.

რუსეთს გულში შეუხიცინა უკრაინის დაშლის და რუსეთთან კვლავ შეერთების (მისი ნაწილისა მაინც) იმედმა, დიდი რუსეთის აღდგენის დაწყების იმედმა. ეს არ არის რაღაც ერთი ლუკმა აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ან დნეპრისპირეთის შემომატების იმედი, არამედ უზარმაზარი ტერიტორიისა უზარმაზარი მოსახლეობით, რომლის დიდი ნაწილიც რუსულენოვანია, რუსია.

მაგრამ... საქმე ის არის, რომ ეს ოცნების კოშკი ქვიშაზე დგას. ერთობ ბუნდოვანია, უფრო სწორედ, ყოვლად წარმოუდგენელია, როგორ უნდა მოხდეს ჯერ ამ ტერიტორიის „გამოყოფა“ და მერე გამოყოფილი ტერიტორიის იურიდიულად „მიერთება“.

ალბათ „უღიარებელი“ რესპუბლიკის სტატუსით! საერთოდ, როცა რუსეთს სჭირდება, მარჯვედ შეუძლია სეპარატიზმის, შეთქმულების, ამბოხების შეცვლა „უღიარებელი რესპუბლიკებით“.

მაგრამ სავარაუდო ახალი „უღიარებელი რესპუბლიკა“ მძლავრი ევროპული სახელმწიფოს ოდენა იქნება ფართობითაც და მოსახლეობითაც, და, როგორც ვთქვით, ამ „უღიარებლის“ ერთი სახელმწიფოს (უკრაინის) ფარგლებიდან ჯერ გასვლა და მერე მეორე სახელმწიფოს (რუსეთის) შემადგენლობაში შესვლა ისე იოლი პროცედურა არ იქნება, როგორც ზოგიერთ სულსწრაფ რუს „ქორს“ წარმოუდგენია.

— რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, მომგებიანია უკრაინის გახლეჩვა. გახლეჩვა კი გარდაუვალია. აღმოსავლეთი და დასავლეთი უკრაინა — ორი სხვადასხვა ფსიქოლოგიაა, მათი დაშორიშორება ეკონომიკური უფსკრულითაც გაღრმავდა. მთელი მრეწველობა აღმოსავლეთშია. დასავლელებს კი მხოლოდ სუფთა ჰაერი, კარპატები და ტყე აქვთ. ისინი ყოველთვის ცუდად ექცეოდნენ რუსეთს. ისინი ჯერ კიდევ სტალინს უნდა გაეყო, უკრაინის დასავლეთი რეგიონებისგან გალიციის რესპუბლიკის შექმნით, — აცხადებს, მაგალითად, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი ალექსი მიტროფანოვი.

ეგეც არ იყოს, პერსპექტივაში გასათვალისწინებელია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან კონფრონტაცია, როგორც იტყვიან, უმაღლეს დონეზე: „ცივი ომი“, ეკონომიკური სანქციები, რკინის ფარდა, იქნებ უფრო უარესიც...

წესითა და რიგით, თვით რუსეთი უნდა იყოს გაფაციცებული, რომ უკრაინა არ დაიშალოს, თორემ მალოროსიის ნამსხვრევები ისე დაცხრილავს, შეიძლება სისხლისგან დაიცალოს.



მოსკოვი ძალზე ბევრ შეცდომას უშვებს. პრეზიდენტმა პუტინმა ორჯერ მიულოცა „გამარჯვებულ“ ვიქტორ იანუკოვიჩს პრეზიდენტად არჩევა. მან ყოველგვარი საღი აზრის, არსებული რეალობის საწინააღმდეგოდ ჩათვალა, რომ კრემლის მხარდაჭერამ თავისი საქმე გააკეთა.

ეს კი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ კრემლის დერეფნებში ცუდად ხედავენ, რომ მსოფლიო ძალიან შეიცვალა მას შემდეგ, რაც „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“ ვეღარ „შეუკრავს ერთად დიდ რუსეთის ხალხს“. ათიათასობით ახალგაზრდა უკრაინელი დემონსტრანტი ნარინჯისფერი ალმებითა და ბაფთების ფრიალით რუსეთის პრეზიდენტს თვალნათლივ უხსნის, რომ მოსკოვის ძალაუფლება იქ დიდი ხანია დამთავრდა, პატიოსანი არჩევნები რომ ყოფილიყო, გაიმარჯვებდა ვიქტორ იუშჩენკო და არა კანდიდატი, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდის ბატონ პუტინს (სავარაუდოა, რომ ბატონი პუტინის მხარდაჭერა მარტო სიტყვით არ შემოიფარგლება და ფეესბეელების — თავისი ყოფილი კოლეგების დიდი ხნის წინათ აპრობირებულ ტრიუკებსაც შეიცავს, რათა ყოველი ღონით შეეშალათ ხელი უკრაინელთა მისწრაფებისთვის, შესულიყვნენ ევროპაში და მის სტრუქტურებში — ნატოსა და ევროპის კავშირში. იანუკოვიჩი და მისი მომხრეები რუსულენოვანი აღმოსავლეთიდან ნართაულად მიანიშნებენ სამოქალაქო ომზე.

იხ. მე-2 გვ.

◉ ინფორმაცია

### უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება განიხილეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ საქართველოში უკრაინის ელჩს ნიკოლაი სპისს შეხვდა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა და უკრაინის დიპლომატიური უწყების წარმომადგენელმა უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში ორ ქვეყანას შორის ურთიერთქმედებათა კოორდინაციის საკითხები განიხილეს.

როგორც შეხვედრის დასასრულს უკრაინის ელჩმა განაცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ მომავალში ორი ქვეყნის ურთიერთობები და თანამშრომლობა მნიშვნელოვნად განვითარდება და გაღრმავდება.

### 2 მილიონი ლარით მეტი

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა ბიუჯეტის საპროგნოზო წლიურ მაჩვენებელს 2 მილიონი ლარით უკვე გადააჭარბა.

როგორც ინტერ-პრესს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტში განუცხადეს, გეგმა 557 300 000 ლარით იყო განსაზღვრული. ეს მაჩვენებელი პროფიციტულია, რადგან წლის დასაწყისში ბიუჯეტის შესახებ კანონით საბაჟო დეპარტამენტისთვის გეგმა 480 მილიონით იყო განსაზღვრული.

3 დეკემბერს, საბაჟოს კუთხით ბიუჯეტში უკვე მობილიზებულია 559 მილიონ 209 ათას 800 ლარი, რაც ნიშნავს, რომ წლიური გეგმა 103 პროცენტით შესრულებულია.

### ზესტაფონის გამგეობა ხუთი ავტობუსის შეძენას გეგმავს

ზესტაფონის რაიონმა მიმდინარე წლის 11 თვის ბიუჯეტი გადაჭარბებით შეასრულა, რის გამოც ადგილობრივ გამგეობას სხვადასხვა პროექტების დაფინანსების საშუალება მიეცა.

როგორც ინტერ-პრესს ზესტაფონის გამგებელმა დავით ფერაძემ განუცხადა, 250 ათასი ლარი ხუთი ავტობუსის შესაძენად გამოიყო, რომლებიც მგზავრებს ქალაქის ტერიტორიაზე მოემსახურებიან.

### „ბათუმის ნავთობბაზა“ 2005 წლის 25 იანვარს გაიყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ „ბათუმის ნავთობბაზის“ სახელმწიფოს 100-პროცენტიან წილზე ტენდერი გამოაცხადა, რომლის საწყისი ფასი 1 060 000 ლარით განისაზღვრა. კომპანიის საწესდებო კაპიტალში უძრავი ქონების სახით 1 163 კვ.მ შენობა-ნაგებობები, 17 რეზერვუარი, 616 კვ.მ დაფასოებული ნავთობპროდუქტების საწყობი, რკინიგზა და ჩამოსასხმელი ესტაკადა შედის. მიწის ფართის სიდიდე 37 300კვ.მ-ია, კრედიტორული დავალიანება კი 521 780 ლარს შეადგენს.

კომპანიის შეძენით დაინტერესებულმა პირებმა განაცხადები, 250 000 აშშ დოლარის საგარანტიო წერილთან ერთად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 23 დეკემბრამდე უნდა წარადგინონ.

ინტერ-პრესი.

◉ სხვათა თვალით

## FVTHBRBC [HBRT,B ERHFBYFIBO

НОВОЕ РУССКОЕ СЛОВО

ვლადიმერ კოზლოვსკი, „ნოვოე რუსსკოე სლოვო“ (აშშ), 4 დეკემბერი.

**უკრაინაში ამჟამად მიმდინარე მოვლენებში იგრძნობა „ამერიკელთა ხრიკები“ — ასეთ მოსაზრებას გამოთქვამენ არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთშიც — უმეტესწილად, პოლიტიკური სპექტრის მემარცხენე ნაწილში, მაგალითად, ბრიტანულ გაზეთ „გარდიანში“, ან ამერიკულ „ნეიშნლში“. ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში უძველესი მემარცხენული ჟურნალია, რომლის ბატონ-პატრონი გახლავთ კატრინ ვან დერ ჰიუველი.**

ამ ქალბატონმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ იუშჩენკოს ცოლი, უკრაინული წარმოშობის ამერიკელი, „მუშაობდა თეთრ სახლში რეიგანის დროს“. მემარცხენე წრეებში ეს თითქმის იგივეა, რაც განვაცხადოთ, რომ ამ ადამიანს გესტაპოში უმუშავიაო.

უკრაინაში ამჟამად შექმნილ არეულ სიტუაციაში ამერიკელთა ხელი ურევია — ასეთ თეზისს განამტკიცებს ის, რომ ამერიკა რეალურად ცდილობს შეუწყოს ხელი მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დამყარებას.

ჩვეულებრივ, ასეთ დროს, იხსენებენ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულ და ეროვნულ-რესპუბლიკურ ინსტიტუტებს, სამართალქომაგთა ცნობილ ორგანიზაციას „თავისუფლების სახლს“ და პროგრესული მილიარდერის ჯორჯ სოროსის ფონდს „ღია საზოგადოებას“, რომლებიც ნამდვილად ეხმარებიან სხვა ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამზადებენ არჩევნებზე გასაგზავნ მეთვალყურეებს, ორგანიზაციას უწევენ „ეგზიტპოლებს“ და ა. შ.

თვით ბუშის პოზიცია უკრაინასთან დაკავშირებით საკმაოდ ფაქიზია: ერთის მხრივ, იგი ერიდება ურთიერთობის გამწვავებას პუტინთან, მეორე მხრივ კი, არ სურს უღალატოს თავის გეზს — დემოკრატიის დამყარებას რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოში. უკრაინაში გამართული არჩევნების შესახებ გაცილებით უფრო მკაცრი იყო სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელმაც არჩევნებს გაყალბებული უწოდა. მაგრამ პაუელი დიდხანს აღარ დარჩება თავის თანამდებობაზე, მისი მემკვიდრე კონდოლიზა რაისი კი, როგორც ამბობენ, ბუშის მსგავსად, ერიდება პუტინის გაღიზიანებას თავისი პრეტენზიებით.

ბუში ყოველნაირად ცდილობს არ დაუშვას პუტინის საწინააღმდეგო გამოთქმები, თანაც, იცავს ამერიკელთათვის ტრადიციულ კურსს, რომელიც უკრაინაში სტაბილურობის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. ბევრს ალბათ, ჯერ კიდევ ახსოვს „კატლეტი კიევურად“. ასე უწოდეს სიტყვას, რომელიც ბუშ-უფროსმა წარმოთქვა კიევში 1991 წლის აგვისტოში, როცა მან მოუწოდა უკრაინელებს თავი შეეკავებინათ საბჭოთა კავშირის დაშლისგან. ამ მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვში მოხდა პუტჩი, სსრ კავშირმა შეწყვიტა არსებობა და რომან პოპადიუკი, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი ნიუ-იორკში ასპირანტურაში, გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ელჩი დამოუკიდებელ უკრაინაში.

უკრაინაში ვაშინგტონის ხრიკებზე მითქმა-მოთქმამ ამერიკელთა შორისაც გამოიწვია უკმაყოფილება. კერძოდ, გამოქვეყნდა „ვაშინგტონ პოსტის“ კომენტატორის ენ ეპლბაუმის შენიშვნა, რომელიც წერდა, რომ ძალზე აზვიადებენ, როცა გულისხმობენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე ამერიკელების ფულისა და იქაური პროფესიონალი „დემოკრატიზატორების“ გავლენას. თითქმის ამდენივე ფული დახარჯეს ამერიკელებმა ბელორუსიაში, მაგრამ იქ მაინც ლუკაშენკომ გაიმარჯვა.

ავტორი თანხას არ მიანიშნებს, მაგრამ „გარდიანი“ ასახელებს 14 მილიონ დოლარს, რომელიც ამ გაზეთის მონაცემებით, ამერიკელებმა დახარჯეს უკრაინაში.



და მეორეც, წერს ეპლბაუმი, რუსეთმა ანალოგიური მიზნებისათვის გაცილებით მეტი ფული გაიღო (იგი ასახელებს 200-300 მილიონ დოლარს), პუტინი კი ორჯერ ეწვია უკრაინას არჩევნების გამართვამდე და გასწია აგიტაცია თავისი კანდიდატის სასარგებლოდ. უკრაინაში ჩავიდნენ აგრეთვე, თვალსაჩინო რუსი პოლიტტექნოლოგები, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ პრემიერ ვიქტორ იანუკოვიჩის ბანაკს.

„თუ იმ იდეებმა, რომლებსაც პროპაგანდას უწევდნენ ამერიკელები და ევროპელები, უფრო მეტი გამოხმაურება პოვეს უკრაინაში, ვიდრე პრეზიდენტ პუტინის იდეებმა, — წერს ავტორი, — ყოველივე ეს უფრო მეტად მეტყველებს უკრაინაზე, ვიდრე ამერიკაზე“.

ეპლბაუმი „ამერიკელთა ხრიკების“ შესახებ თეზისის პოპულარობას განმარტავს იმით, რომ დასავლელ მემარცხენეთა დიდი ნაწილი, სადღეისოდ იმდენად ანტიამერიკულად და ანტიბუშურად არის განწყობილი, რომ „საქმე საქმეზე თუ მიდგება, უპირატესობას მიანიჭებს ავტორიტარულ და ტოტალიტარულ ლიდერებს, ვიდრე ნებისმიერ იმ მთავრობას, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ექნება შეერთებულ შტატებთან. მრავალ იმ ადამიანს, რომლებსაც ოდნავადაც არ გაუკრიტიკებიათ თავის დროზე სადამ ჰუსეინი, ახლა ასევე ძალზე უჭირს რაიმე კარგის თქმა უკრაინელებზე, რომლებიც დადგნენ დემოკრატიის მხარდასაჭერად“.

უკრაინაში ამერიკელთა ხრიკების შესახებ მორიგი სტატიის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს „გარდიანმა“, სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, დაბეჭდა ეუთოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი წარმომადგენლის დევიდ ჯონსონის წერილი. როგორც დევიდ ჯონსონი აღნიშნავდა, უკრაინიდან გადმოცემული ყველა რეპორტაჟი მოწმობს იმას, რომ ამჟამად იქ შექმნილ სიტუაციას განაპირობებს ამ ქვეყნის მოქალაქეთა მტკიცე სწრაფვა, აირჩიონ ლიდერი „გამჭვირვალე და პატიოსანი“ არჩევნების გზით, და არა ოკეანესგაღმელთა მიერ ჩახლართული რაიმე ინტრიგები.

„თუმცა, ისიც მართალია, რომ ძია სემი იქ მთლად უსაქმოდ არ არის, — განაგრძობს ჯონსონი, რომელიც გულისხმობს „გარდიანის“ თეზისს. — იგი უსაქმოდ არ არის არა მარტო უკრაინაში, არამედ ბელორუსიაში, საქართველოში, სერბეთში და ევროპის და მსოფლიოს მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც. დიახ, ჩვენ ვეხმარებით დემოკრატიას.


◉ ყურადღება!

არ დაგავიწყდეთ ხელმოწერა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“



იკითხეთ განახლებული, ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის ყველაზე სანდო, მართალი, ჯანსაღი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!

ხელმოწერას გაგიფორმებთ: „საქპრესა“ — 99-30-54; „მაცნე“ — 37-47-49; „უწყებანი“ — 93-64-72; „ექსპრესი“ — 96-23-11; „პლანეტა-ფორტე“ — 93-38-73; „ინფოსერვისი“ — 34-09-35; „თბილისის მიმომხილველი“ — 98-74-95.

ხელმოწერის ფასები:
1 თვით — 13 ლარი;
3 თვით — 39 ლარი;
6 თვით — 78 ლარი;
ერთი წლით — 156 ლარი.

გაზეთის გამოწერა და ხელშეკრულების გაფორმება, ექსპედირების ხარჯის გამოკლებით — ოცი პროცენტის ფასდაკლებით, შეგიძლიათ, აგრეთვე რედაქციაში, კოსტავას ქ. №14, 93-26-99, 99-73-24; ინდექსი — 66434.


## ინტერპანორამა

„მის მსოფლიო-2004“ -ის ტიტული პერუელმა ქალიშვილმა მოიპოვა. გამოკითხვა მთელ მსოფლიოში მოეწყო ინტერნეტის საშუალებით. ამ გამოკითხვის შედეგად 19 წლის სტუდენტი 107 მონაწილიდან 15 საუკეთესოთა შორის მოხვდა...



პენტაგონი კალიფორნიაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსებას იწყებს. პირველ რაკეტას უკვე მომავალ კვირას დააყენებენ გამშვებ შახტში. დღეისთვის ექვსი ასეთი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაა დამონტაჟებული ალიასკაზე.



ბაღდადის ცენტრში აფეთქდა დენთით სავსე მანქანა. 6 პოლიციელი დაიღუპა. ეს აფეთქება ტერორისტმა თვითმკვლელმა მოაწყო პოლიციის განყოფილებასთან.

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 282, კვირა, 5 დეკემბერი, 2004 წელი.

კვირის თვალსაწიერი

# როცა შუაღამემდე ქმარი ეხვეწა, ნაშუაღამევს კი — ცოლი

(პირველი გვერდიდან)

მაგრამ დემონსტრანტები ხელმისახვედ გრძნობენ მთელი დემოკრატიული მსოფლიოს მხარდაჭერას და ამით თავიანთ მნიშვნელობას სიმართლესაც: ევროპა და აშშ, რომლებიც უკრაინაში არჩევნების გაყალბებამ აღაშფოთა, ერთ პოზიციაზე დგანან; უკრაინის პარლამენტმა, რადამ [illegible] არჩევნები უკანონოდ გამოაცხადა; ყველა საერთაშორისო დამკვირვებელი [illegible]

ახლა საკითხი ასე დგას: უკრაინის ხარჯზე გაფართოვდება თუ არა მსოფლიოს თავისუფლების ტერიტორია?

ყოველ შემთხვევაში, იმედი არის. უკრაინის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი: ხელახალი არჩევნები!

ოპოზიციამ გაიმარჯვა: სამი კვირის შემდეგ უკრაინაში ხელახალი არჩევნები გაიმართება.

ოპოზიციამ იცის, რომ ხელისუფლება და მოსკოვი ყველაფერს გააკეთებენ მის მოსაგებად.

[illegible]

ერთი ანდაზისა არ იყოს, „შუაღამემდე ქმარი ეხვეწა, ნაშუაღამევს კი — ცოლი“, [illegible] თავდაცვის სამინისტრო თავისთავად — მისი სამშვიდობო ძალებით აგერ უკვე 10 წელია იქ არიან. ახლა მათ შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა დაემატნენ. ვინმე წვრილფეხებმა კი არა, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრ ჩეკალინმა და გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმერ კოლესნიკოვმა გააბედნიერეს სოხუმი. [illegible] უიარაღებელი თვალით არ ჩანს, მაგრამ ბოლო ხანების ერთი დაკვირვება კი უკვე იკვეთება (რომელშიც თავისთავად ჩანს მოსკოვის ხელი): პრეზიდენტმა არძინბამ, რომელსაც მხარს აღარ უჭერენ პარლამენტი, უზენაესი სასამართლო, გენპროკურატურა (თვით მისმა უახლოესმა თანაშემწემ, ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არძინბამაც კი განაცხადა ახლახან, მზად ვარ 6 დეკემბერს ჩემი რწმუნებები მოვიხსნაო), ანუ, ფაქტობრივად, მეფე ლირივით მარტოდ იყო შთენილი, მოულოდნელად დასაყრდენი ჰპოვა რეზერვისტთა მეთაურებში. ეს მოულოდნელი იმიტომ არის, რომ რეზერვისტები ომის მონაწილენი არიან, ომის ვეტერანთა კავშირი „ამცახარა“ კი პირველი დღეებიდანვე ბაღაფშის მომხრე ყველაზე აქტიური პოლიტიკური ძალაა. და აი, რუსი პოლიტიკოსები კმაყოფილი იფშვნეტენ ხელებს, დღეს აღარ შეიძლება თქმა, ვეტერანები ერთიანი ძალაა, ამ ბოლოს „ამცახარას“ რიგები ბევრმა დატოვაო.

შეიძლება სასურველს რეალობად ასაღებენ და „ამცახარა“ „ბევრმა“ კი არა, რამდენიმემ დატოვა, მაგრამ მის რიგებში რაღაც ბზარი რომ არის შეტანილი, ფაქტია.

არადა, რეზერვისტთა მეთაურებზე ფსონის ჩასვლა შეიძლება ყველაზე ქმედითი აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ აფხაზეთის ჯარი შვეიცარიული პრინციპით არის აგებული: ყველა რეზერვისტი სახლში ინახავს იარაღს, ტყვია-წამალს, აუცილებელ აღჭურვილობას. მათი რიცხვი (სულ 18 ათასი კაცი) ბევრად აღემატება რეგულარული სამხედრო ნაწილების მოსამსახურეთა (დაახლოებით 5 ათასი კაცი) და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა საერთო რიცხვს. ისინი, როგორც ომის დროს საბრძოლო მოქმედებებში გამოჯეკილნი, მომზადებით ბევრად სჯობნიან ჯარისკაცებს. რეზერვისტები აფხაზეთის ჯარის მთავარი შემადგენელი ძალაა.

როგორც ამბობენ, არძინბას მხარდამჭერმა რეზერვისტებმა (მათ რიცხვს 6 ათასამდე კაცს ანგარიშობენ) უკვე დაიწყეს სამხედრო რაზმების ჩამოყალიბება. სავარაუდოდ, ასეთივე პროცესი ხდება ბაღაფშის მომხრეთა შორისაც.

აფხაზეთისა და უკრაინის პოლიტიკური ვითარების მსგავსების — პრეზიდენტობის ორ-ორი კანდიდატის პირისპირ დგომის მიუხედავად, არის არსებითი სხვაობა — აფხაზეთში პრაქტიკულად ყოველ სახლში იარაღია და გამორიცხული არ არის ამ იარაღის ამოქმედება...

იმის შესახებ, რომ ბაღაფშთან ქართულ მხარეს ლაპარაკი შეეძლება (იმიტომ, რომ ის რეალისტია და მოლაპარაკებაზე წამოვა, თუ ეს აფხაზეთს წაადგება, და არა იმიტომ, რომ „პროქართველი“ მოღვაწეა), ქართულ გაზეთებში უხვად იწერება. რუსულ პრესას ეს აღაშფოთებს.

ამას წინათ „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ ასეთი რამ წავიკითხე: „ამბობენ, რომ ჩვენ „პროქართველები“ ვართ, — მეუბნება ბაღაფშის თანამოსაგრე რუსლანი, ქართულ-აფხაზური ომის ვეტერანი — ომის დროს ქართველებმა მამაჩემი მოკლეს: ყური მოაჭრეს, ხელი მოაჩეხეს, შემდეგ კი დახვრიტეს და ის მოკვდა შეძახილით: „გაუმარჯოს ვლადისლავ არძინბას იდეებს!“ ქართველებმა ტყვედ ჩაიგდეს ჩემი ძმა, აწამეს, მე მოველაპარაკე, რომ ის გამეცვალა, მაგრამ გაცვლის წინ დახვრიტეს და მკვდარი მომცეს. როგორ შეიძლება მე პროქართველი ვიყო?“



აქ საქმე ის კი არ არის, მართლა აწამეს თუ არა ბოროტმა, კაციჭამია ქართველებმა მითიური რუსლანის გმირი მამა, რომელიც სწორედ რომ პარიზის კომუნარივით ლამაზად მომკვდარა და ძმა, რომელიც მოტყუებით გამოასალმეს სიცოცხლეს, არამედ ის, რომ სწორედ ახლა, როცა აფხაზეთის „გორდიას კვანძი“, ბოლოს და ბოლოს, უნდა გაიხსნას, აფხაზს უნდათ შეახსენონ: თუ რუსეთის ვარიანტი არა, მათ კვლავ საქართველოსთან, ქართველებთან ელით კავშირი, რომლებიც აფხაზების სისხლს სვამენ და აფხაზების ხორცს ჭამენ (ისე, იმ ომში ქართველების წინააღმდეგ მებრძოლი ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლების მართლა მხეცობაზე მთელი ტომებია შექმნილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში).

ხვალ, წესით, აფხაზეთში ორხელისუფლებიანობა უნდა დასრულდეს. თუ რაღაც გაუთვალისწინებელი არ მოხდა და დღევანდელ პრემიერს ნოდარ ხაშბას და პრეზიდენტობის სახელისუფლებო კანდიდატს რაულ ხაჯიმბას, რომლებიც რახანია ღამეს რუსი სამხედროების დაცვით, რუსეთის სამხედრო სანატორიუმში ათენებენ, ელირსებათ, შინ შეხვდნენ მზის ამოსვლას.

„ერთი აზრი არ მასვენებს: ეს ყველაფერი რაღაც ძალიან მაგონებს ქართული „ვარდების რევოლუციის“ წინა მოვლენებს, იქაც ხალხი სააკაშვილის ჩაწოდებით მოითხოვდა, რომ შევარდნაძე მათთან გასულიყო და მაშინაც გაისმა მოწოდება: „ის არ მოდის ჩვენთან, ჩვენ წავედით მასთან“, რის შემდეგაც ხალხი წაიყვანეს პარლამენტთან. შეიძლება აფხაზ რევოლუციონერთა ტექნოლოგიებიც იმავე ხალხმა დაამუშავა, რაც ქართველებისთვის?“ — წერს ერთი რუსი ჟურნალისტი.

მას, უბრალოდ, ვერ გაუგია, რომ „ტექნოლოგიების იმავე ხალხის მიერ დამუშავება“ არსებითი და მთავარი სულაც არ არის. მთავარი ის არის, რომ აფხაზეთი ცდილობს უსისხლოდ და უთოფოდ გადავიდეს იმ გზიდან, რომლითაც სიარული აღარ სურს, უბრალოდ აღარ შეუძლია.

ამიტომ ჰგავს ქართულ „ვარდების რევოლუციას“ უკრაინული „ნარინჯისფერი რევოლუციაც“. ამიტომ დაემსგავსება მას კიდევ სხვა ქვეყნების რევოლუციები და მათი პირველხატება იქნება ქართული „ვარდების რევოლუცია“, ვინც და სადაც გინდა დაამუშაოს მისი „ტექნოლოგია“.

სიმართლე არ უნდა დაუკარგო: რუსეთი, რომელსაც მსოფლიოში აღიქვამენ როგორც არასტაბილურ და გაწუჭვრეტად სახელმწიფოს, ხვდება ამას და ცდილობს ახალ დროებას მომზადებული შეხვდეს.

ახლახან რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა იგორ ივანოვმა პრესას აცნობა, რომ მომავალი წლის შუახანებში დამუშავდება რუსეთის ეროვნული უშიშროების ახალი პროექტი, სადაც განისაზღვრება ქვეყნის რეალური საფრთხის წრე. აუცილებელია ჩამოყალიბდეს დოკუმენტი, რომელიც ზუსტად გამოკვეთავს რუსეთის პრიორიტეტებსა და სტრატეგიულ მიზნებს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში ხილული პერსპექტივისთვის — 10-15 წლით. უამისოდ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, შეუძლებელია რეალური პოლიტიკის აგება ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის ნებისმიერ სფეროში — ხაზი გაუსვა მან.

ძალიან კარგია ჩვენი დიდი ჩრდილოელი მეზობელი ეროვნული უშიშროების ახალ კონცეფციას რომ ქმნის, თუ, რა თქმა უნდა, ეს სიახლე, კვლავ მსოფლიო ჟანდარმის ძველ, კარგად მორგებულ მუნდირს არ ნიშნავს, თორემ „ვარდების რევოლუცია“ მის კარსაც მიაკაკუნებს. საცა სამართალია, რევოლუცია და გარდაქმნა სწორედ რუსეთს სჭირდება.. გარდაუვალად.

**ალეკო ასლანიშვილი.**

ინფორმაცია

### დაიწყო სასმელი წყლის მრიცხველების დამონტაჟება

**თბილისის** მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინ დიდ დიღომში წყალმზომების სამონტაჟო სამუშაოების დაწყებას დაესწრო.

"ზენერის" ფირმის საერთო და ინდივიდუალური წყალმზომები უახლოეს მომავალში დიდი დიღმის დასახლების ყველა კორპუსში დამონტაჟდება.

როგორც ქალაქის მერმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, წყალმზომების დამონტაჟებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედაქალაქისთვის, რათა თბილისში სასმელი წყლის ხარჯვის რეალური მაჩვენებელი დადგინდეს.

წყალმზომების დამონტაჟებისთვის მოსახლეობა ხარჯებს არ გაიღებს. ამისთვის 300 ათასი ლარი თბილისის ბიუჯეტიდან გამოიყო. 1998 წლის მონაცემებით, თბილისში ერთი ადამიანი დღე-ღამეში 900 ლიტრ სასმელ წყალს მოიხმარს. „შეუძლებელია ერთი ადამიანი დღე-ღამეში ამდენ წყალს ხარჯავდეს“, - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

პირველი ეტაპისთვის, საექსპერიმენტოდ არჩეულ სამ კორპუსში საერთო წყალმზომები დამონტაჟდება, ერთ-ერთი ცხრასართულიანი კორპუსის მაცხოვრებლებს კი ინდივიდუალური მრიცხველებით უზრუნველყოფენ.

### „იმერეთი-2004“-ის მეორე შესარჩევი ტური

**ქუთაისში** სიმღერისა და ცეკვის ფესტივალის „იმერეთი-2004“-ის მეორე შესარჩევი ტური შედგა. მასში იმერეთის ყველა რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პირველი ტური გაზაფხულზე შედგა.

შესარჩევი ტურები საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს ორგანიზებით ჩატარდა და, მიზნად ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას ისახავდა.

ფესტივალში როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობენ და ფინალურ ტურს ისინი ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დეკემბრის ბოლოს გამართავენ.

### 40-მდე სარკინიგზო ხიდს კაპიტალური რემონტი სჭირდება

**შეზღუდული** პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობამ გუშინ, პარლამენტარებთან ერთად, თბილისი-ხაშურის სარკინიგზო მონაკვეთი და ხაშურში მდებარე წიფის გვირაბი მოინახულა.

საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, მის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებაში კატასტროფული ვითარებაა შექმნილი - მთლიანად აღსადგენია სარკინიგზო ხიდები და გვირაბები.

მისი თქმით, 39-ზე მეტ სარკინიგზო ხიდზე, რომლებიც 100 წლის წინ აიგო, კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა. „რემონტს მილიონობით დოლარი სჭირდება. რკინიგზას კი ამჟამად იმის საშუალება არ აქვს, რომ ერთდროულად ყველაფერი აღადგინოს“, - განაცხადა ონოფრიშვილმა.

### „მკვდარი სულები“

**იმერეთის** სამხარეო პოლიციის კორუფციასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თაღლითობის ფაქტზე საჩხერის რაიონის სოფელ გორისას გამგებელი გურამ გომართელი ამხილეს.

მოკვლეული მასალების მიხედვით, მან საკრებულოს გერბიანი ბეჭდით სხვადასხვა მოქალაქეებს გარდაცვალების მოწმობათა დამოწმებული ცარიელი ბლანკები გადასცა, რითაც თბილისის ისანი-სამგორის სოციალური დახმარების განყოფილებიდან თაღლითურად თანხების მითვისება ხდებოდა.

რეპლიკა

# გასაღები დაავიწყდა...

**ამ ბოლო დროს თელასელები მაგრად გამკაცრდნენ, ოღონდ საკუთარი თავის კი არა, უფრო მომხმარებლების მიმართ. საკმარისია ერთი საათით გადააცილო დახარჯული ელექტროენერგიის ფასის გადახდა, რომ „თელასის“ მალემსრბოლი მაშინვე შენს მრიცხველთან გაჩნდება და დენს ჩაგიჭრის.**

შეიძლება გადახდილიც გქონდეს, მაგრამ თელასელი წამოგეპაროს (თანხა ჯერ ჩვენ ანგარიშზე არ დამჯდარაო) და მაინც ბნელში ჩაგამწყვდიოს. არც ეს უნდა გაგიკვირდეს. აკი არც გაგვკვირვებია, როცა ამას წინათ, ზუსტად ასე მოექცნენ ჩვენი გაზეთის რედაქციას და მთელი ერთი დღე-ღამე სიბნელეში გვაყურყუტეს. რა უნდა გვეთქვა, პირიქით, მეორე დღეს დენი რომ ჩაგვირთეს, დიდად გახალისებული და აღფრთოვანებულიც კი დავრჩით.

ახლა ბინები ვნახოთ, რა ხდება. მუხიანის დასახლებაში პირველი მიკრორაიონის მე-13 კორპუსის მე-6 და მე-7 სადარბაზოებში ზოგიერთ მობინადრეს 30 ნოემბრის საღამოს მოულოდნელად დენი გამოერთო. იმ ღამეს აბა თავს ვინ შეიწუხებდა „თელასიდან“, მაგრამ არც მეორე დღეს გამოჩენილა ვინმე, მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონით დავუკავშირდით და შექმნილი მდგომარეობის შესახებ შევატყობინეთ. იძულებული გავხდით, „თელასის“ გლდანის განყოფილებას პირადად ვხლებოდით და ყელი აგვეწია — როგორმე ინებეთ ბატონო და დენი ჩაგვირთეთო.

— თქვენს სადარბაზოში ავტომატებია გადამწვარი, ჩვენ არა გვაქვს, თუ იყიდით, მოვა ჩვენი მალემსრბოლი და დაგიყენებთო — გვითხრეს შენობის პირველ სართულზე.

— ავტომატები კი არა, ფაზაა დაკარგული, გუშინ ჩვენი ლეონიდა იყო, მაგრამ კარადის გასაღები დაავიწყდა. დღეს უეჭველად მოვა, გასაღებს წამოიღებს და გეშველებათო — აგვიხსნეს მეორე სართულზე.

მერე სართულის ვარიანტი უფრო სწორი აღმოჩნდა. ეტყობა, ლეონიდას გასაღებრი აღარ დაავიწყდა და საღამოთი სამუშაოდან რომ დავბრუნდით, ბინები გაჩირაღდნებული დაგვხვდა.

აფერუმ ლეონიდას მახსოვრობას! კიდევ რომ დავიწყებოდა, ხომ ისევ უნდა ვხლებოდით და შეგვეხსენებინა...

**ოთარ ხუციშვილი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

კარენ თოფჩიანი, „BBC RUSSIAN“, 3 დეკემბერი.

# სომხეთმა და ირანმა გაზსადენის მშენებლობა დაიწყეს

**ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებისა და შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ, სომხეთმა და ირანმა დაიწყეს 141 კილომეტრი სიგრძის გაზსადენის მშენებლობა. პროექტის წინასწარი ღირებულება 210-220 მილიონი დოლარია.**

2007 წლიდან დაწყებული, სომხეთი 20 წლის განმავლობაში მიიღებს 36 მილიარდ კუბურ მეტრ ირანულ გაზს, რომლის საფასურსაც ელექტროენერგიით აანაზღაურებს.

როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, სომხეთ-ირანის ასეთი გარიგება ორივე სახელმწიფოს აკმაყოფილებს. სომხეთს უკვე ორი წლის შემდეგ ექნება ენერგიის ალტერნატიული წყარო, რის შედეგადაც გაიზრდება ქვეყნის ენერგეტიკული უშიშროება.

მინიმალური სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მქონე სომხეთი გაზს დღეს მხოლოდ რუსეთიდან იღებს.



მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი გაზსადენის ტექნიკური მდგომარეობა არასახარბიელოა და მას სერიოზული შეკეთება და მოდერნიზაცია სჭირდება.

თანაც, ერევანს არ აქვს იმის გარანტიები, რომ მეზობელ ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარება არ გამოიწვევს მილსადენთან დაკავშირებულ პრობლემებს. 1990-იანი წლების დამდეგს, როცა საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობა სუფევდა, ხშირი იყო აფეთქებები გაზსადენზე.

თავის მხრივ, თეირანს იმედი აქვს, რომ გაზის პროექტის განხორციელება მას მისცემს სამხრეთ კავკასიაში თავისი პოლიტიკის გააქტიურების შესაძლებლობას. რეგიონის ქვეყნებს შორის ირანს სწორედ სომხეთთან აქვს ყველაზე მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ირანს იმედი ჰქონდა, რომ გაზსადენი სომხეთიდან გაგრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, შავი ზღვისა და უკრაინის გავლით — დაუკავშირდებოდა ევროპას. ამით თეირანს მიეცემოდა ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე მოხვედრის შესაძლებლობა.

მაგრამ, როგორც მოსკოვის ინფორმირებული წყაროები იტყობინებიან, რუსეთის გაზის მრეწველობის დარგის მესვეურები დიდად არ აღფრთოვანებია ასეთ პერსპექტივებს. თვით რუსეთი ხომ სადღეისოდ უდიდეს ფინანსურ დივიდენდებს იღებს თავისი „ცისფერი სათბობის“ ევროპაში მიწოდებით. ირან-სომხეთის გაზსადენის ევროპამდე გაყვანის შემთხვევაში კი, საფრთხე შეექმნებოდა ძველი სამყაროს ბაზარზე მოსკოვის მონოპოლურ პოზიციებს.

როგორც ჩანს, სომხეთის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანიც სწორედ ამას გულისხმობდა, როცა ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ირანის გაზის ტრანზიტი ევროპაში სომხეთის გავლით „გარკვეულ სირთულეებს“ უკავშირდებაო. ირან-სომხეთის მილსადენის დიამეტრი ისეთი იქნება, რომ იგი ვერ შეძლებს დიდი მოცულობის აირის გატარებას.

მოსკოვი უკვე აცხადებდა, რომ მზად არის მიიღოს მონაწილეობა გაზსადენის მშენებლობასა და მის შემდგომ ექსპლოატაციაში. კომპანია „გაზპრომის“ თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე რიაზანოვის თქმით, „უკვე მზად არის ირან-სომხეთის მომავალი გაზსადენის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ახლა დასაზუსტებელია დაფინანსების წყაროები — ეს შეიძლება იყოს ან სახელმწიფოთაშორისი კრედიტები, ან „გაზპრომის“ სახსრები“.

ერევანში არ გამორიცხავენ, რომ გაზსადენის მშენებლობის მეორე ეტაპზე სწორედ „გაზპრომმა“ დააფინანსოს პროექტი.

ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვი დგამს წარმატებულ ნაბიჯებს სამხრეთ კავკასიაში თავისი ერთადერთი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის — სომხეთის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გაკონტროლების გზაზე.

სომხეთის ენერგეტიკული ობიექტების 80 პროცენტზე მეტს რუსეთის კომპანიები მართავენ, სომხეთის გაზმომარაგების ოპერატორი კი „გაზპრომია“.

# შლაგბაუმი კვლავ დაუშვეს

## საახალწლო სუფრა, შესაძლოა, ველარ დაამშვენოს აფხაზურმა ციტრუსმა

**6 დეკემბერს თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში შეიძლება გაჩნდეს ორი პრეზიდენტი. ამ დღისთვის დანიშნულია სერგეი ბაღაფშის, როგორც რესპუბლიკის ახლადარჩეული მეთაურის ინაუგურაცია. ამას, ალბათ ხელს უკვე ველარავინ შეუშლის: პარლამენტმა ცნო ბაღაფშის გამარჯვება არჩევნებში, თანაც, უხუცესთა საბჭოც მხარს უჭერს „ჩერ- [illegible]**



[illegible] რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია რკინიგზაზე მომუშავე ადამიანების უშიშროების დაცვასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემებით. რუსეთის ხელისუფლება ირწმუნება, რომ აღადგენს მიმოსვლას მაშინვე, როგორც კი აფხაზეთში ვითარება სტაბილური გახდება.

პირველი რუსი პოლიტიკოსი, რომელმაც გაილაშქრა ასეთი ზომების მიღების, აგრეთვე, აფხაზური მანდარინის იმპორტზე აკრძალვის შემოღებისა და რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის არსებული საზღვრის დაცვის გაძლიერების წინააღმდეგ, იყო სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი და ფრაქცია მეგობრულად განწყობილი ხალხის ეკონომიკის მოგუდვა. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ აფხაზეთის ეკონომიკა ეფუძნება რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტსა და რუსეთის ტურიზმს. აფხაზური მანდარინები უკვე გაქრა რუსეთის ქალაქების დახლებიდან. ციტრუსის ბედს მალე ჩაი და ღვინოც გაიზიარებს. მანდარინის რუსეთში გატანაზე აკრძალვის შემოღების პარალელურად, აიკრძალა ასევე აფხაზეთში რუსული პროდუქციის იმპორტი, განაცხადა აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველმა ტატიანა გულიამ. სარკინიგზო მიმოსვლის დახურვა კი უკვე დამღუპველ გავლენას ახდენს აფხა-

Трибуна

დიმიტრი ანკუდინოვი, „ტრიბუნა“, 4 დეკემბერი.

„როდინას“ თავმჯდომარის მოადგილე სერგეი ბაბურინი. ასეთ მოქმედებას ამ პოლიტიკოსმა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივი უწოდა.

პრინციპში, რა გამოდის? რუსეთმა თავისივე ხელით დაიწყო ჩვენდამი ზურ ხაზინაში შემოსავლების მიზიდვის მეორე წყაროზე — ტურიზმზე. საახალწლო დასვენება ბიჭვინთაში, რომელიც ძალზე მოსწონთ რუსეთელებს ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ახლა ეჭვქვეშ დგას.

რთულია ითქვას, თუ რამდენ ხანს ეყოფათ აფხაზებს ფქვილი, საწვავი და სხვა საქონელი, რომელიც წინათ რუსეთის რეგიონებიდან შეჰქონდათ. საახალწლო სუფრაზეც იქ ალბათ, მხოლოდ ღომი, ლობიო, მანდარინი და ღვინო თუ ექნებათ. ძეხვეულზე ოცნებაც კი ზედმეტია, ისევე როგორც კარტოფილზე. კილოგრამი კარტოფილის ფასმა აფხაზეთში უკვე 20 რუბლს მიაღწია, როცა კრიზისის დაწყებამდე მხოლოდ ხუთი რუბლი ღირდა. და საერთოდ, ფასებმა მკვეთრად მოიმატეს ბაზარში. საბედნიეროდ, მხოლოდ პურზე დარჩა ფიქსირებული ფასები. ამ ფონზე თბილისიდან გაისმის ასეთი განცხადებები: „შიმშილით არ მოვკლავთ საქართველოს რეგიონს!“ თუმცა, აფხაზთა ამჟამინდელი ხელისუფლება არ მიიღებს დახმარებას საქართველოსგან.

„წინა ეკონომიკური ბლოკადის დროს, რომელიც ფაქტობრივად, 1995-1999 წლების მანძილზე გრძელდებოდა, საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნებისგან ერთი ტომარა ფქვილიც კი არ მიგვიღია“, — ამტკიცებს ტატიანა გულია. სამაგიეროდ ახლა გერმანიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებს მიეცათ შესაძლებლობა აღიდგინონ იმიჯი აფხაზების თვალში, გაუწიონ ჰუმანიტარული დახმარება თვითაღიარებულ რესპუბლიკას. იქნებ, რუსების ნაცვლად, გერმანელებმა და ფრანგებმა მოისურვონ ახალი წლის შეხვედრა აფხაზეთში და პირის ჩატკბარუნება იქაური მანდარინით?

პოზიცია

# ვიცოდეთ, სად მივდივართ და რა გვინდა

– მარშანდელი ნოემბრის რევოლუციის შემდეგ განვლილ პერიოდში რა ცვლილებებმა შეიძლება, თქვენი აზრით, საუბარი, თქვენი საქმიანობიდან გამომდინარე, რა გაღელვებთ ყველაზე მეტად? – ასეთი იყო საუბრის შესავალი ორ ფრიად დამსახურებულ, მხცოვან სწავლულთან.

**აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი:**

– გარკვეული ცვლილებები, რაღაც ძვრები უკეთესისკენ არის, მაგრამ გამოკვეთილად, თუ საით მივდივართ და რა გვინდა, ამას ვერ ვხედავ. ჩემი ასეთი პოზიციის საფუძველი ის გახლავთ, რომ რამდენიმე სფეროში არ ხდება კანონზომიერი გარდაქმნები.

მაგალითი გნებავთ? – მეცნიერება! მისი განვითარება ყოვლად წარმოუდგენელია, თუ არა გვაქვს სრულყოფილი ინფორმაცია ყოველ დარგში, მით უმეტეს, ახალ დარგებში, ახალ ტექნოლოგიებში, რომელთა დამუშავება ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს. მხოლოდ მეცნიერების საფუძველზე შეიძლება ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, მთელი ქვეყნის აღორძინება.

აქ „ინფორმაცია“ გამოვიყენე, როგორც ზოგადი ცნება და მასში ვიგულისხმე ის აუცილებელი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ხასიათის ცოდნა, რის საფუძველზეც შემოქმედმა ადამიანმა კვლევითი საქმიანობა უნდა განახორციელოს ქვეყნის საკეთილდღეოდ.

განა შეიძლება პრობლემის გადაწყვეტაზე ვიფიქროთ, თუ არ გვაქვს ძირითადი ჟურნალები, „შინაურულად“ ჩამოვთვლი: „საიენს“, „ნეიჩა“, „ფიზრევიუ“, „ქემიკლ აბსტრაქტ“, „ქვრენტ კონტენტს“ და ასე შემდეგ. ჩვენმა ბიბლიოთეკამ ადგილობრივი სისტემით მომუშავე ინსტიტუტების თანამშრომელთა გამოკითხვით შეადგინა იმ ჟურნალების სია, რომლებიც გვჭირდება ნებისმიერ დარგში ნორმალური მუშაობისათვის. 215 დასახელება გამოვიდა. მრავალი ცდის მიუხედავად, მათი სისტემატური მიღება დღესაც ბოლომდე მოუწესრიგებელია. მივმართეთ სათანადო ორგანოებს, ვთხოულობთ საჭირო თანხას (500 ათას დოლარს), მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

ცალკე სათქმელიც მაქვს: მხოლოდ სწავლულს, მხოლოდ მკვლევარს აქვს ქვეყანაში მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე მსჯელობის მორალური უფლება. მთავრობისა თუ ხელისუფლების საქმეა მეცნიერთა მიერ შექმნილი კონცეფციის რეალიზება როგორც ორგანიზაციული, ისე მატერიალური თვალსაზრისით. საქართველოში მეცნიერებას უნდა გამოეყოს, ცხადია შეფარდებით, ანუ პროცენტულად, იმდენივე თანხა, როგორც ევროპისა და საერთოდ, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებში. ეს აღკვეთს მეცნიერი ახალგაზრდების მიგრაციას საზღვარგარეთ და ახლო მომავალში ისევ გამოჩნდება მაღალი პოტენციალის ახალგაზრდა კადრები.

ტელეეკრანიდან ხშირად მესმის არასპეციალისტების საუბრები მეცნიერების, ინფორმატიკის საკითხებზე, არაადეკვატური შეფასებები. სურათი რომ რეალური გავხადოთ, თუ როგორ მოხდეს მეცნიერების განვითარება, მეცნიერების რესტრუქტურიზაცია, ცნობილ სწავლულებს უნდა მივცეთ გეზვეობისა და საერთოდ, მეცნიერების პოზიციების გამოხატვის შესაძლებლობა. მხოლოდ მერე, ასეთი პოზიციების შეჯერებით, უნდა მოვახდინოთ რეფორმა, თუ ეს საჭიროა, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში.

**აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი:**

– იმ დონეზე ცხოვრების გაგრძელება, როგორზეც ქვეყანა აღმოჩნდა გინდ ეკონომიკურად, გინდ პოლიტიკურად, შეუძლებელი იყო და ბუნებრივია, რომ რევოლუციური გარდაქმნები გახდა საჭირო და აუცილებელიც.

მოწმენი ვართ იმისა, რომ ბევრი რამ უკვე გაკეთდა, თუმცა გასაკეთებელი უფრო მეტია.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველი ვარ და მომწონს, როგორ ეხმაურება თქვენი გაზეთი ბოლო ერთი წლის მანძილზე ქართულ მეცნიერებაში წარმოქმნილ სიძნელეებს, რა ახლოს მიაქვს გულთან.

**ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ბატონი მალხაზის ნამდვილი „სისუსტეა“. უნდა გაჩვენათ, აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე როგორ არ უშვებს არც ერთ შემთხვევას მის საკეთილდღეოდ რაიმეს გასაკეთებლად.**

**ბატონი გიორგი ციციშვილი ქიმიკოსია (მეორე აკადემიკოს გიორგი ციციშვილში, ლიტერატურათმცოდნეში რომ არ აგვერიოს) და მთხოვა, წლეულს სრულიად უნიკალური ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი გამოვიდა და ეგებ დავწეროთ ამაზე, ღირსო!**

**თამაზ ეზანოიძე.**

საზოგადოება

# ქართველი კრეაციონისტების პირველი ნაბიჯები

**XXI საუკუნის პირველსავე წელს, 3 ნოემბერს, სრულიად საქართველოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოსთან ჩამოაყალიბა კრეაციული საზოგადოება, რომელზედაც მზრუნველობა დაავალა სამცხე-ჯავახეთის მეუფე ნიკოლოზს. სამოქალაქო პირთაგან საზოგადოებას ხელმძღვანელობს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ბაღათურია. საზოგადოება თანდათან იკრებს ძალას.**

Creation ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და შექმნას ნიშნავს. სამყაროს შექმნის მიმართ ქართველი კრეაციული საზოგადოების წევრთა აზრი დიდი შოთას სიტყვებით გამოითქმის:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახითა მის მიერითა,
ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა...“

კრეაციული საზოგადოების წევრები უარყოფენ სამყაროს წარმოშობის შემთხვევითობას და მისი განვითარების ევოლუციურ გზას. მეტიც, ორთოდოქსული კრეაციონისტები საერთოდ უარყოფენ ევოლუციას. ამ თეზას ასაბუთებენ ძირითადად არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომ არსად არაა ფიქსირებული გარდამავალი ფორმის დამამტკიცებელი ბიოლოგიური ნამარხი. ევოლუციის სრული უარყოფა ეწინააღმდეგება ძველი აღთქმის ებრაელების მიერ „ბერესიტად“ წოდებულ პირველ თავს, სადაც სამყაროს შექმნის ევოლუციური პროცესი გამოკვეთილია. „დღე ერთში“ ღმერთი ქმნის სამყაროს, რომელიც იყო „უხილავ და განუმზადებელ“. ღმერთი მოითხოვს სიცხადეს: „იყოს ნათელი“, ცვლის შექმნის პროცესს და შეაქვს სიცხადე; „დღე მეორეში“ არის მიწა, დაფარული წყლით და აქვს ჰაეროვანი გარსი; „დღე მესამეში“ წყლები გროვდებიან ზღვებში, ჩნდება ხმელეთი, რომელიც იფარება მცენარეულობით; „დღე მეოთხეში“ ღმერთი ცაზე სახავს დიდ მნათობს – გამგებელს დღისა და მცირე ნათობს – გამგებელს ღამისა. ეს ნიშნავს, რომ „დღე მეოთხეში“ მზის სისტემა რხევებიდან გადადის ბრუნვით მოძრაობაზე. „დღე მეხუთესა“ და „დღე მეექვსეში“ ჩნდება სიცოცხლე, დაგვირგვინებული ადამიანის გაჩენით. ყველაფერი ეს ევოლუციაა, რომლის ავტორიც არის ღმერთი.

კრეაციული მიდგომით „ბერესიტის დღეები“ კვლევის ფართო ასპარეზს ქმნის. ასე, მაგალითად, რატომ იყო „პირველადი სამყარო“ „უხილავ და განუმზადებელ“, ანუ არ მიყვანილი ატომურ-მოლეკულურ სტრუქტურებამდე. რას ნიშნავს „სული ღვთისა მოძრაობდა წყალსა ზედა“? ებრაულად ღმერთით გამოგზავნილი ქარი მოძრაობდა წყალსა ზედა. ირკვევა, რომ „სული“ და „ქარი“ ებრაული სიტყვა „რუახის“ სინონიმებია. პირველად ბერძნებმა თარგმნეს „ბერესიტი“ და იხმარეს „სული“, რომელიც მოძრაობდა წყალსა ზედა“, რა წყალზეა ლაპარაკი? ეს ის „წყალია“, რომლითაც დედამიწა იყო დაფარული „დღე მეორეში“? ირკვევა, რომ წყალი „დღე ერთში“ უნდა ასახავდეს გრანულების იმ სიმრავლეს, რომლითაც მოჰფინა ღმერთმა სამყარო, რომლებიც წარმოადგენენ იდეალისტურ მარცვლებს. ისინი მატერიალისტური ხდებიან, თუ მიიტაცებენ Უ-ფოტონებს. მაშასადამე, ღმერთით გამოგზავნილ ქარში ჩართულია Უ-ელექტრომაგნიტური ტალღების ნაკადი, დასაწყისში მცირე სიმკვრივის, „იყოს ნათელის“ შემდეგ – უფრო ძლიერი. იკვეთება სივრცეები, სადაც გრანულებიდან ელემენტარული ნაწილაკების და ანტინაწილაკების შექმნა (absorbtion) ჭარბობს დაშლას (emission) და სივრცეები, სადაც პირიქით, ელემენტარული ნაწილაკების და ელემენტარული ანტინაწილაკების (რაც იგივეა – ელექტრული მუხტების და ანტიმუხტების) დაშლა ჭარბობს შექმნას. ასე ჩნდებიან „დღის გალაქტიკები“, რომლებიც ფართოვდებიან და „ღამის გალაქტიკები“, რომლებიც იკუმშებიან. ჩვენი გალაქტიკა – „ირმის ნახტომი“ – ჯერ კიდევ ფართოვდება, მაგრამ გაჩნდა „შავი ხვრელი“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გადახრილია „ღამის გალაქტიკისაკენ“.

ასეთი თანდათანი ნაბიჯებით მივედით საინტერესო შედეგამდე: კვანტური და კლასიკური ელექტროდინამიკების გვერდით უნდა არსებობდეს ღვთაებრივი ელექტროდინამიკა, რომელიც ბევრ დაკანონებულს იხილავს კრეაციული კუთხით. ასე მაგალითად, ენერგიის მარადისობის კანონი არ უნდა ვრცელდებოდეს ერთ გალაქტიკაზე, რადგან ენერგიის გადაქაჩვა ხდება „ღამის გალაქტიკიდან“ „დღის გალაქტიკაში“. ენერგიის მარადისობის კანონი ძალაშია სამყაროს მიმართ, რომელიც არის ჩაკეტილი სტრუქტურა. მატერიის მარადისობის კანონი ნიშნავს absorbtion-emission მარადისობას.



მოყვანილი მაგალითები სადავოა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კრეაციული მიდგომის პოზიციებს.

რთული პრობლემაა, როგორ შევიყვანოთ კრეაციული ცნებები სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთი თავსატეხი მხოლოდ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებშია.

**ლევან ჟანტურიშვილი,**
**საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.**

შეხვედრა

# ღირსება ტვირთია

ფართო და მრავალმხრივია თვალსაჩინო მეცნიერისა და მოქალაქის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის მოღვაწეობა. ქალბატონმა ნინომ დიდი ღვაწლი დასდო ეროვნულ მეცნიერებას. მის სახელთან არის დაკავშირებული ექსპერიმენტული მორფოლოგიის განვითარება და აღმავლობა.



ამ დღეებში საქართველოს ქალთა საბჭომ შეხვედრა მოუწყო საბჭოს უცვლელ საპატიო თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს, რომელსაც დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. ქალთა საბჭოს წევრთა გარდა სხდომას ესწრებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალბატონები.

ქალთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ზინაიდა კვაჭაძემ ისაუბრა მეცნიერისა და პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და ღირსეული მოქალაქის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის ღვაწლის შესახებ. მან დამსწრეთ გააცნო იუბილარისადმი მიძღვნილი წერილი და საბჭოს სახელით სიგელი და სამახსოვრო სუვენირი გადასცა.

ღვაწლმოსილ მეცნიერს მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ეთერ ქემერტელიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნათელა ვასაძე, პროფესორები მზექალა შანიძე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე თამარ გოთუა, საქართველოს სახალხო არტისტები დოდო ჭიჭინაძე და ზინაიდა კვერენჩხილაძე, პოეტები ლინა ბარათაშვილი, მთვარისა კერესელიძე და სხვები. მათ ქალბატონი ნინო ჯავახიშვილს ჯანმრთელი სიცოცხლე უსურვეს.

**ბელა ლომთაძე.**

გვწერენ

# სოფელს ხიდი აღარ აქვს

პატივცემულო რედაქცია, სილამაზით (ერთ დროს – სიმდიდრითაც) განთქმულ სოფელ ნატანებში არის გორაკებზე შეფენილი უბანი – ჯაფარეული. ამ უბანს დანარჩენ სოფელთან, რკინიგზასთან და ოზურგეთის რაიონულ ცენტრთან აკავშირებდა ხიდი, რომელიც წყალდიდობამ დაგვინგრია და ექვსი თვეა, 130 ოჯახი გარესამყაროსგან ვართ მოწყვეტილი: ვერაფერს ვყიდით, ვერაფერს ვყიდულობთ. ამან კიდევ უფრო დაამძიმა ჩვენი ისედაც ღუხჭირი ყოფა.

უილაჯო სოფელს რა შეუძლია, ოზურგეთის რაიონის ხელმძღვანელობა კი უფულობას იმიზეზებს. ვერც მაჟორიტარ დეპუტატს ვატყობთ ჩვენი ბედით შეწუხებას.

გთხოვთ, ცენტრალურ ხელისუფლებას მაინც მიაწვდინოთ ჩვენი ხმა, იქნებ, იმათ მაინც მიიტანონ გულთან ჩვენი გასაჭირი, ვიდრე ჩვენც არ გვითქვამს: „მივმართავთ უკიდურეს ზომებს!“.

**რ. თავაძე, ნ. ბაქანიძე, ლ. ბაქანიძე, ჯ. მენაბდე და სხვები (სულ 130 ხელმოწერა).**

ერთი უიღბლო ქორწინების ამბავი

# გენერალ პეტრე ბაგრატიონის პირველი და უკანასკნელი მარცხი

**მრავალი ომისა და ბრძოლის მონაწილე და ყოველთვის გამარჯვებული ქართველი გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა არმიაში და რუსეთის მაღალი წოდების საზოგადოებაში.**

**გენერალ სიმუს ალექსანდრ სუვოროვის ერთგული მოწაფე და სანდო, განუშორებელი თანამებრძოლი, ყველაზე საუკეთესო მხედართმთავრად მიაჩნდათ რუსეთის გენერლებს შორის. ა. სუვოროვი იმპერატორ პავლე პირველისადმი გაგზავნილ წერილში აღფრთოვანებული უსვამდა ხაზს, იტალიის სამხედრო ექსპედიციაში გენერალ პ. ბაგრატიონის დიდ როლს და კიდევ და კიდევ იმეორებდა, რომ იგი ჩინებული სარდალი და უმაღლესი ჩინის ღირსი გენერალი იყო.**

**მოგვიანებით ნაპოლეონიც ხოტბას ასხამდა ბაგრატიონის ვაჟკაცობასა და მხედართმთავრულ ნიჭს. „რუსეთს ერთადერთი ბრძოლისუნარიანი გენერალი ჰყავს – ბაგრატიონი, ისიც მეორეხარისხოვან თანამდებობაზეაო“, – აღნიშნავდა ნაპოლეონი 1812 წლის სამამულო ომის დაწყების წინ. აკადემიკოსი ე. ტარლეც ხაზს უსვამდა გენერალ ბაგრატიონის გამორჩეულობას სხვა გენერლებისაგან.**

იმპერატორები პავლე პირველი და ალექსანდრე პირველიც მაღალი წარმოდგენისანი იყვნენ ქართველ გენერალზე. ოღონდ მომდევნო წლებში, იმპერატორის დის ეკატერინე პავლეს ასულის სიმპათიებმა და წერილებმა პ. ბაგრატიონისადმი, ალექსანდრე პირველის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ქართველი გენერალი პეტერბურგიდან შორს გადაიყვანეს სამხედრო სამსახურში.

პეტრე ბაგრატიონისადმი არმიისა და მოსახლეობის სიყვარული ვერ დაჩრდილა იმპერატორის უკმაყოფილებამ, ვერც ეკატერინე პავლეს ასულის გრძნობები გააცივა ქართველი გენერლისადმი. ეკატერინე პავლეს ასული გაათხოვეს, მაგრამ მეუღლესთან ერთად ჩამოდიოდა ხოლმე პეტერბურგში დედასთან და კვლავ ნახულობდა, თავის სიმპათიებს გამოხატავდა პ. ბაგრატიონისადმი.

1800 წელს, პეტერბურგში დაბრუნებულ ომგადახდილ გმირს იმპერატორიც, სამეფო კარის წარმომადგენლებიც და საზოგადოებაც ზეიმით შეხვდნენ. ყველა ნატრობდა ლეგენდარულ გენერალთან შეხვედრას. პ. ბაგრატიონის საბრძოლო დამსახურებით კმაყოფილმა იმპერატორმა 1801 წლის აპრილში, მდიდარი სოფელი უბოძა მას ლიტვის გუბერნიაში. პ. ბაგრატიონს არ აინტერესებდა მამულები, ნაბოძებ სოფლებს არც კი მოინახულებდა ხოლმე, ისე ჰყიდდა. ამჯერადაც ასე მოიქცა. მას არც სოფლის და არც ყმა-გლეხთა მოვლა არ შეეძლო და არც დრო ჰქონდა. ლაშქრობიდან დაბრუნებული პეტერბურგში ცხოვრობდა და თითქმის ყოველთვის ესწრებოდა მეჯლისებსა და საღამო-გართობებს.

ერთ-ერთი ასეთ გართობისას პ. ბაგრატიონი პეტერბურგელმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალიშვილმა ეკატერინე პავლეს ასულმა სკავრონსკაიამ შენიშნა. ქალიშვილმა ბევრი რამ იცოდა ქართველი გენერლის გმირული ბრძოლების შესახებ და მისი გაცნობა მოინდომა. პ. ბაგრატიონმა არ მოისურვა უცნობი ქალიშვილის გაცნობა და თავისი სამსახურისაკენ წასვლა დააპირა. წინ ეკატერინე სკავრონსკაია გადაუდგა, ქედმაღლურად და თავხედურად გაიცნო იგი.



ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი.

ქალიშვილი სრულებითაც არ ფიქრობდა პ. ბაგრატიონზე გათხოვებას. ქართველ გენერალს შეუყვარდა იგი, მან კი მისი სიყვარული არაფრად ჩააგდო.

ეკატერინე სკავრონსკაია მდიდარი და ცნობილი, სამეფო კართან დაახლოებული მშობლების ასული გახლდათ. იგი დაბადებით სამეფო დინასტიის ახლო ნათესავიც იყო. მისი ბებიის მამა კარლ სკავრონსკი ხელმწიფე-იმპერატრიცა ეკატერინე პირველის ღვიძლი ძმა იყო. ტახტზე დის ასვლისთანავე (ეკატერინე პირველი იყო ლიტველი გლეხის სამუელ სკავრონსკის ასული. 1702 წელს იგი ტყვედ ჩაუვარდა რუსებს. პეტრე დიდმა შეირთო ცოლად და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ – 1725 წელს რუსეთის იმპერატრიცა გახდა), 1725 წელს, კარლ სკავრონსკიმ აზნაურის წოდება მიიღო დიდძალი მამულებით. კარლ სკავრონსკის შვილიშვილი პავლე მარტინის ძე რუსეთის ელჩი იყო ნეაპოლში, სადაც გარდაიცვალა 1793 წელს. სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე იგი დაქორწინდა პოტიომკინის დისშვილზე – თავის დროზე ულამაზეს ქალზე ეკატერინე ვასილის ასულ ენგელგარდტზე. ამ ქორწინებიდან მას შეეძინა ორი ქალიშვილი, ჩვენთვის საინტერესო ეკატერინე და მარია.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, გრაფინია ეკატერინე ვასილის ასული სკავრონსკაია მეორედ გათხოვდა, გრაფ ლიტაზე, 1798 წელს.

ეკატერინე არ აპირებდა პეტრე ბაგრატიონზე გათხოვებას, მაგრამ 1800 წელს, იმპერატორ პავლე პირველის ბრძანებით, იგი ცოლად გაჰყვა გენერალს. ეკლესიაში საქორწინო ცერემონიალს იმპერატორი და მისი მეუღლე ესწრებოდნენ. ნათლია იმპერატორი პავლე პირველი იყო.

მრავალ ბრძოლასა და ომში გამარჯვებული გენერალი ბაგრატიონისათვის ეს პირველი და უკანასკნელი დამარცხება გახლდათ. უიღბლო ქორწინების საფუძველი მათ შორის 20 წელი სხვაობა და ეკატერინეს მსუბუქი ყოფაქცევა იყო. ეს ძალიან ლამაზი ქალი მაღალი წოდების ბევრი წარმოსადეგი პირის ყურადღებას იპყრობდა.

ეკატერინე სკავრონსკაია პეტრე ბაგრატიონზე ყოველგვარი გრძნობების გარეშე, წინდაუხედავად გათხოვდა. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ მხედართმთავარსა და მომავალი 1812 წლის სამამულო ომის გმირს პეტრე ბაგრატიონს მეუღლეობა ვერ გაუწია სიმდიდრით, სილამაზით, მრავალი თაყვანისმცემლითა და მსუბუქი ყოფაქცევით განთქმულმა ეკატერინე სკავრონსკაიამ.

ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგაც პეტრე ბაგრატიონი სამხედრო საქმეებით იყო დაკავებული. მის მეუღლეს ერთი სული ჰქონდა, როგორმე მეუღლე დაეტოვებინა და საზღვარგარეთ წასულიყო. 1805 წელს ევროპაში საერთაშორისო ვითარება დაიძაბა. ქართველმა გენერალმა ბრძოლის ველს მიაშურა, მეუღლემ კი დრო იხელთა და საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა საბოლოოდ დაშორებოდა ქმარს. იგი მეტწილად ვენაში იყო და მაღალი წოდების წარმომადგენლებთან მხიარულად ატარებდა დროს.

შვედების წინააღმდეგ ომის დასრულებას რამდენიმე თვე სჭირდებოდა, როცა 1809 წლის მარტში პ. ბაგრატიონმა 17-ათასიანი კორპუსით ყინულიანი ყურე გადალახა. კორპუსს წინ მიუძღოდა ავანგარდი კულნევის მეთაურობით. განსაცდელის წინაშე მდგარ მებრძოლებს, კულნევმა მიმართა: „ღმერთი ჩვენთანა! მე თქვენს წინ ვარ! ჩვენ უკან თავადი ბაგრატიონია!“ ბაგრატიონის კორპუსმა და მთლიანად არმიის გმირობამ აიძულა შვედების მთავრობა ზავი მოეთხოვათ. 1809 წლის სექტემბერში ზავი დაიდო. რუსეთმა ფინეთი და ალანდის კუნძულები მიიღო.

1809 წლის მარტში „სანკტ-პეტერბურგის ვედომოსტმა“ ყველას ამცნო, რომ „შვედების წინააღმდეგ ბრძოლებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის გენერალ-ლეიტენანტ ბაგრატიონს ინფანტერიის გენერლობა, ანუ ქვეითი ჯარის სრული გენერლის ჩინი ებოძა“. პეტერბურგში პეტრე ბაგრატიონი ყველაზე ცნობილი და ყველაზე საყვარელი პიროვნება გახდა. ყველას აინტერესებდა მასთან შეხვედრა და საუბარი. მისი მეუღლე კი ვენაში ფუფუნებით ცხოვრობდა. მას დიდძალი ვალი დაედო და გადაწყვიტა დახმარება მეუღლისთვის ეთხოვა. ვენიდან ვ. ბოგოლიუბოვი გააგზავნა ბაგრატიონთან მოსალაპარაკებლად. ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი დარცხვენილი და ქედმოდრეკილი კი არ ითხოვდა დახმარებას, არამედ მისი განცხადებით, თურმე ვალებსა და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის მიზეზი პ. ბაგრატიონი იყო. მიუხედავად ასეთი უსამართლო ჭორებისა, ბაგრატიონმა საკმაოდ დიდი თანხა გაუგზავნა.

ეკატერინე სკავრონსკაიას მამინაცვალმა გრაფმა ლიტამ რამდენიმე ათეული ათასი მანეთი მისცა სესხის სახით. როცა გრაფი ლიტა გარდაიცვალა, მის საბუთებში ნახეს ანდერძი, რომლითაც თავის ნამდვილ იტალიელ მემკვიდრეებს ავალებდა, ეკატერინე სკავრონსკაია არ შეეწუხებინათ ამ ფულის მოთხოვნით.

ეკატერინემ ვალები გაისტუმრა, ეკონომიკური მდგომარეობაც გამოუსწორდა ბაგრატიონის წყალობითა და მამინაცვლის დახმარებით.

ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში ბოროდინოს ველზე მიღებული ჭრილობით პეტრე ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, ეკონომიკურად გაძლიერებული „ქვრივი“ – უფრო ღია აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა.

1813-14 წლებში, იგი ავსტრიის მინისტრის მეტერნიხის საყვარელი იყო. 1814 წლის ბოლოს ვენაში გამოჩნდა ულამაზესი ქალბატონი ჰერცოგინია დე საგანი ორჯერ ნაქმრევი (პირველ ქმარს ლუდვიგ დე როგანს 1805 წელს დაცილდა. მეორე ქმარს ვასილ ტრუბეცკოისაც მალე გაეყარა. მესამე ქმრად გრაფი რუდოლფ ფონ შულენბურგი ჰყავდა, რომელზედაც 1819 წელს გათხოვდა).



პეტრეს მეუღლე ეკატერინე პავლეს ასული სკავრონსკაია-ბაგრატიონი.

ჰერცოგის ასულმა დე სანგმა მალე მიიპყრო მეტერნიხის ყურადღება და დაისაკუთრა კიდეც. ეკატერინე სკავრონსკაიამ საყვარელი დაკარგა. ამის გამო, სამუდამოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს ეკატერინე სკავრონსკაია და ქალბატონი დე საგანი, რომლებიც შემთხვევით ერთ სახლში ცხოვრობდნენ.

ეკატერინეს დიდხანს არ უნაღვლია მეტერნიხთან დაცილება. მალე მისი ხშირი სტუმარი გახდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I. ეკატერინე სკავრონსკაიასთან იკრიბებოდნენ ალექსანდრე I და მისი ახლობლები. ქალბატონი დე საგანთან კი – მეტერნიხი და მისი ახლობლები. ავსტრიის პირველ მინისტრ მეტერნიხსა და ალექსანდრე I-ს შორის ზიზღმა იჩინა თავი. იმდროინდელი საიდუმლო პოლიციის მოხსენებებში ხაზგასმული იყო ეკატერინე I-ის ძმის შვილიშვილის ეკატერინე სკავრონსკაიასა და ალექსანდრე I-ს შორის არსებული ინტიმური კავშირი. ეკატერინე იმდენად თავშეუკავებელი იყო, რომ ყველას უყვებოდა ალექსანდრე პირველთან შეხვედრებსა და მასთან გატარებულ დროზე. მისი ზეგავლენით ალექსანდრე აღარად აგდებდა ჰერცოგის ასულ დე საგანს, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე დიდი სიმპათიით შეჰყურებდა. მეტერნიხს შესძულდა სკავრონსკაია, მას აღარ ეპატიჟებოდნენ ავსტრიის ყოვლისშემძლე მინისტრის მეჯლისებზე, სამაგიეროდ ეკატერინეს სჯეროდა, რომ ალექსანდრე პირველთან სიახლოვე მის სახელს განადიდებდა ავსტრიის სამეფო კარზე. სინამდვილეში, ასე არ მოხდა. მისი სახელი არა თუ არ განდიდდა, არამედ საყოველთაოდ დაეცა.

ამას დაემატა ისიც, რომ ალექსანდრე პირველის ყურადღება მიიპყრო ვენის დიდებულმა ულამაზესმა სოფიო სიჩმა. მსუბუქი ყოფაქცევის ეკატერინე სკავრონსკაიას ძალიანაც არ წყენია იმპერატორ ალექსანდრე პირველის საქციელი, მან თავის მხრივ ბავარიის ახალგაზრდა პრინცისაკენ იბრუნა პირი, რაც მალე პოლიციის საიდუმლო მოხსენებებში გამომზეურდა. ამ პერიოდში მეტერნიხიც გაცივდა ლამაზი დე საგანისადმი. ეს ქარაფშუტა ქალი ურცხვად ღალატობდა ავსტრიის ყოვლისშემძლე მინისტრს მეტერნიხს.

იხ. მე-7 გვ.

ინფორმაცია

## თურქული გემი დააკავეს

**საქართველოს სასაზღვრო უწყების სანაპირო დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა გუშინ, გამთენიისას, აჭარაში თურქული ხომალდი „ისმაილ ჩოლოღლუ“ დააკავეს. ამის მიზეზი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უნებართვოდ შემოსვლა გახდა, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მიხედვით 50 ათასი ლარის ჯარიმას ითვალისწინებს.**

**სავარაუდოდ, გემი სარფის დახურულ უბანში საწვავის ზედმეტი ხარჯების აცილების მიზეზით შევიდა. ტვირთმზიდს, სააგენტო „ბრავოსთან“ დადებული ხელშეკრულების თანახმად, ჯართი ბათუმიდან თურქეთში უნდა გადაეტანა.**

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სააგენტო „ბრავოს“ ხელმძღვანელი აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის ლევან ვარშალომიძის ძმა ირაკლი ვარშალომიძეა.**

**წლეულს აჭარაში თურქული გემები უკვე ექვსჯერ დააკავეს. ოთხ შემთხვევაში, გემების მეპატრონეებმა ადმინისტრაციული ჯარიმები გადაიხადეს, ერთხელ კი, საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მითითებით, გემი ადმინისტრაციული სასჯელის გარეშე გათავისუფლდა.**

## სახელმწიფოსთვის თანხების დამალვაში ამხილეს

ქუთაისში სააქციო საზოგადოება „აისის“ ხელმძღვანელობა სახელმწიფოსთვის 14 300 ლარის გადასახადის დამალვაში ამხილეს.

“აისი“ სახელმწიფო დაკვეთებზე მუშაობს და ელექტროსაქონელს, მათ შორის ელექტრომრიცხველებს ამზადებდა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ფინანსური პოლიციის ქუთაისის ოპერატიულ განყოფილებაში განუცხადეს, საწარმოს დირექტორი თემურ გოგისვანიძე სახელმწიფოს დამატებითი ღირებულების, ქონებისა და სოციალური დაზღვევის გადასახადებს უმალავდა.

ფინანსური პოლიციის წარმომადგენლის, დავით ფოცხორაიას თქმით, სს „აისის“ წინა წლების დავალიანება ბიუჯეტის მიმართ 1 მილიონ ლარს აღემატება.

საწარმოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **ინტერ-პრესი.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 282, კვირა, 5 დეკემბერი, 2004 წელი.

**მოთხრობა**

## ნუგზარ შატაიძე

ლიტერატურული პალიტრა

# ცოფი

ჩვენი ჯერ არ მოგვეკრიფა, ხეივნისა ჯერ ისევ ესხა და სჭამდნენ ჩიტები. გაუვარდებოდა ჩემი კაცი ყვირილითა და ტაშისცემით — გაეცლებოდნენ ის გასაწყვეტლები, შესხდებოდნენ, შეიხორხლებოდნენ თუთაზე და გამოსცქეროდნენ იქიდან. შინ რომ შემოვიდოდა, აიშლებოდნენ, მობრუნდებოდნენ და დაუწყებდნენ ისევ ჭამას. ახლა უნდა გენახა, ქა, ზოგი თავდაყირა ეკიდა და ისე კიკნიდა მარცვალსა!

დატანჯეს კაცი.

მე ვუთხარი, ადექი, მოკრიფე და მოიშორე-მეთქი!

აბა, რას ამბობ, ქალო, მჟავეა ჯერაო.

მა ეგ ჩიტები რაღამ დააქიმითა-მეთქი, ქა?

რა ვიცი, გაუწყდათ მაგათ სინსილაო!

გაიტანა ბოლოს სკამი, დაჯდა, დაიჭირა ცოცხი და დაუწყო ქშევა. ჯერ ახლო არ ეკარებოდნენ. ისხდნენ ზოგი კაკალზე, ზოგი — თუთაზე და უყურებდნენ იქიდან. მერე ნელ-ნელა გაუბედეს — ჯერ ერთი მოფრინდა, მერე — მეორე. სხედან, განა სჭამენ ან რამე, არა, სცდიან, აბა, ერთი, რას იზამსო. აიშალა ბოლოს მთელი დუნდგო და წამოვიდა თათრის ჯარივითა!

ჯერ ცოცხი ესროლა და გააფრთხო, მაგრამ ისევ რო მოფრინდნენ, ატეხა ერთი ტაშისცემა და ყვირილი — აგინებს, აგინებს, რო მეტი არ იქნება, აღარ შეარჩინა მკვდარი და ცოცხალი, მაგრამ არ ეპუებიან, ქა?

ჩამოიარა ეფრემას ბიჭმა, გადმოეყუდა ღობეზე და უყურებს გაკვირვებული: რა იყო, გოგი, რა მოგივიდაო?

რაღა რა მომივიდა, კაცო, გამაგიჟეს ამ ჩიტებმა, ყურძენს მიჭამენო!

მერე, არ იცი მაგათი წამალიო?

რა წამალიო?

რაიო და კონსერვის კარობკები უნდა დაუკიდოო!

რა კარობკები, ბიჯო, რას ამბობო?

მე ვუთხარი — შენი ჭირიმე, კოლა, მოდი, თუ იცი რამე, გვასწავლე, თორე დაიტანჯა კაცი, აი, ქათმები, რომელსაც ხელს დაადებ, იმას დაგიკლამ-მეთქი!

წავიდა, მოიტანა საიდანღაც ერთი დიდი კალათა თუნუქის კოლოფი, ჩამოამწკრივა მთელ ხეივანზე და ერთმანეთზე მავთულით გადააბა, მერე უცებ ჩამოსწია ის მავთული და ისეთი ქლარუნი აუყენა, რომ ძაღლმა კუდი ამოიძუა და ეზოდან წკავწკავით გავარდა. ჩიტებს ხო თვალიც ველარსად მოვატანეთ!

დავუკალი კარგი ჯაჭვედა დედალი, გავუშალე ლაზათიანი სუფრა, მაგრამ სულ ტყუილად.

ჯერ კი ერიდებოდნენ, მაგრამ მერე და მერე ისე შეეჩვივნენ, ისე გაუთამამდნენ, რო აინუნშიც აღარ აგდებდნენ.

მოკლედ, სულ გაგალეს მთელი ხეივანი, ერთი საღი მარცვალი აღარსად შაარჩინეს!..

დარჩა ეს საწყალი ჩემი ქმარი იმ წელიწადს ულვინოდ და ჩამოყარა ყურები, მაგრამ ჩამოიარეს ერთ მშვენიერ დღესაც ვიღაც ჯეელმა ბიჭებმა ყვირილით — ყურძენი, დასაწური ყურძენიო!

გავედით, გავხედეთ — კახელები არიან დიდი მანქანითა.

რას აფასებთო?

ორმოცდაათ თეთრს კაპიკი არ მოაკლდებაო.

მუქთი, ქა!

გავუსინჯეთ გემო — შაქარი!

განა შეევაჭრა ან რამე, არა! ბიჭის ქორწილისთვის რის ვაინაჩრობით შეკოწიწებული ერთი ხუთასი ლარი მქონდა შენახული, მაიტა აქაო! და გამოვუტანე, რაღას ვიზამდი...

ჩვენ ახლოს არ მიგვაკარეს — იმ კახელებმა სულ თავისი ზურგით შეზიდეს მარანში ერთი ტონა ყურძენი და გაამსეს საწნახელი. გოგიამ თვალი მიყო — აბაო, დატრიალდი ეხლა შენებურათაო და გავუშალე მეც კარგი სუფრა.

დასხდნენ და დაიწყეს პატარა ჭიქებით სმა. ახლა სჭამენ, სჭამენ, საწყლები, რო სულ ერთმანეთსა სტაცებენ ხელიდანა. მშივრები, ქა!

მამიკვდა გული.

ცოტა რო დანაყრდნენ, ერთი ეუბნება: გოგია ძიაო, ამ ყურძენს ძაან მაღალი შაქრიანობა აქვს და, იცოდე, წყალი უნდა დაასხაო, ას ლიტრაზე ათი ლიტრა მაინც უნდაო.

ხოოვო, ეგრეაო, — უთხრა მეორემაც, შოფერმა — არ დაასხამ და ცოფი გამოგივაო.

დავასხამ, მა რას ვიზამ, კაცოო, მააო! — და ეცინება ულვაშებში თავისებურად.

ის ბიჭები რო გააცილა, მობრუნდა და — აბა, დედაკაცო, წყალი გაათბე, ფეხები უნდა დამბანოო!

მე ვუთხარი, კაცო, ნასვამი ხარ, დაწექი, დაისვენე, სად გაგექცევა ეგ ყურძენი-მეთქი.

არა, თავისნათქვამაა ძალიან.

რაღა უნდა მექნა, გავათბე წყალი, ჩავაყრევინე ტაშტში ფეხები და ვბან. რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის, მივუგდე ყური — წყალი არა, მაგათი ყველაყისამაო, გამომივიდნენ ეგენიც მასწავლებლებიო!..

მე ვუთხარი, კაცო, გოგი, ადგილის კურდღლისა ადგილის მწევარმა უფრო არ იცის? რახან გითხრეს, კიდეც უნდა დაასხა-მეთქი.

ნეტაი შენა, მოგცლიაო და ჩადგა საწნახელში.

პირველი წვენი რო წამოვიდა, მომატანინა ჭიქა და დაილოცა — აბაო, მრავალ შემოდგომას დაგვასწროსო, ბარაქა და დოვლათი არ მოგვაკლოს ღმერთმაო! — მიიყუდა, დალია და გაუნათდა თვალები, — რა არი, რა არიო! გასინჯე შენცაო.

დავლიე, ტკბილია, ტკბილი, რო ყელსა სწვამს!

კაცო, ძაან ტკბილია-მეთქი.

მა როგორ გინდაო, ესაო კახური რქაწითელია, განა ჩვენებური კრიკინააო!

ხოო და, იმიტომაც უნდა წყლის დასხმა, კრიკინა რო არ არი-მეთქი;

აბა, ყური მიგდე, დედაკაცოო, იმათი ანგარიშით, იცი ამას რამდენი წყალი უნდაო? ორამოცდაათი ლიტრაო!

ცოტა არ იყოს, მეც შევფიქრიანდი, ქა — ამდენმა წყალმა ემანდ ღვინო არ წაახდინოს-მეთქი და გავჩუმდი, აღარაფერი მითქვამს.

სამი კვირა ჭაჭაზე ადუღა და მერე ბალონებში გადაიღო. ნოემბერში კიდევ გადაიღო და დეკემბერში, მესამედაც რომ გადაიღო, ძმისწულები ჩამოუვიდნენ ქალაქიდან. დალიეს, მოილხინეს. უფროსი ბიჭი იძახდა, კახურად დავასხათ, კახურად, თორემ დაგვხოცამს ესაო, ძაან მაგარიაო, მაგრამ ვინ დაუჯერა, სუ პირთამდინ ავსებდნენ და ბოლომდინ სცლიდნენ.

ჯერ ის საღვინეც არა ჰქონდათ ძირამდინ დაყვანილი, რო უმცროსი ბიჭი აუხირდა — შენაო, ბიძაჩემოო, ჩემი ძმა გიყვარს და მე არაო!

აბა, რას ამბობ, კაცოო?

რასაც ვამბობო!

არაო, შვილოო, შენც მიყვარხარო!

არაო, არ გიყვარვარო!

მიყვარხარო!

არ გიყვარვარ, შენი ასე და ისეო! — და წამოავლო საღვინეს ხელი.

ატყდა ერთი დავიდარაბა და წიოკი. დიდი ბიჭი შუაში ჩავარდა, ეხვეწება, ემუდარება — კარგი, ბიჭო, რა მოგივიდა, ცოფი ხო არ დალიეო! მაგრამ აღარა ქნა, ქა, ისეთი პირით აგინა, ისეთები უთხრა, რო ყურში არ შეიშვებოდა. ბოლოს წამოხტა და გავარდა იმ უკუნეთში გარეთ.

ავიღეთ ფარნები და წავედით სამივენი საძებნელად. მაგრამ რაღას ვიპოვიდით — დაეკრა თურმე ფეხი და ქალაქში წასულიყო.

მივბრუნდით შინა. ისეთები ვართ, დანა რო დაგვკრა, სისხლი არ გამოგვივა, არც მე და არც იმათ.

არ უნდა მეთქვა, მაგრამ გაბრაზებული ვიყავი და ველარ მოვითმინე — კაცო, ხო გითხრეს და რატო არ დაასხი ის ოხერი წყალი-მეთქი!

ჰე, გაგიჟდა, გასულელდა, სუ მილეწმოლეწა ყველაფერი. ძმისწული რო იქ არა ჰყოლოდა, უსათუოდ მომკლავდა!

არაო, — იმანა თქვა, — ღვინო რა შუაშიაო, პირველად ხო არ აკეთებს, არ იცით, რანაირი ხასიათი აქვსო?

ერთი კვირის მერე ჩვენი ბიჭი მოვიდა, ენაცვალოს იმას დედა!

ბიჭო, გურამო, ეს ახალი ღვინო რო არ გაგისინჯია შენაო?

დასხდნენ და დაიწყეს სმა.

გოგია კახურად ასხამს, ლამის ნახევრად ავსებს ჭიქებსა, ის კიდევ: თითო პალტავა არ დავლიოთ, მამიო?

ეს პალტავა უნდა ნახოთ, რა არი — ნახევარ ლიტრაზე მეტი ჩადის შიგა!

არაო, შვილო, ჭიქებითა ვსვააათ, ესე აჯობებსო.

ეე, გაშრა, კაცო, ყელიო!

დამიჯერე, შვილო, სხვანაირი ღვინოა ესო.

რა სხვანაირი, მაგისთანები დამილევიაო?

ცოფია, ბიჭო!

მაიტა, დედი, პალტავა მაიტაო!

რა ვქნა, გოგი-მეთქი?

მოუტანე და ჩაიხეთქოს მუცელიო!

მივუტანე.

დალია. შენაო, მამიო, რათა ხარ ეგეთი ქმოტიო?

რა ვარო?

რაც გაიგეო!

არა, არა, რა არი ეგა, რა სიტყვააო.

რაი და ძუნწი ხაარო.

ბიჭო, უმაღლესი დაგამთავრებინე, ქალაქში ბინა გიყიდე, გაცმევ, გაჭმევ, გახურავ და კიდე მე ვარ ქმოტიო?!

ძუნწი ხარ, მა რა ხარ, ერთი მანქანა გენანება რო მიყიდოო!

კაცო, სადა მაქ მანქანის ფულიო?

ისე კარგა გააქო, რო!

მაშ, მტყუნისო?

მტყუნის დედაო!

რაიო?!

წადი, შენიო, და წამოავლო იმანაც საღვინეს ხელი, უნდა დაარტყას, ქა! ჩავვარდი შუაში. ატყდა ერთი გამიშვი და გამომიშვი. ვწივივარ და ვკივივარ, ვწივივარ და ვკივივარ. ესენი იგინებიან, იგინებიან, რო აღარაფერი შეარჩინეს ერთმანეთს. ახლა, ხან აქედან მომხვდება თავში, ხან, — იქიდან, იმ გაწევ-გამოწევაში სუ შემომახიეს ხალათი.

ძლივს დავაშოშმინე, ქა!

ბიჭს მაღლა გავუშალე ლოგინი, ამას დაბლა, ფეჩთანა.

მე შუაღამემდე არ დამეძინა — ვიტირე, ვივაგლახე.

დილით რაღაც ლაწალუწის ხმამ გამაღვიძა. ვაიმე! წამოვხტი და გავვარდი კარში.

შესულა ჩემი ქმარი მარანში, შეუტანია დიდი კეტი და ამტვრევს ამ სავსე ბალონებსა!

ვეცი ხელებში, რას აკეთებ, კაცომეთქი!

მამეცა, უნდა დავლეწო სულა, ამისი მამტანის მკვდარი და ცოცხალი, ამისიო!

შე კაი კაცო, მაგის მამტანმა არ დაგარიგა, წყალი დაასხიო, რატო არ დაასხი-მეთქი!

ოხ, შენი დედა, შენიო და დამიშვა კეტი. აი, ეხლაცა მტკივა მხარი.

შემოვარდა ბიჭი და გამოუწია ყელი: ბოდიში, მამი, მაპატიე რა, მე ვარ ყველაფერში დამნაშავეო.

არაო, შენ არაო, კახელების ბრალია ყველაფერიო, მაგათი ასე და ისეო!

გამოვბრუნდი და გამოვედი გარეთ.

აბა, ის კახელები რა შუაში იყვნენ, საწყლები, კარდაკარ მოსიარულენი, მშივრები, ქა, მშივრები. ხო უთხრეს, წყალი დაასხი, თორე ცოფი გამოგივაო, რატო არ დაასხა.

თავისნათქვამაა და იმიტომა.

**„ლიტერატურული პალიტრა“**
**№ 3, დეკემბერი.**



**პოეზია უპირველეს ყოვლისა**

## ირმა მეზურიშვილი



### მზე მეძახის აფხაზური

აგერ ჩემი მიწის რუკა,
სისხლით როა დახაზული,
როგორ უნდა მოაცილო
მიწა და ზღვა აფხაზური.
ოდითგან რომ ქართულია,
რასაც ქვია აფხაზური...
რუსს ვუმტკიცო და ვაყარო
კედელს ცერცვი აღარ მსურის!
თუ ღმერთმა ქნა და უომრად
დავიბრუნეთ აფხაზეთი...
ვფიქრობ ჩემთვის, ვერ ვიძინებ
გულმოკლული ამ ღამეთი.
იქ დარჩენილ ძმათა ჩვენთა,
აშვებული — აფრად სული
მაიმედებს, გაგვამთელებს
სატკივარი აფხაზური.
საშველზე ფიქრს როგორ დათმობ,
თუ მდაბალი არ ხარ სულით,
ლაჟვარდებში მოელვარე
მზე მეძახის აფხაზური.

### ის ატმის ხე

ის ატმის ხე, მე რომ ბაღში შევამჩნიე,
გამიკვირდა, ანთებული ისე მგავდა...
ყვავილების სუნთქვას ვეღარ შევაჩვიე
სუნთქვა, უცებ გამაბრუა გამბანგავმა.
მირს მიწაზე დაცვენილი ვარდფურცლები
ქარით ისე აფარფატდნენ, აფრიალდნენ,
შემეწანა, ვით ოცნება დაუცველი,
ის ატმის ხე, მოუვავილე აპრილამდე.

* * *

გამორკვევა აღარ მალმიძს
სულის ყრუს და უჩინოსი,
მესმის კვნესა უჩუმესი,
ჩემი ასე ურჩი მესი.

* * *

არც ჩემი ცის, არც შენი ცის
მზე არ არის სამშვენისი.
მზე თვით უფლის სანთელია,
ამ სალოცავს რა შემიცვლის.
რად აგვენთო ცის ტატნობზე
არც მე ვიცი, არც შენ იცი.

### გალაკტიონს

სულ მინდოდა ვყოფილიყავ, მეოცნებე,
შენებრ ბავშვი,
სიზმარშიაც, სიზმარშიაც ვიყავ ლექსის
შენებაში,
სულ მინდოდა, და როდესაც პოეზიის
შევედ ბაღში,
რაც ვარდში და შროშანშია ვპოვე ის
მშვენებაში.

### იქ... ციხისძირში

ცა ერთხელ მინაგნები,
სადაც მზე ცეცხლს იკიდებს,
სად ოცნებებს ვაგებდი
დამაბრუნებს იქ კიდევ.
დამაბრუნებს იქ როსმე —
ჩიტმა ჩიტს რომ გაუბა
სტვენა, კვლავაც მოვუსმენ
გაზაფხულის საუბარს.
დამაბრუნებს ტალღები
რომ ვისხურე ის ყურე,
სად სივრცეებს გავყევი,
სადაც ვიგულისყურე.
მარწევდნენ ქარები ხან-
დახან ტალღა-აკვანით,
სადაც შენ მევარებიხარ
ქარების მინამგვანი.

**გულის ბუხარი**

**რობერტ ძერია**

## 4. არეულ ტალღაზე

**ჩაფიქრებული კაცის ჩანაწერები**

### ღარიბი ნათესავივით სკამის კიდეზე ჩამომჯდარი დიდაქტიკა

საზარელი ამბავი.

გაკვეთილების დროს სკოლის მიგდებულ ოთახში 14 წლის ყმაწვილმა 6 წლის გოგონა გააუპატიურა.

მშობლებისთვის ტკივილის განახლება ზნეობა არ არის.

ეს მეც კარგად ვიცი.

უთქმელობაც რომ არ ივარგებს, ესეც ნამდვილია.

არ მომხდარა მორიგი კრიმინალური დანაშაული.

ზნეობრივად უფრო რთული საქმეა.

კითხვებია ბევრი:

როგორ მოხდა?

რატომ არ იყო ოთახის კარები დაკეტილი?

რას აკეთებდა ამ დროს მორიგე პედაგოგი?

კლასის ხელმძღვანელი?

ეს კითხვები პირველ რიგში სამართალდამცავებს გაუჩნდებათ, რომლებიც, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ვენდობით, „საქმეს იძიებენ.“

დარწმუნებული არა ვარ. მხოლოდ მეეჭვება: შეიძლება საერთოდ არ გაჩნდეს ის კითხვა, რომელიც მთავარი და არსებითია: რამ განაპირობა შემთხვევა?

ამაზე სამართალდამცავები პასუხს ვერ გასცემენ. ეს მათი კომპეტენცია არ არის.

სამსახურებრივი მოვალეობის თვალსაზრისით, თორემ ყოველთვის მთავარი სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა.

უმთავრესად ამ კითხვაზე.

ჩვენ დიდი ხანია მივეჩვიეთ კამათს. ახლაც ვკამათობთ. უფრო მეტად ერთმანეთს ვლანძღავთ იმის გასარკვევად, თუ რა და როგორ უნდა ვასწავლოთ.

აქედან სურათი, გნებავთ ლოზუნგი — სწავლება და აღზრდა.

ერთადერთი: სწავლება და აღზრდა.

აღზრდა ყოველთვის — მეორე. არსად, არასდროს პირველი.

სწავლებისა და აღზრდის პროცესის მთლიანობაზე საუბარი აქ უადგილოა. სრულიად სხვა თემაა — როგორც ამბობენ, მკვლევარი პედაგოგების განსაჩხრეკი.

აქ მხოლოდ ჟურნალისტური განსჯაა.

შიშველი ფაქტები.

გახშირებულმა რევოლუციებმა კიდევ უფრო უკან გადასწიეს აღზრდის ურთულესი პროცესი.

მშობელმაც კარგად ისარგებლა: სკოლას გადააბარა სწავლაც და აღზრდაც.

არა!

ეს უფრო ადრე მოხდა — 10-15 წლის წინათ.

მაშინ გაცხადდა ხალხური სიბრძნის სიღრმე და შორი ხედვის უნარი.

ყვავმა უთხრა თურმე ბუს: შენ დიდი თავი გაქვს და ბარემ ჩემი შვილიც იტირეო.

ბუს მართლა დიდი თავი აქვს, მაგრამ დღისით მხედველობა ეკარგება.

მხოლოდ ლანდებს ხედავს მზის შუქზე.

ლანდი თიხა არ არის.

ვიცი ვცოდავ და მაინც:

თიხა არის მოზარდი. იგი ცხელ ქურაში ადამიანად უნდა გამოწვას ოჯახმა, სკოლამ, საზოგადოებამ.

ერთად.

ერთიანი ძალისხმევით.

კატეგორიულად რაიმეს მტკიცება უმადური საქმეა, მაგრამ ასეთი ერთობლივი ძალით უმრავლეს შემთხვევაში მაინც თავიდან ავიცილებთ მოზარდებთან დაკავშირებულ ყველა უგვან შემთხვევას.

მოზარდებთან კი არა, საერთოდ მომავალში ასაფეთქებელ დენთსაც, რომელზედაც ახლა ვსხედვართ.

ვიცი: ეს ლაპარაკი მართლა შიშველი პუბლიცისტიკაა, მაგრამ იქნებ ინებოს უფალმა და დედოზარების თუ არა, პატარა წინწკილების დარისხებად მაინც ივარგოს.

საგანმანათლებლო რეფორმის კანონპროექტშიც დიდაქტიკა ღარიბი ნათესავივით სკამის კიდეზე ზის ყოველწუთს გადმოსავარდნად გამეტებული...

კარგად მახსოვს:

ჩემს ბავშვობაში 14-15 წლის ყმაწვილი სოფლის შარაზე რომ გაივლიდა, პირველივე შემხვედრი უსათუოდ გამოკითხავდა:

ვისი იყო.

სად მიდიოდა.

მშობლებმა თუ იცოდნენ შინიდან გამოსვლის მიზეზი, დრო.

ეს იყო წინათ.

დიდი ხნის წინათ.

მაშინ ყველა ერთმანეთს პატრონობდა, ღობის გასამაგრებელი სარივით ედგა გვერდში შეჭირვებულს, ჭირსა და ლხინს იზიარებდა, ზრდიდა, გზაზე აყენებდა არა მარტო სისხლ-ხორცეულს — სრულიად უცხოსაც კი.

ახლა არსად, არასოდეს არავინ კითხულობს:

ვისი ხარ?

სად მიდიხარ?

მშობლებმა რა იციან?

იარე!

სადაც გინდა, როგორც გინდა, მაშინ, როცა მოგესურვოს და გაგიხარდეს.

ძნელი ამოსათქმელია, მაგრამ რა ვქნა: ასე და ამგვარად მხოლოდ იქ მივალთ, სადაც არ უნდა მისულიყავით — მაშინ, როცა ღრმად დაფიქრებას დავაგვიანებთ.

მერე ფიქრის დროც არ იქნება.

**ტოპონიმია**

# ლოტისგორა, ლოტისმთა

თბილისში საკმაოდ ბევრია უცხო წარმომავლობის ტოპონიმი — ზოგი მტრისგან თავსმოხვეული, ზოგი ჩვენი დაუდევრობითა თუ გულუბრყვილობით დამკვიდრებული. ზოგს, ჩვენივე წინდაუხედაობით, ასევე ვძირკვავთ და მის ნაცვლად უცხოს ვამკვიდრებთ, გამკითხავი არავინ არის. პირიქით, თუ კარგად დავაკვირდებით, ეს ქმედება განზრახ მიმართული გამოდის. ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ მოეჩვენოს ვინმეს, გასაბათილებლად ეს მაგალითებიც კმარა. ხალხში გავრცელებული „ქარისების“ ნაცვლად „ალექსეევკას“ ამკვიდრებენ, „ლომთაგორის“ ნაცვლად — „იაღლუჯას“, ნაძალადევისა — „ნახალოვკას“, რიყისა — „პესკის“, იმას კი აღარ კითხულობენ, რიყე როგორ არის „პესკი“ (სილა, ლამი), კუს ტბის ნაცვლად ხშირად „ჩერეპაშიე ოზეროს“ გაიგონებთ, ხომ შეიძლება ამ სახელწოდებას კაცის მეტსახელი ედოს საფუძვლად და არა ქვეწარმავლისა? ვინ შეისწავლა? ვინ დაადგინა ეს? ლისის ტბას ლამის რუსული ინტონაციით გამოთქვამენ „ლისიე ოზერო“ ე.ი. „მელის ტბაო“.

ამ წერილში საუბარი გვექნება ერთ გადააზრიანებულ თუ ძალით დამახინჯებული ტოპონიმზე. ეს გახლავთ „ლოტკინის გორა“, „ლოტკინის მთა“. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ორი სხვადასხვა ადგილის სახელწოდება, თუმცა ხალხში რატომღაც ერთ ტოპონიმად აღიქმება.

„ლოტკინის გორაც“ და „ლოტკინის მთაც“ ძველად სოფელ კუკიაში შედიოდა, ე.ი. მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენდა. ორივე ტოპონიმი დატანილია 1848 წელს შედგენილ თბილისის მიდამოების გეგმაზე, სადაც წერია: „ლოტიკის თავის გორა“ („Лотикис тавис гора“), ხოლო მისგან სამხრეთით „ლოტიკის გორა“ („Лотикис гора“). ცნობას ვიმოწმებთ თეიმურაზ ბერიძის წიგნიდან: „თბილისის გარეუბნების ისტორია“, თბ., 1977).

სხვათა შორის, 1970 წელს, როცა ბესიკ ჯორბენაძე და ამ სტრიქონების ავტორი თბილისის ტოპონიმიკურ მასალას ვკრებდით, ამ ტოპონიმზე გარკვეული პასუხი ვერ მივიღეთ. ერთი კი იყო, ბევრს სჯეროდა და გვიმტკიცებდა, რომ აქ პირველად ერთი რუსი ოჯახი დასახლდა, გვარად ლოტკინი და დასახლებასაც ამიტომ ჰქვიაო ეს სახელი.

როდის დასახლდა ამ ადგილებში ხალხი, საისტორიო წყაროებში ზუსტად არ ჩანს, მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილი ბინადრობს, ამას ქალაქის მელიქისდარჩია ბებუთაშვილის წერილი აშკარად გვიმტკიცებს. როგორც ნაამბობიდან ჩანს, აქ ორი სხვადასხვა მდგომარეობის ხალხი ცხოვრობს — წინწყაროელები და ე.წ. ლოთები (ლოტები), ანუ ლუტები, რომელთაც ხშირად ჩხუბი და კინკლაობა მოსდით ერთმანეთში. მათ შესარიგებლად ქალაქის მელიქი კუკიის მამასახლისს აგზავნის. სწორედ აქედან ჩანს, რომ ეს უბანი სოფელ კუკიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

წინწყაროელები სომხები არიან. მაგრამ ვინ არიან ლოთები (ლოტები) თუ ლუტები?

მეფე ერეკლემ გაჭირვების ჟამს თბილისის მოქალაქეებიც გაიყვანა კრწანისის ველზე. ლოტებმაც მოითხოვეს იარაღი და ომში მონაწილეობა, თუმცა სამხედრო ხელოვნებაში არაფერი გაეგებოდათ. ისინი ბოლოს მაინც წაიყვანეს ომში და მიანდეს ის გზა, რომელიც კოჯრიდან სოლოლაკისაკენ მიდიოდა და მელიქ მიჯნუნმა სრულიად დაუბრკოლებლად გამოიარა. მხდალმა ლოტებმა საგუშაგოები მიატოვეს და გამოიქცნენ. ეს გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქალაქის დაცემისა. მათი მეორე დიდი დანაშაული ის იყო, რომ, როგორც დარჩია ბებუთაშვილი წერს აღალო-ბეგ ყორღანაშვილს: „არც მე ვარ ამათი მადლიერი. ჩემი ხელმწიფისა იმდენი საქონელიც და ჩემიც სულ ამავ ლოთებმა დაგვაკარგვინეს“ (სარგის კაკაბაძე, „კრწანისის ომი“, თბ, 1991, გვ. 133).

პატივცემული მკვლევარი თ. ბერიძე თავის შესანიშნავ წიგნში წერს: „სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავადგინეთ სიტყვა „ლოტიკის“ არსი, შეიძლება იმიტომაც, რომ რომელიღაც [illegible] ქართულმა სიტყვამ ჩვენამდე რუსული ტრანსკრიპციით მოაღწია“ (იქვე). ამაში სავსებით მართალია ნაშრომის ავტორი. სწორედ რომ რუსულმა ტრანსკრიპციამ გახადა ეს სიტყვა ბუნდოვანი, გადააზრიანა მისი შინაარსი. მართალია, ეს სიტყვა (სიტყვები) ქართული წარმომავლობისა არ არის, ნასესხებია სპარსული ენიდან, თუმცა ისეა გაქართულებული, რომ დიდი ქართველი ლექსიკოგრაფები საბა და ნიკო ჩუბინაშვილი აღარც მიუთითებენ მათ წარმომავლობა-სადაურობას.

ვინ იყვნენ ეს ლოთები (ლოტები) თუ ლუტები? სულხან-საბასთან ვკითხულობთ: ლუტი ეს არის „კაცი უსახლკარო და უქონელი“. ნ. ჩუბინაშვილი კი დასძენს: „ლუტი ტლუ“ და დასაზუსტებლად მიუთითებს: „ნახე ტლუ“. აქ კი წერია: „ტლუ ბიჭი, ლიუტი, რომელსაც არ აქვს ბინა და სარჩო“.

ეს სიტყვა ქართული ენის ზოგიერთი დიალექტშიც დასტურდება: „ლუთ-ღარიბი, ღატაკი“. „ლუთუ ღატაკი, ჩაღლეტილი, მშიერ-ტიტველი“ (რ. ღამბაშიძე, „ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი“, თბ., 1988). გვხვდება ქართლურ კილოშიც: ლუტი — უშნო, უხეირო“.

თანამედროვე სპარსულ ენაში ამ სიტყვის სამივე ფორმა დასტურდება: ლუტი, ლოტი, ლოთი და ზემოთ მითითებული შინაარსის გარდა კიდევ მრავალი მნიშვნელობით იხმარება: მაწანწალა, უსაქმური, ქურდი, თავზე ხელაღებული... (ცნობა მომაწოდა თ. სახლთხუციშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ). როგორც ჩანს, „ლოთმა“ გვიან, თანაც ქართულ ნიადაგზე შეიძინა „ლოთის“ (მემთვრალის, როგორც პროფ. აკ. შანიძე იტყოდა) შინაარსი და პირვანდელი გაგება ახალი ცნებით შეიცვალა.

მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც მელიქ დარჩია ბებუთაშვილის წერილიდან ჩანს, ეს უქონელი და უსახლკარო ხალხი ბინადრობდა აღნიშნულ ობიექტებზე. მათ მხოლოდ დროებითი სადგომები უნდა ჰქონოდათ. არც ის არის გამორიცხული, რომ ისინი ხშირად აიყრებოდნენ და მათ ნაცვლად ახლა სხვები დაიდებდნენ დროებით ბინას. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ამ მიდამოებში გასული საუკუნის 30-40-იან წლებამდე ხალხი აღარ ცხოვრობდა.

როგორც თ. ბერიძის ნაშრომში ვკითხულობთ, აქ „ძირითადად დასახლებულან ქვემო ქართლიდან, კერძოდ სოფ. გომარეთიდან მოსული ხალხი. ამიტომაცაა, რომ აქ შვიდი ქუჩა გომარეთის სახელს ატარებს. 1941-42 წ.წ. ლოტიკის გორაზე ჩნდება ქურთებისა და ბოშების დასახლებები“ (იქვე, გვ. 253-54).

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიტყვის ერთ-ერთი ფორმა „ლუტი“ საფუძვლად დასდებია ქართულ გვარსახელს „ლუტიძეს“. ეს გვარი 731 კაცს ითვლის. ძირითადად ცხოვრობენ ზესტაფონში, ქუთაისსა და თბილისში (ე. სილაგაძე, ა. თოთაძე, „გვარ-სახელები საქართველოში“).

ზემოთ განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ტოპონიმს საფუძვლად უდევს სპარსული ენიდან ნასესხები სიტყვა: ლოთი ლოტი და მას არავითარი კავშირი არა აქვს რუსულ გვარსახელ ლოტკინთან. ეს დამახინჯებული ფორმა მიღებულია ამ სიტყვის რუსული ტრანსკრიპციის გავლენით.

**მინაწერი:** ყველა მოწესრიგებულ ქვეყანაში, პირველ რიგში, ტოპონიმიასაც აწესრიგებენ, დამახინჯებულ ფორმას ასწორებენ. ტოპონიმთა მოწესრიგების კლასიკურ მაგალითს ბალტიის ქვეყნები იძლევიან. იქ ტოპონიმისტის დაუკითხავად ამ საშვილიშვილო საქმეს ხელს ვერავინ შეახებს, უხეშად ჩარევის უფლებას არავის მისცემენ.

ამ საკითხის სწორად გადაწყვეტა, ძველი, დამახინჯებული ფორმის აღდგენა ჩვენთანაც ადვილად შეიძლება, ოღონდ ამას ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ლოტკინის გორის, ლოტკინის მთის ძველი დაწერილობის აღდგენა ძნელი კი არ არის — ლოტისგორა, ლოტისმთა.

სანამ უმართებულო სახელწოდება „ალექსეევკა“ მყარად მოიკიდებს ფეხს, სჯობს ამ ობიექტს ოფიციალურადაც ის ვუწოდოთ, ხალხში რომ არის გავრცელებული. ნავთლუღიდან ლოტკინამდე ტერიტორიას ხომ „ქარისები“ ჰქვია. რატომ არ შეიძლება ამ შესანიშნავი სიტყვის (ფორმის) დამკვიდრება, ის ხომ სისტემაში კარგად ჯდება: თბილისი, კრწანისი, დელისი, ვეძისი, ქარისი (ქარისები).

უპრიანი იქნება და სამართლიანიც, თუ „იაღლუჯას“ „ლომთაგორას“ დავარქმევთ ოფიციალურად. როცა ამ ოცდაათი წლის წინათ ამ მხარეში მასალას ვკრებდი, სწორედ ეს ტოპონიმი ჩამაწერინეს ქართველებმაც და აზერბაიჯანელებმაც. თუ ამ ვრცელ ტერიტორიაზე სოფელი გაშენდება, ეს სახელწოდება მასაც მოუხდება. თუ კიდევ დაემატა სხვა სოფელი, მისთვისაც არსებობს ძველი სახელწოდება „ყურყუთა“. ეს ტოპონიმი ისე ხშირად გვხვდება ქართულ საისტორიო წყაროებში, რომ ყველას დასახელება საჭირო არ იქნება.

„ქართლის ცხოვრების“ II ტომში ვკითხულობთ: „და ესე მოურავი (გიორგი სააკაძე — უ.ს.) იყო კაცი მცდელი და ილათიანი. და ურჩია ნუგზარ ერისთავს გაყოლა თვისთა თანა... და განვიდენ ლოლოსა და მუნით გაჰხდნენ ყურყუთას მტკუარს ფონად“ (გვ. 394). „მოვიდა რა ყურყუთას თეიმურაზ (თეიმურაზ II, — უ.ს.). გამოივლტო და მოვიდა თელავს (იქვე, გვ. 627).

და კიდევ: „კუმისის აღმოსავლეთით, მტკუარისკენ... მტკურის კიდეზე არს ჭალა ყურყუთა, და აწ სოღანლუღად წოდვილი“ (ვახუშტი, „აღწერა“, თბ., 1973. გვ. 328.29). ფონიჭალაში ჯერ კიდევ არსებობს საყდარი „ყურყუთის ეკლესია“.

დროა, მივხედოთ ჩვენს ტოპონიმიას და საფუძვლიანი დასაბუთებით აღვადგინოთ ძველი სახელწოდებები. უყურადღებობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.



**უშანგ სახლთხუციშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**

სკანდალი

# „სახელის გატეხვას...“



**ტოტალიზატორი ფეხბურთს დალუპავსო – არაერთხელ გვსმენია. ეს, ასე ვთქვათ, ზოგადი პროგნოზი, სამწუხაროდ, რეალობად შეიძლება იქცეს, თანაც, ახლო მომავალში, მაგრამ უფრო საგანგაშო ის გახლავთ, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის დასამარებაში „ღირსეული“ წვლილის შეტანა უკვე ქართველებმაც დავიწყეთ. აქამდე თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ გულშემატკივართა შორის მოარული ხმები ხმებადვე რჩებოდა, რადგან მის დამტკიცებას, მოგეხსენებათ, ტიტანური ძალისხმევა სჭირდება (რა თქმა უნდა, სურვილთან ერთად, რომელიც „ძლიერთა ამა საქმისათა“ ჩვენში არ გასჩენიათ), მაგრამ ამჟამად, ეტყობა, გაცილებით სერიოზულ შედეგებს უნდა ველოდოთ – ბინძური გარიგების გამოსაძიებლად და დასადასტურებლად თვით უეფა ირჯება. ახლა კი, მოდით, ძირითად სათქმელზე გადავიდეთ, რომელიც, ალბათ, ბევრს მოხვდება გულზე.**

1 დეკემბერს თბილისის „დინამომ“ უეფას თასის გათამაშების ჯგუფური რაუნდის დასკვნითი მატჩი საბერძნეთში „პანიონიოსთან“ 2:5 წააგო და უქულოდ დაიკავა ბოლო ადგილი. ნეტავი, მხოლოდ მორიგ ფიასკოზე გვიწევდეს საუბარი – წლევანდელ გათამაშებაში ჩვენმა საყვარელმა გუნდმა უკვე მეოთხედ დააჯინა ტაიმბოლი (ოთხივეჯერ – სტუმრად!), რითაც მიიპყრო კიდეც უცხოური საინფორმაციო საშუალებებისა და საბუქმეიკერო კანტორების ყურადღება. უფრო კონკრეტულად კი სტუმარ-მასპინძელს შეხვედრის შედეგის წინასწარ გარიგებაში ედება ბრალი.

**კასპერ ჰილი** (ინგლისური ტოტალიზატორი „ბეტფაირი“) – უამრავ ადამიანს ზუსტ ანგარიშზე – „5:2-ზე სურდა ფსონის დადება“.

**გრემ შარპი** (ინგლისური საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილი“) – „ეჭვი არ მეპარება, რომ თამაში გარიგებული ანგარიშით დასრულდა“.

გასათვალისწინებელია, რომ ამ სამარცხვინო ფაქტზე ინფორმაციებს უეფას ვებ-გვერდი, „ბი-ბი-სი“, „როიტერი“, რუსული ინტერნეტ-გაზეთი „სპორტს.რუ“ და სხვა ავტორიტეტული წყაროები ავრცელებენ, ამ დროს კი... საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისის „პრესსამსახურის უფროსის **ლევან სალუქვაძის** კომენტარს სჯერდება, რომელიც, ბუნებრივია, უარყოფს დინამოელთა მონაწილეობას გარიგებაში, აქცენტს კლუბისთვის ძალიან ძვირფას რეპუტაციაზე აკეთებს და უეფასა თუ სხვა შესაბამის ორგანოებს ამ საქმის გამოძიების პროცესში ყველანაირ დახმარებას ჰპირდება. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში საბაბი თუნდაც პრესკონფერენციის მოსაწვევად მაინც არ არსებობს, სადაც კლუბის თავკაცობა შეეცდება ბურუსის გაფანტვას?

თუმცა, ერთ-ერთი კლუბის წარმომადგენელთაგან საკითხისადმი ასეთი მიდგომა აღარ გაგიკვირდებათ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას პოზიციას გაეცნობით: „თუ საქმე გამოძიებაზე მიდგა, ფედერაცია „დინამოს“ აუცილებლად დაიცავს“. დაგვეთანხმებით, ეს წინადადება ძალიან ადვილად იშიფრება: ნებისმიერ შემთხვევაში სფფ კლუბს დაუდგება გვერდში ანუ მას არ აინტერესებს სიმართლე. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც უნდა შემოგთავაზოთ რამდენიმე სიტყვა, რომელიც გამგებს ყველაფერზე მიახვედრებს: „კოლოსკოვი კარგი კაცია, მაგრამ ფეხბურთს ვერ უვლისო“ – განაცხადა ამას წინათ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პიროვნებაზე, რომელიც უკვე მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უძღვება იქაურ საფეხბურთო კავშირს და, ამავდროულად, ფიფას ვიცეპრეზიდენტიცაა.

ვფიქრობთ, მოვიდა დრო, თვალსაჩინოებისთვის ზოგიერთი სხვა „საგმირო საქმეც“ გავიხსენოთ: გემახსოვრებათ, თვით „დინამომ“ დამოუკიდებელი საქართველოს სახელით პირველად 1993 წელს „იყოჩაღა“. როცა თურქი მსაჯების მოსყიდვა დაუმტკიცდა და „ლინფილდთან“ ორრაუნდიანი დუელის მოგების მიუხედავად, ევროპული სარბიელიდან მოკვეთეს.

სავალალოა, რომ მაშინდელი გაკვეთილი სამაგალითო არ გამოდგა და უახლოეს წარსულშიც „ვივაჟკაცეთ“ (ვგულისხმობთ „ლოკომოტივ“ – „კოპენჰაგენის“, „ტირანა“ – „დინამოს“, „დილა“ – „მარეკისა“ და „ტორსჰავნი“ – „ვიტ ჯორჯიას“ თამაშების შემდეგ გაჩენილ ეჭვებს. მართალია, მათ სანქციები აღარ მოჰყოლია, მაგრამ, მოგეხსენებათ, კოკას ყოველთვის არ მოაქვს წყალი.

**გია პლატონიშვილი.**



გამოიცა

## „ფალავანი“ №2

**წლევანდელი სპორტული სეზონი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, განსაკუთრებით მოჭიდავეებისთვის. სწორედ, მნიშვნელოვან მოვლენებს ეხმაურება აღდგენილი ყოველთვიური სპორტული ჟურნალი „ფალავანი“ (დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზვიად შევარდენიძე), რომლის მეორე ნომერი ახლახან მიიღო მკითხველმა.**




უხვად ილუსტრირებული ჟურნალი გულშემატკივრებს სთავაზობს საინტერესო მასალებს როგორც მოჭიდავეებზე, ისე სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებზე. კერძოდ, „ფალავანის“ ფურცლებზე თქვენ შეხვდებით ოლიმპიურ ჩემპიონებს – გიორგი ასანიძეს, ზურაბ და ჯარჯი ზვიადაურებს, ალექსანდრე დოხტურიშვილს, კახი კახიაშვილს, ასევე, ჩემპიონთა აღმზრდელ ვანო გრიქუროვს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს დავით დავითაიას, რომელსაც ამას წინათ 65 წელი შეუსრულდა; სახელოვან მოჭიდავეებს – გურამ გედეხაურსა და 50 წლის მიხეილ სალაძეს, შვიდგზის საქართველოს ფალავანს ალექსი დავითაშვილსა და სხვებს. ჟურნალში უხვად არის ინფორმაციები საერთაშორისო ტურნირებსა და საქართველოში გამართულ შეჯიბრებებზე. „ფალავანი“ 1 ლარი ღირს.

**გიორგი გაგუა.**

ჭადრაკი

## გამარჯვებული 3 ათას ლარს მიიღებს

**ცნობილი დიდოსტატის ნინო გურიელის ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით წლეულს საფუძველი ჩაეყარა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებას ჭადრაკში. ფინალურ ეტაპზე ზოგი მაღალი რეიტინგის მიხედვით დაუშვეს, ზოგმაც ბრძოლით მოიპოვა გადამწყვეტ ტურნირში მონაწილეობის უფლება. მთავარი პრიზისთვის (საპრიზო ფონდია 10 ათასი ლარი, საიდანაც გამარჯვებული 3 ათას ლარს მიიღებს) ბრძოლაში 12 მოჭადრაკე ჩაება, მათ შორის საქართველოს ნაკრების წევრებიც არიან.**

პირველ ტურში საქართველოს ჩემპიონმა ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით გამოცდილ მეტოქეს – სოფიკო ნიკოლაძეს სძლია. 2004 წლის ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორების – ლელა ჯავახიშვილისა და მაია ლომინეიშვილის დუელი დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ლომინეიშვილის გამარჯვებით დამთავრდა. 15 წლის მირანდა მიქაძემ შავი ფიგურებით თამარ წერეთელს მოუგო. დანარჩენი სამი პაექრობაც შედეგიანი აღმოჩნდა: სოფიკო ხუხაშვილი – ინგა ჭარხალაშვილი 0:1, ნინო ხურციძე – სალომე მელია 1:0, ბელა ხოტენაშვილი – სოფიკო გვეტაძე 0:1.

გუშინ მეორე ტურის პარტიები გაიმართა. წინა დღისგან განსხვავებით, ორი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ ჯავახიშვილი – გვეტაძე, მელია და ხოტენაშვილი. გაუწყებთ დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგებს: მიქაძე – ხურციძე 0:1, ძაგნიძე – წერეთელი 1:0, ჭარხალაშვილი – ნიკოლაძე 1:0, ლომინეიშვილი – ხუხაშვილი 0:1.

ამდენად, 2 ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ძაგნიძე, ხურციძე და ჭარხალაშვილი ლიდერობენ.

დღეს მესამე ტურში ითამაშებენ: ხუხაშვილი – ჯავახიშვილი, ნიკოლაძე – ლომინეიშვილი, წერეთელი – ჭარხალაშვილი, ხურციძე – ძაგნიძე, ხოტენაშვილი – მიქაძე, გვეტაძე – მელია.

**ლექსო ცინცაძე.**

ჭრელაჭრულა

## პორტუგალიაში საფეხბურთო კლუბ „პორტუს“ პრეზიდენტს დააპატიმრებენ

**პორტუგალიის სასამართლოს პოლიციამ ორდერი გამოწერა საფეხბურთო კლუბ „პორტუს“ პრეზიდენტის დაპატიმრებაზე. ნუნუ პინტუ და კოშტას ადანაშაულებენ ფეხბურთში კორუფციაში მონაწილეობასა და იმ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის გამო, რომელიც დაწყებულია პოლიციის ოპერაციის „ოქროს სასტვენის“ შედეგების მიხედვით.**

გამომძიებელთა ცნობებით, ამჟამად ნუნუ პინტუ და კოშტა ესპანეთში მოგზაურობს, თუმცა სასამართლოს პოლიციამ უკვე მიიღო ზომები საზღვრის გადმოკვეთისას მის დაპატიმრებაზე.

ჯერ კიდევ აპრილში პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაციის მიმდინარეობისას (კოდური სახელწოდებით „ოქროს სასტვენი“), პორტუგალიის სასამართლოს პოლიციამ 16 კაცი დააპატიმრა, მათ შორის – პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი ვალენტიმ ლოურეირუ. მათ ადანაშაულებენ მსაჯებზე განხორციელებულ დაწოლაში საფეხბურთო მატჩების „ჩაწყობის“ მიზნით.

საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით, პორტუგალიის პრესა მაშინ იტყობინებოდა, რომ ვალენტიმ ლოურეირუ საფეხბურთო კლუბების „პორტუსა“ და „სპორტინგის“ პრეზიდენტების სასარგებლოდ მოქმედებდა.

## კლინსმანმა საქმეში ფსიქოლოგები ჩართო

**გერმანიის საფეხბურთო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა გადაწყვიტა, ეროვნული გუნდის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებისას გამოიყენოს ფსიქოლოგი**



**ჰანს-დიტერ ჰერმანი. მისი დახმარებით კლინსმანი იმედოვნებს, რომ ნაკრების ფეხბურთელებს ნაკლებად აღელვებს გულშემატკივართა მხრიდან ზეწოლა, მათი თამაში კი გაუმჯობესდება.**

„ნაკრებში ჰანს-დიტერის მუშაობა ის კარგი საფუძველი იქნება, რაც მოთამაშეებს აარიდებს სტრესს და დაეხმარება ყოველივე საუკეთესო თვისებების გამომჟღავნებაში“, – ოპტიმისტურად აცხადებს კლინსმანი, რომელიც ეროვნულ ნაკრებს ხელმძღვანელობს ევრო-2004-ზე გერმანელთა წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ.

ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ჰერმანის აზრით, შინ გამართული ჩემპიონატის მატჩებზე აუცილებლად გაიზრდება გულშემატკივართა იმედები, რაც ასევე აამაღლებს ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურ დაწოლას. სწორედ აქ არის აუცილებელი ფსიქოლოგის დახმარება...

კლინსმანმა გერმანელები იმითაც გააკვირვა, რომ ნაკრების წევრთა ფიზიკური მომზადებისთვის სპეციალისტები მოიწვია... ამერიკიდან.

## შეჯიბრება... ცოლების ზურგით გადაყვანაში

**შაბათს ირკუტსკში დაიწყო ზამთრის ჩემპიონატი... ცოლების ზურგით გადაყვანაში (!) იგი ჩაივლის მთელი ზამთრის განმავლობაში „ტრუდის“ სტადიონზე ჰოკეისტის იმ საშინაო მატჩების დროს, რომლებსაც გამართავს ადგილობრივი „ბაიკალ-ენერგია“. დაგეგმილია ექვსი შესარჩევი ტურის გამართვა, მარტში კი ფინალი.**

ცოლების ზურგით გადაყვანაში ჩემპიონატი უკვე ორჯერ გაიმართა ამ ქალაქის დღის აღსანიშნავ დღესასწაულებზე. ექსტრემალური სპორტის სახეობათა ირკუტსკის ოლქის ფედერაციამ, გააანალიზა რა შეჯიბრების მზარდი პოპულარობა, გადაწყვიტა მისი ზამთრის ვარიანტის გამოყენება.

„შეჯიბრება ცოლების ზურგით გადაყვანაში ფინეთში მოიგონეს, – თქვა რუსეთის სპორტის ამ სახეობათა პრეზიდენტმა პავლე კოვალიოვმა, – ზამთრის ჩემპიონატი საზაფხულო ასპარეზობისგან კარდინალურად განსხვავებული იქნება: მისი ხანგრძლივობა არ შემოიფარგლება ერთი დღით, მონაწილენი კი ციგურებით ირბენენ“.

შეჯიბრებაზე დაწესებულია რამდენიმე ნომინაცია: „ყველაზე ახალგაზრდა წყვილი“, „ყველაზე ხანდაზმული წყვილი“, „ყველაზე ხანმოკლე ქორწინება“, „ყველაზე ხანგრძლივი ქორწინება“. მეუღლე ან საცოლე, რომლებიც გამოვლენ როგორც გადასატანი იარაღი, არ უნდა იყოს 16 წლამდე ასაკისა და 46 კგ-ზე მსუბუქი. ყველა სპორტსმენს



აქვს სპეციალური დამცავი აქსესუარი – მუზარადები, მუხლებისა და იდაყვის დაზიანებისგან დამცავი მოწყობილობა.

„შესარჩევი ტურები გაიმართება „ბაიკალ-ენერგიას“ მატჩებზე შესვენების დროს. სტარტზე ერთდროულად გამოვა ორი წყვილი, მარტში კი გამარჯვებულნი მიიღებენ საკმაოდ ორიგინალურ და ძვირადღირებულ პრიზებს“, – განაცხადა კოვალიოვმა.

## ბექჰემი კვლავ რჩება ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ ფეხბურთელად

**მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი კვლავინდებურად რჩება დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ ფეხბურთელად. თუმცა გამოცემა Four Four Two-ს ვერსიით, იმ მამაკაცთა შორის, ვისაც კავშირი აქვს ბრიტანულ ფეხბურთთან, მას მხოლოდ 41-ე ადგილი უკავია.**

ბექჰემის ქონება შეფასებულია 65 მილიონ ფუნტ სტერლინგად, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე „არსენალის“ თავდამსხმელის დენის ბერგკამპისა (37 მლნ), რომელიც მოთამაშეთა შორის მეორეა. მესამე ადგილზეა ბექჰემის პარტნიორი „რეალიდან“ მაიკლ ოუენი.

რაც შეეხება საერთო სიას, აქ უპირობო ლიდერია „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი – 7,5 მილიარდი ფუნტი სტერლინგი.

# უკრაინა ახალი არჩევნებისთვის ემზადება



**უკრაინის ოპოზიციის მომხრეები კიევის ქუჩებში ზეიმობდნენ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც გააუქმა ამ ორიოდე კვირის წინათ გამართული პრეზიდენტის არჩევნების შედეგები. ამის პარალელურად, უზენაესი რადის დეპუტატები ემზადებიან საკანონმდებლო მარათონისთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი გამოსავალი შექმნილი კრიზისიდან.**

ახლა უნდა გაიმართოს მოლაპარაკების მორიგი რაუნდი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პრეზიდენტობის ორივე კანდიდატი, სახელმწიფოს მოქმედი მეთაური ლეონიდ კუჩმა და უცხოელი შუამავლები.

პრეზიდენტის არჩევნების დროს დაშვებული უამრავი დარღვევის გამო უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები ბათილად ცნო და ახლა უკრაინაში ხელახლა უნდა გაიმართოს მეორე ტური. სავარაუდოდ, იგი 26 დეკემბერს გაიმართება.

მაგრამ, რადაში ყველაზე მწვავე დაპირისპირებას, ალბათ, გამოიწვევს საკითხი პოლიტიკური რეფორმის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს პარლამენტის სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გაფართოებას და ქვეყნის პრეზიდენტის ზემოქმედების ბერკეტების შეზღუდვას. კრიზისის ძირითადი მონაწილეებისა და საერთაშორისო შუამავლების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ასეთი რეფორმა უნდა განხორციელდეს საარჩევნო კანონმდებლობაში შესწორებების შეტანის პარალელურად.

პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას მხარდამჭერი საპარლამენტო აქციები გამოთქვამენ წინადადებას რეფორმის ნელ-ნელა განხორციელების შესახებ – ისე, რომ ახალი მთავრობა დანიშნოს პარლამენტმა, და არა არჩევნებში გამარჯვებულმა პრეზიდენტმა.

მაგრამ ოპოზიციის ლიდერის ვიქტორ იუშჩენკოს მომხრეები დაჟინებით მოითხოვენ, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილებანი შეიზღუდოს მხოლოდ 2006 წლიდან, ანუ მაშინ, როცა სახელმწიფოს ახალი მეთაური განახორციელებს აუცილებელ ცვლილებებს ხელისუფლების სტრუქტურაში.

როგორც ზოგიერთი მეთვალყურე ვარაუდობს, უდიდესი მორალური გამარჯვებების შემდეგ, ხელახალი კენჭისყრის დროს მნიშვნელოვნად გაიზრდება ოპოზიციის წარმატების შანსი. ამიტომ, ისინი არ გამორიცხავენ, რომ იანუკოვიჩმა შესაძლოა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რათა თავიდან აიცილოს აშკარა დამარცხება.

ასეთ შემთხვევაში, თუ პრემიერი ამას გააკეთებს მეორე ტურის დაწყებამდე 10 დღით ადრე, ოპოზიციის ლიდერის გარდა, საარჩევნო ბიულეტენებში უნდა შეიტანონ იმ კანდიდატის გვარიც, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. ასეთი კანდიდატი კი არის იუშჩენკოს პარტნიორი კოალიციაში – სოციალისტური პარტიის ლიდერი ალექსანდრე მოროზი.

ხოლო თუ იანუკოვიჩი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს მეორე ტურის გამართვამდე 10 დღეზე ნაკლებ ვადაში, მაშინ იუშჩენკოს გამარჯვებისთვის დასჭირდება ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობის 50 პროცენტზე მეტის მიღება.

ჯერჯერობით არც კუჩმას და არც იანუკოვიჩს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ მათთვის მისაღები იქნება უმაღლესი სასამართლო ორგანოს ნებისმიერი ვერდიქტი.

# ჩრდილოეთ კორეა „ამერიკის ახალ პოლიტიკას“ დაელოდება

**ჩრდილოეთ კორეა არ აპირებს დაუბრუნდეს ამ ქვეყნის ბირთვული შეიარაღების პროგრამის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებას მანამ, სანამ შეერთებული შტატები არ გაარკვევს თავის პოზიციას საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში.**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლები ამ ცოტა ხნის წინათ შეხვდნენ ნიუ-იორკში შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მოხელეებს, მაგრამ ამერიკელებს არ გამოუთქვამთ მზადყოფნა თავიანთი პოზიციის გადასინჯვისთვის.

ფხენიანი აპირებს აღიჭურვოს მოთმინებით და დაელოდოს, თუ რას მოიმოქმედებს ბუშის ახლადარჩეული ადმინისტრაცია, – აღნიშნულია განცხადებაში.

ვაშინგტონი კი, თავის მხრივ, კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩრდილოეთ კორეამ შეწყვიტოს მუშაობა ბირთვული იარაღის სფეროში.

ამ საკითხის თაობაზე უკვე გაიმართა ექვსმხრივ მოლაპარაკებათა სამი რაუნდი, რომელთა მიზანიც იყო ზემოქმედების მოხდენა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. მაგრამ მეოთხე რაუნდზე, რომელიც სექტემბრისთვის იყო დანიშნული, ფხენიანის წარმომადგენლები არ ჩასულან.

კომუნისტური სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ამის მიზეზად დაასახელეს ბუშის ადმინისტრაციის „მტრული“ პოზიცია.

მიმომხილველები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ამ საკითხის გადაწყვეტა გადადო იმ იმედით, რომ ამერიკაში აირჩევდნენ ახალ პრეზიდენტს.

გარდა ამისა, როგორც ფხენიანის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ხაზგასმული, მოლაპარაკება ჩიხში მოექცა იმის გამო, რომ ვაშინგტონს არ შეუსრულებია თავისი დაპირებები, თუმცა, ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობას არ დაუკონკრეტებია, თუ რომელ დაპირებებს გულისხმობდა.

ფხენიანი აღნიშნავს, რომ მხარეთა წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ ნიუ-იორკში 30 ნოემბერს და 3 დეკემბერს. ჩვეულებრივ, ასეთ კონსულტაციებში მონაწილეობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლობის თანამშრომლები და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

ფხენიანი ამტკიცებს, რომ მას უკვე აქვს ბირთვული იარაღი, და ახლა მუშაობს თავისი არსენალების გაზრდისთვის. ექსპერტთა ვარაუდით, ჩრდილოკორეელ სპეციალისტებს უკვე უნდა ჰქონდეთ საკმარისი პლუტონიუმი ექვსი ან შვიდი ბირთვული მუხტის შექმნისთვის, თუმცა, მათ არ გააჩნიათ ზუსტი მონაცემები, რადგან ჩრდილო კორეის ხელმძღვანელობა ქვეყანაში არ უშვებს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს.



# რამსფელდი თავდაცვის მინისტრის პოსტს შეინარჩუნებს

**ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი შეინარჩუნებს თავის თანამდებობას პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში მისი მეორე ვადით არჩევის შემდეგ.**

თეთრი სახლის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის სახელმწიფო მოხელემ განაცხადა, რომ რამსფელდი დათანხმდა ამერიკის პრეზიდენტის შესაბამის წინადადებას.

როგორც ამ მოხელემ აღნიშნა, მოქმედმა თავდაცვის მინისტრმა დაამტკიცა, რომ შეუძლია უხელმძღვანელოს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს კრიტიკულ მომენტში.

რამსფელდი შეერთებული შტატების არმიას მეთაურობდა მაშინ, როცა იგი იწყებდა ოპერაციებს ავღანეთსა და ერაყში, იგი ასევე ყოველთვის რჩებოდა „ტერორიზმის წინააღმდეგ ომის“ მხურვალე მხარდამჭერად.

ზოგიერთი მიმომხილველი გამოთქვამს ვარაუდს, რომ რამსფელდი, პენტაგონში ალბათ, კიდევ ორიოდე წელს იმუშავებს. ამ ადამიანის კარიერაზე დიდი გავლენა შეიძლება მოახდინოს ერაყში მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ.

რამსფელდი გახდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ის უკანასკნელი ძირითადი სახელმწიფო მოხელე, რომელიც ბუშმა დაამტკიცა თანამდებობაზე მეორე ვადით გაპრეზიდენტების შემდეგ.

მანამდე კი, ამერიკის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ შინაგანი უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე დაენიშნა ნიუ-იორკის პოლიციის ყოფილი უფროსი ბერნარდ კერიკი, მაგრამ ჯერჯერობით მისი კანდიდატურა ამ პოსტზე არ დაუმტკიცებია სენატს.

ბუშმა აგრეთვე დანიშნა სახელმწიფო მდივნად კონდოლიზა რაისი, მრჩევლად ეროვნული უშიშროების საკითხებში კი – სტივენ ჰადლი.



# აფეთქებათა სერია მადრიდში

**ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში გაისმა რამდენიმე აფეთქების ხმა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ბასკთა სეპარატისტულმა ორგანიზაციამ „ეტა“-მ განაცხადა, რომ ქალაქში დადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობები.**

მადრიდის გარეუბნებში მდებარე ბენზინგასამართ სადგურებში მოხდა ხუთი აფეთქება. ეს დაემთხვა იმ დროს, როცა მადრიდელები ქალაქგარეთ გადიოდნენ უიკ-ენდზე.

პოლიციის ინფორმაციით, აფეთქებების ძალა უმნიშვნელო იყო და ამის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბასკი სეპარატისტების ეს აქცია არის პირველი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ეს დაჯგუფება ჯერ კიდევ საკმაოდ აქტიურად მოქმედებს იმის მიუხედავადაც კი, რომ ამ ბოლო ხანებში ესპანელმა სამართალდამცავებმა სეპარატისტული ორგანიზაციის წევრებს ჩამოართვეს დიდძალი ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი მოწყობილობა, აგრეთვე დააპატიმრეს მისი რამდენიმე ლიდერი.

ტერორისტული აქტების განხორციელებამდე მცირე ხნით ადრე, უცნობმა პირებმა ტელეფონით დარეკეს და განაცხადეს, რომ „ეტა“ ამზადებდა აფეთქებების სერიას მადრიდში. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, პოლიციამ შეძლო, დროულად გამოეყვანა ადამიანები ბენზინგასამართი სადგურებიდან.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 282, კვირა, 5 დეკემბერი, 2004 წელი.

# ელდარის „საძაგელი იხვის ჭუჭული“

(დანიელი მწერალი ზღაპრებს საკუთარ თავზე წერდა)



**სიცოცხლეშივე რუსეთული კინემატოგრაფის კლასიკოსად მიჩნეული რეჟისორი ელდარ რიაზანოვი დაბადების მორიგ, 77-ე დღეს (18 ნოემბერს) „წარმოებიდან მოუწყვეტლივ“ შეხვდა: ახალი გრანდიოზული პროექტის ხორცშესასხმელად ემზადება. ეს იქნება ფილმი დედამიწის ზურგზე საუკეთესო მეზღაპრის ჰანს ქრისტიან ანდერსენის შესახებ, ფილმი, რომლის პირობითი სახელწოდება გახლავთ „ანდერსენი. ფანტაზია თემაზე“. გამოჩენილი დანიელი მწერლის ისტორიის გადმოცემა მისი ზღაპრების მეშვეობით – რიაზანოვის ძველისძველი ოცნება ყოფილა. „ყველაფერს, რასაც ანდერსენი თხზავდა, თავის თავზე წერდა“ – უთქვამს რეჟისორს „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ჟურნალისტთან ინტერვიუში (გაზეთის 20 ნოემბრის ნომერი).**

სცენარი ელდარ რიაზანოვმა ცნობილ ქართველ სცენარისტთან ირაკლი კვირიკაძესთან ერთად შექმნა. ახლა მსახიობების შერჩევა დაიწყო. ქალთა შემადგენლობა, ასე თუ ისე, უკვე მონიშნა.

– ჩვენი გმირის შესახებ თხრობას ვიწყებთ მისი ბავშვობიდან, როცა 14 წლისა იყო. მინდა, რომ დედამისი ოქსანა მისინამ ითამაშოს. გალინა ტიუნინას ჰანსის დის როლზე ვიწვევ, ხოლო ვიქტორია ტოლსტოგანოვას ვხედავ ჰენრიეტას როლში – ეს ის ქალბატონია, რომელსაც მწერალი მთელი სიცოცხლე უყვარდა.

უფრო გამიჭირდა მამაკაცების გამონახვა, განსაკუთრებით თვით ანდერსენისა – ამბობს ელდარ ალექსანდრეს ძე. – გადავწყვიტე რთული გზით წასვლა და ვეძებ მსახიობს, რომელიც მთავარ გმირს 14 წლისასაც ითამაშებს, ჩვიდმეტისასაც, ოცისასაც და ოცდახუთისასაც – თვით სიკვდილამდე, როცა ის 70 წლისა გახდა...

დიდ მეზღაპრეს სულაც არ ჰქონია იოლი ცხოვრება – ვაჟწულად მოკვდა, ქალები მაინცდამაინც არ წყალობდნენ, კრიტიკოსები ლაფში სვრიდნენ, მწერალთა გარემოდან გარიყავდნენ. „საძაგელ იხვის ჭუჭულში“ ის თავის თავზე მოგვითხრობს. საერთოდაც, ყველაფერს თავისთვის წერდა, თავის ზღაპრებში ისეთი სიცოცხლით ცოცხლობდა, როგორიც ცხოვრებაში მიუწვდომელი უჩანდა, როგორზეც ოცნებობდა. ჩვენი სურათის მთავარი გმირი ანდერსენის ზღაპრების მთავარ გმირებსაც ითამაშებს – პრინცებს, ჯარისკაცებს...

რიაზანოვი გადაღებების დაწყებას დამდეგი წლის შუა იანვარში იმედოვნებს. ამას კი დანიიდან აპირებს, სადაც მუზეუმი ღია ცის ქვეშ არსებობს და სადაც XIX საუკუნის მომცრო სახლებია მიტანილი, თანაც თუ წისქვილი დგას, მაშ ფრთებსაც უნდა ატრიალებდეს და კიდეც ფქვავდეს... იქ იმჟამინდელი პატარა პროვინციული თეატრიც კი არის. პავილიონებს „ანდერსენისათვის“ ააგებენ „მოსფილმში“, ნატურის მოსაძებნად კი რეჟისორი სანკტ-პეტერბურგის მიდამოებში გაემგზავრება.

ძირითადი პრობლემა კი, რასაკვირველია, ფულია. ასეთი მასშტაბური დადგმისათვის ბიუჯეტი, თუ მსოფლიო მასშტაბებით მივუდგებით, მიზერულია – 5 მილიონი დოლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ მეხუთედი ნაწილი გამოიყოფა. „რას იზამ უნდა მივეძალოთ, თუმცა სამშობლოს ეს როდი აღელვებს. შეგიძლიათ პირდაპირ ასე დაწეროთ“ – განუცხადებია ელდარ ალექსანდრეს ძეს.

ფულით დახმარებას აპირებენ იტალიელები და მალე ჩამოვლენ მოსალაპარაკებლად. შეთანხმების შემთხვევაში ისინი, რა თქმა უნდა, თავის მსახიობებსაც „გადმოქაჩავენ“: ევროპაში გასაქირავებლად აუცილებელია მათთვის ნაცნობი სახეები. ამრიგად, ფილმს ორენოვანს გადაიღებენ – რუსულად და ინგლისურად (რუსეთელებს ინგლისურის სწავლა მოუწევთ).

რიაზანოვის ცხოვრებაში მეორე დიდი მოვლენა იქნება უახლოეს მომავალში კინოკლუბ „ელდარის“ გახსნა, რაც თურმე, აგრეთვე, მისი დიდი ხნის ოცნებაა.

# მან დაიმსახურა მუზეუმი სამშობლოში



**დანიაში ამუშავდა ჰანს ქრისტიან ანდერსენის მუზეუმი. მომცრო ოთახი, სადაც მწერალი კოპენჰაგენში ცხოვრობდა ახალგაზრდობისას, პირველად გახდა მისაწვდომი დანიელი მეზღაპრის ყველა თაყვანისმცემლისა და საერთოდ, მნახველთათვის.**

მუზეუმში აღდგენილია ის უბრალო გარემო, რომელშიც მთელ მსოფლიოში ცნობილ მწერალს უწევდა ცხოვრება. ოთახში დგას პატარა საწოლი, გარდერობი, ღუმელი, საწერი მაგიდა და ორი სკამი; თუმცა ამ ბინაში გატარებული დროის განმავლობაში ანდერსენს არაფერი დაუწერია, მაინც გადაწყვიტეს მისი წიგნების აქვე, შენობის ფლიგელში მონიშვნა. ნებადართულია ზღაპრებისა და პოემების კითხვა სახელგანთქმული ავტორის მაგიდასთან ჯდომისას.

## ნოსტრადამუსის შთამომავალი:

# „რუსეთის გარეშე მსოფლიო ვერ გაიმარჯვებს აღმოსავლელ მკვლელებთან ომში“

**ამ ცოტა ხნის წინათ საზეიმოდ აღინიშნა შუა საუკუნეების დიდი ასტროლოგ-წინასწარმეტყველის მიშელ ნოსტრადამუსის დაბადების 500 წლისთავი. ამ ადამიანს, რომელმაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში იწინასწარმეტყველა რევოლუცია რუსეთში, ნაპოლეონის გამოჩენა და ისლამური ტერორიზმი, ასობით წიგნი ეძღვნება. მისი მეთოდის შესახებ იცავენ დისერტაციებს, მკვლევარებმა კი შექმნეს ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებათა გაშიფვრის ათასობით მეთოდი. დღეს პარიზში მოქმედებს „ნოსტრადამუსის ასტროლოგიური ცენტრი“, რომელშიც მხოლოდ მიშელის შთამომავლები მუშაობენ, სულ 20 კაცი. ცენტრის ხელმძღვანელი 62 წლის მიშელ ნოსტრადამუს-უმცროსი ამაყად აცხადებს, რომ გაიარა ДНК-ს ტესტირება, რომელმაც დაადასტურა, რომ ცნობილი წინასწარმეტყველი ნამდვილად მისი წინაპარი იყო. მან სიამოვნებით უპასუხა ჩვენს კითხვას – შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ნოსტრადამუს-უფროსის წინასწარმეტყველება?**

### ბენ-ლადენის გამოჩენა არ უწინასწარმეტყველებია

– ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი დრო მეხარჯება ყოველივე იმის უარყოფისთვის, რასაც ადამიანები ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებას მიაწერენ. მაგალითად, იგი ერთ სიტყვასაც არ ამბობს ნიუ-იორკში 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული აქტის შესახებ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ათასობით საიტი ინტერნეტში და წაიკითხოთ: „ახალ ქალაქში დაეცემა რკინის ფრინველების მიერ განგმირული ორი ძმა“. ყოველივე ეს გამონაგონია. ან თუნდაც, დღეს ვნახე, რომ იყიდებოდა წიგნი „ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველება 2005 წლისთვის“ – წმინდა წყლის სისულელეა! ჩემი წინაპარი არასდროს არ ასახელებდა რაიმე მოვლენის კონკრეტულ თარიღს. მან დაგვიტოვა ასი ეგრეთ წოდებული „ცენტურია“ დაშიფრული ოთხტაეპიანი ლექსებით – კატრენებით, მოგვიანებით კი, ადამიანები ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ კონკრეტულად რომელ წელს მიეკუთვნებოდა მისი წინასწარმეტყველება.

თვით ჰიტლერის საკითხიც კი, როგორც ირკვევა, ასევე ეჭვქვეშ დგას – დღემდე ნამდვილად არ არის ცნობილი მიშელ ნოსტრადამუსმა იწინასწარმეტყველა მისი გამოჩენა თუ – არა. კატრენების ზოგიერთ განმმარტებელს მიაჩნია, რომ წინასწარმეტყველმა ფიურერს უწოდა ჰისლერი, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს სიტყვა ყოფილა ჰისტერი – დუნაის შესართავის ძველი სახელწოდება. სწორედ ამიტომ, ადოლფ ჰიტლერი, რომელიც გულდასმით შეისწავლიდა ნოსტრადამუსს და ასევე მიიჩნევდა, რომ ეს ოთხტაეპიანი ლექსი მას ეძღვნებოდა, ძალზე შიშობდა 1945 წელს, რომ სტალინი მას გალიით ჩაიყვანდა მოსკოვში ხალხის გასართობად. მაგრამ რაც შეეხება ნაპოლეონს, ნოსტრადამუს-უმცროსი დარწმუნებულია, რომ წინასწარმეტყველება სავსებით აშკარაა (კატრენი II. 29): „ადამიანი აღმოსავლეთისკენ წაიყვანს ჯარს, გადალახავს აპენინებს და განადიდებს გალთა ქვეყანას. იმპერატორის კვერთხი გაჰკვეთს ცას, წყალს და თოვლს“. – ძალზე წააგავს 1799 წელს ბონაპარტის დაბრუნებას ეგვიპტიდან.

### გენერალური მდივნის შეკვეთა

– რუსეთისა და ამერიკის შესახებ წინასწარმეტყველება ძალზე მცირეა, რადგან ეს ქვეყნები საკმაოდ შორს მდებარეობენ და ნოსტრადამუსმა ცოტა რამ იცოდა კონკრეტულად მათ შესახებ, – მიაჩნია მიშელ ნოსტრადამუს-უმცროსს. – იგი ახსენებს „ჩრდილოეთის დიდ ქვეყანას“ და „ჩრდილოეთის ქარის ქვეყანას“ – კატრენების თითქმის ყველა განმმარტებელი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ეს რუსეთია. მას ეშინია ამ ქვეყნის ძლიერების და ამბობს, რომ დასავლეთი მის გარეშე ვერ მოიგებს „დიდ მესამე ომს, როცა მოვლენ მკვლელები აღმოსავლეთიდან“ – ძალზე წააგავს ისლამისტი-ტერორისტების წინააღმდეგ ამჟამად მიმდინარე ომს. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს ნოსტრადამუსი წინასწარმეტყველებდა პუტინის გამოჩენას და რუსეთში კომუნისტთა ხელისუფლების



დამხობას, ეს ასე არ არის. თუმცა, სტალინის მმართველობის პერიოდს გარკვეული კატრენები სავსებით შეიძლება შეესაბამებოდეს: „ჩრდილოელი მხეცი სისხლის მდინარეებს შესვამს, მაგრამ იგი უფრო მეტ თავისიანს დახოცავს, ვიდრე მტერს და მის მიერ სიკვდილით დასჯილები მასვე განადიდებენ სიკვდილის შემდეგ“. კათოლიკური ეკლესია ეჭვით ეკიდებოდა ნოსტრადამუსს სიცოცხლის დროს და ასტროლოგის გარდაცვალების შემდეგ აკრძალა მისი წინასწარმეტყველება. მაშინ ნოსტრადამუსის შთამომავლებს უამრავი პრობლემა შეექმნათ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს კი, როცა იაკობინელებმა გახსნეს მიშელის აკლდამა და გადაყარეს მისი ძვლები, ამ გვარის მქონე ყველა ადამიანი პანიკამ მოიცვა და მათ სასწრაფოდ მიაშურეს ინგლისს, კანადას და თვით... რუსეთსაც კი – იმპერატრიცა ეკატერინე II მაშინ მრავალი ფრანგი ლტოლვილი შეიკედლა. როგორც ნოსტრადამუს-უმცროსი ამტკიცებს, რუსეთის ტრამალებში დაიკარგა მისი წინაპრების ნაწილის კვალი – მან შეისწავლა საარქივო დოკუმენტები და ძალზე დაინტერესდა სტრადამინების გვარით, თუმცა, იმის ზუსტი დადასტურება, რომ სახელგანთქმული წინასწარმეტყველის შთამომავლები რუსეთში ახლაც ცხოვრობენ, ვერსად იპოვა. ნოსტრადამუსებმა შვებით ამოისუნთქეს მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს, როცა ძალზე გაღვივდა ინტერესი მათი წინაპრის წინასწარმეტყველებისადმი, – აქამდე ნოსტრადამუსის გვარს მხოლოდ ასტროლოგთა ვიწრო წრეებში თუ მოკრავდით ყურს.

– ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, ავიწყდებათ: ნოსტრადამუსი სწორედ ასტროლოგი იყო, ანუ წინასწარმეტყველებდა მომავალს ვარსკვლავებით და პლანეტებით. მისი „ეპარქია“ იყო გლობალური წინასწარმეტყველება, კონკრეტულ ჰოროსკოპებს იგი მხოლოდ სამეფო გვარის წარმომადგენელთათვის ადგენდა. ხილვა მიშელს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა, როცა იგი მუხლებზე დაეცა ერთი ჩვეულებრივი ბერის წინაშე და მას ასე მიმართა: „თქვენო უწმიდესობავ“. მრავალი წლის შემდეგ ეს ბერი გახდა რომის პაპი სიქსტ V. ჩემი წინაპრის ყველაზე ცნობილი წინასწარმეტყველებაა ფრანგი მეფის ანრი II დაღუპვა რაინდთა ტურნირის დროს. სწორედ ამის შემდეგ მოიხვეჭა მან დიდება.

მოგვმართავენ თუ არა დღეს ოფიციალური პირები? 1983 წელს მივიღეთ შეკვეთა პენტაგონიდან – გვთხოვდნენ პლანეტების განლაგების მიხედვით, გაგვერკვია, თუ კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა საბჭოთა ლიდერი ანდროპოვი. ეს საიდუმლო არ არის – ამერიკის შეერთებულ შტატებში (ყოველ შემთხვევაში, „ცივი ომის“ პერიოდში მაინც) თავდაცვის სამინისტროში მსახურობდა ასამდე ასტროლოგი და ნათელმხილველი – ასეთი თავისებურება ახასიათებდა პრეზიდენტ რეიგანს, რომელსაც სწამდა წინასწარმეტყველებისა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვახერხებთ გავიგოთ, თუ რა წერია ყველაზე „ავბედით“ კატრენებში, იქნებ, ეს უკვე მოხდა, მაგრამ, ხომ შეიძლება ყველაფერი წინ გველოდეს, – თქვა ნოსტრადამუს-უმცროსმა. – ადამიანები, რა თქმა უნდა, დარწმუნებული არიან, რომ მიშელმა იწინასწარმეტყველა ყველაფერი, თვით ამინდის ყოველდღიური პროგნოზის ჩათვლითაც კი. და ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ ინტერნეტში ჩნდება ყალბი კატრენები.

**ალექსეი მარტოვი.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

# ქრონოგრაფი

## 7 დეკემბერი, 1877 წელი



**თომას ალვა ედისონის მექანიკოსმა და თანამშრომელმა ჯონ კრუზმა საზოგადოებას წარუდგინა მისი მასწავლებლის მიერ შექმნილი ტექნიკის ისტორიაში პირველი ხმისჩამწერი მოწყობილობა – ფონოგრაფი. ტყვიის ფოლგის დაღარული ბადრო. ბგერითი რხევების საშუალებით გამოსცემდა ხმას. ხელსაწყო მოქმედებაში მოდიოდა სახელურის საშუალებით. პირველი ჩანაწერი იყო პოპულარული საბავშვო სიმღერის „მერის ჰყავდა ბეკეკას“ მუსიკა. ფონოგრაფი გაუმჯობესდა 1880 წელს, მას შემდეგ, რაც ხელსაწყოს ლილვაკი ცვილის ფენით დაიფარა.**

## 8 დეკემბერი, 1966 წელი



**ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში დაიბადა შინედ ო'კონორი – შემდგომში ცნობილი მომღერალი, რომელმაც თავისი თავბრუდამხვევი დიდებით, თითქმის დაჩრდილა მადონა. თანამედროვეებმა იგი პოპ-მუსიკის ჟანა დ'არკად „შერაცხეს“. შინედმა ირლანდიურ როკს მსოფლიო აღიარება მოუტანა. 80-იანი წლების რადიო ეთერი შინედის ჰიტებმა დაიპყრო. მისი სასცენო ექსცენტრიზმია – გადაპარსული თავი და უფორმო ბალახონი.**

## 9 დეკემბერი, 1824 წელი



**ლათინური ამერიკის განმათავისუფლებლის სიმონ ბოლივარის თანამებრძოლმა გენერალმა ანტონიო ხოსე დე სუკრემ აიაკუჩოს (პერუ) ვაკეზე სასტიკად დაამარცხა ესპანელები. ეს იყო „ესპანელთა ვატერლოო“ და ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა „ახალი სამყაროს“ ისტორიაში. სულ მალე ზედა პერუს ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი რესპუბლიკა ბოლივია, რომლის პრეზიდენტიც გენერალისიმუსი ბოლივარი გახდა.**

## 10 დეკემბერი, 1768 წელი

**გეორგ III-ის ბრძანებით ინგლისში დაარსდა სამეფო სამხატვრო აკადემია. იგი ბურჟუაზიული კულტურის ჩასახვისა და განვითარების თავისებური მცდელობა-ხელშეწყობა იყო. ამასთან ერთად საზოგადოების წინაშე გამოფენების საშუალებით პროფესიონალ-მხატვართა შემოქმედების განხილვის საშუალებას იძლეოდა. დაარსების დღიდან აკადემიამ მრავალჯერ შეიცვალა ადგილსამყოფელი და მხოლოდ 1868 წელს საბოლოოდ დაიდო ბინა ბირლინგსტონ-ჰაუზის შენობაში პიკადილის ქუჩაზე.**




## 11 დეკემბერი, 1241 წელი

**ყარაყორუმში (თანამედროვე მონღოლეთის ტერიტორიაზე მდებარე უძველეს ქალაქში) ძველმონღოლური უძლეველი ფეოდალური სახელმწიფოს დედაქალაქში 65 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ხანი უგედეი. იგი მესამე ვაჟი იყო ჩინგის ხანისა და 1229 წლიდან მისი ტახტის მემკვიდრე. სწორედ მისი მმართველობის დროს დასრულდა მონღოლთა მიერ ჩრდილოეთ ჩინეთის, ამიერკავკასიის, რუსეთის დაპყრობა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე განხორციელებული თავდასხმები. ახალი მმართველის არჩევა საკმაო ხანს გაგრძელდა და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ „დიდი ხანის“ ტიტული წილად ხვდა მისსავე ვაჟს გუიუკს.**

## 12 დეკემბერი, 1964 წელი

**აფრიკის სახელმწიფო კენია დამოუკიდებლობის მოპოვებიდან წლისთავზე რესპუბლიკად გამოცხადდა. ამჟამად იგი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, ანუ ეროვნული საკრებულო. კენიაში 40-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს, უმეტესად აფრიკელები, რომლებიც ბანტუს ენაზე საუბრობენ. მათთან ერთად მრავლად არიან ნილოტები, კუშიტები, ინდოპაკისტანელები, არაბები და ევროპელები. სახელმწიფო ენად ითვლება სუახილი და ინგლისური. მოსახლეობის 80 პროცენტი სოფლის მეურნეობას ეწევა. კენია მსოფლიო ბაზარზე ყავის, ჩაის, ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტიორად ითვლება.**



# როგორ გავსდეთ დედოფალი?

**200 წლის წინათ, 1804 წლის 2 დეკემბერს, პარიზის ნოტრ-დამის ტაძარში გაიმართა ნაპოლეონ ბონაპარტის მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონია. მიმდინარე კვირას სტოკჰოლმში იწყება ნობელის პრემიებით დაჯილდოებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია, რომელსაც ტრადიციულად ესწრებიან შვედეთის სამეფო ოჯახის წევრები. დღეს, ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ ევროპაში ეს ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი გვარი გაჩნდა დიქტატორ ბონაპარტის თავბრუდამხვევი სასიყვარულო ინტრიგის წყალობით.**

მეფედ კურთხევის პროცედურაზე პარიზში გამოიძახეს რომის პაპი პიუს VII. პაპმა უარი ვერ შებედა ნაპოლეონს და დედაქალაქში ეახლა, თუმცა, გვირგვინის დადგმის ამ პომპეზურ ცერემონიაზე მას მიაკუთვნეს დამამცირებლად პასიური როლი. ნაპოლეონმა თავისი ხელით დაიდგა იმპერატორის გვირგვინი და თვითონვე აკურთხა დედოფლად თავისი მეუღლე ჟოზეფინა.

1795 წელს გენერალი ბონაპარტი გაიტაცა ულამაზესმა კრეოლმა ქალმა ჟოზეფინა ბოგარნემ, გენერალ ბოგარნეს ქვრივმა, რომელიც რევოლუციური ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენის თანახმად 1794 წელს დასაჯეს სიკვდილით სამშობლოს ღალატისათვის. ნაპოლეონს თავდავიწყებით უყვარდა ჟოზეფინა, განსაკუთრებით მათი ცოლ-ქმრული ცხოვრების პირველ წლებში. ნაპოლეონი არ გაშორებია მას მაშინაც კი, როცა შეიტყო, რომ მისი არყოფნის დროს ეს ქალბატონი მთლად ღირსეულად არ იქცეოდა. ხანგრძლივი ქორწინების მიუხედავად, ამ წყვილს შვილები არ ჰყოლია. როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენეს, ამაში „დამნაშავე“ ყოფილა არც თუ ისე ახალგაზრდა და არც თუ ისე ჯანმრთელი იმპერატრიცა. სანამ ნაპოლეონი ჯერ გენერალი, შემდეგ კი ყოვლისშემძლე პირველი კონსული იყო, უშვილობასთან შეგუება შეიძლებოდა, მაგრამ იმპერატორს სჭირდებოდა მემკვიდრე. კორონაციიდან 5 წლის შემდეგ, 1809 წლის 30 ნოემბერს, ნაპოლეონმა ჟოზეფინას განუცხადა განქორწინების შესახებ. ქალი ემუდარებოდა ქმარს, შეეცვალა გადაწყვეტილება, მაგრამ იგი შეუვალი იყო: „მე კვლავ მიყვარხარ, მაგრამ პოლიტიკაში ყველაფერს წყვეტს არა გული, არამედ თავი“. 1809 წლის 15 დეკემბერს მოაწერეს ხელი ოქმს განქორწინების შესახებ და ჟოზეფინა გადასახლდა მისთვის ნაბოძებ მალმეზონის სასახლეში. ამით ეს ქალბატონი საბოლოოდ წავიდა ბონაპარტეს ცხოვრებიდან. 1814 წელს ნაპოლეონის მოწინააღმდეგე კოალიციის ჯარები შევიდნენ პარიზში, ჟოზეფინა შეხვდა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს. არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, ჟოზეფინას სურდა მოეხიბლა რუსთ ხელმწიფე და მასთან შეხვედრის დღეს საკმაოდ შილიფად იყო ჩაცმული, რის გამოც, გაცივდა და ამ ავადმყოფობამ შეიწირა კიდეც იგი. ნაპოლეონი იმ დროს უკვე ელბის კუნძულზე იყო გადასახლებული. მან მძიმედ განიცადა პირველი ცოლის და იმ ერთადერთი ქალის სიკვდილი, რომელიც ნამდვილად უყვარდა.

მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა ჟოზეფინას ბედი, რომელიც ცნობილია მრავალი რომანის და კინოფილმის წყალობით, არამედ სულ სხვა ქალის – საპნის მხარშველის ქალიშვილის დეზირე კლარის ბედი, რომელიც ჟოზეფინამდე ბონაპარტის ოფიციალურ საცოლედ ითვლებოდა. რამ შეუშალა ხელი ამ ახალგაზრდა მდაბიო ქალს იმაში, რომ გამხდარიყო საფრანგეთის დედოფალი? ახლა, 200 წლის შემდეგ, ამაზე მსჯელობა რთულია. ჩვენი ისტორიისათვის სულ სხვა რამეს ენიჭება მნიშვნელობა – ზოგჯერ, თურმე, სამიჯნურო საქმეებში უმჯობესია, წაგებული დარჩე, ვიდრე მოგებული. როცა ჟოზეფინამ თავდავიწყებით გაიტაცა მომავალი იმპერატორი, დეზირე მას მიავიწყდა. ნაპოლეონში შეყვარებულმა ახალგაზრდა ქალმა გადაწყვიტა უფრო მცირედს დასჯერებოდა, და ცოლად გაჰყვა რევოლუციონერ გენერალს ბერნადოტს. ასე წარმოიქმნა ორი ცოლქმრული წყვილისგან შექმნილი სამიჯნურო ოთხკუთხედი.





1804 წლის 19 მაისს, მეფედ კურთხევამდე ნახევარი წლით ადრე, ნაპოლეონმა პირველი კონსულის სტატუსით მოაწერა ხელი დეკრეტს, რომელსაც უკვე კარგა ხანს ელოდა არმია. მან საფრანგეთის მარშლობა მიანიჭა 18 ყველაზე პოპულარულ გენერალს. ნაპოლეონის პირველ მარშალთა შორის იყო დეზირეს ქმარიც – გენერალი ჟან ბატისტ ბერნადოტი. იგი დაიბადა 1763 წელს გასკონიაში, შვედური ფესვების მქონე იურისტის ოჯახში. ბერნადოტი ნაპოლეონზე 6 წლით უფროსი იყო და რევოლუციის დაწყების დროს უფროს სერჟანტად მსახურობდა სამეფო არმიაში. ბერნადოტმა მარჯვედ გამოიყენა ახალი შესაძლებლობები და კოალიციის ძალების წინააღმდეგ საომარი კამპანიის დროს (კოალიცია ცდილობდა საფრანგეთში რევოლუციის დასრულებისთანავე აღედგინა ბურბონების დინასტია) გახდა გენერალი. თავისი რესპუბლიკური მრწამსის დასამტკიცებლად ბერნადოტის მკერდზე გაჩნდა სვირინგი – „სიკვდილი მეფეებს“. ბერნადოტმა იქორწინა ნაპოლეონის მიერ დაწუნებულ დეზირეზე და ახალგაზრდა ოჯახს 1799 წელს შეეძინა ვაჟი.

ბერნადოტი არ შედიოდა ნაპოლეონის ყველაზე წარმატებული მარშლების რიცხვში. მაგრამ 1806 წლის შემოდგომაზე მისი ლაშქრობა პრუსიაში ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა, თუმცა, არა სამხედრო თვალსაზრისით. იქ, დაბა ლიუბეკთან ბრძოლის დროს, როცა პრუსიის არმია უკვე განადგურებული იყო, მის დასახმარებლად ხომალდებიდან გადმოსხეს შვედების საჯარისო ნაწილი, რომელიც მაშინათვე აღმოჩნდა ბერნადოტის ტყვეობაში. გამარჯვებული შვედებს ძალზე თავაზიანად ეპყრობოდა, რამაც შვედ ოფიცრებზე უაღრესად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ისინი ხოტბა-დიდებას ასხამდნენ შვედური ფესვების მქონე ამ საოცრად მომხიბვლელ ფრანგ მარშალს. ამ ამბავმა რამდენიმე წლის შემდეგ, სრულიად მოულოდნელი განვითარება პოვა.

1808-1809 წლებში მოხდა რუსეთ-შვედეთის ბოლო ომი. შვედებმა ომი წააგეს, რის შედეგადაც დაკარგეს ფინეთი, რომელიც რუსეთის იმპერიას შეუერთდა დიდი სამთავროს უფლებებით. იმპერიის საბჭომ ტახტს ჩამოაშორა მეფე გუსტავ VI ადოლფი და მის შთამომავლებს ჩამოართვა ტახტის მემკვიდრეობის უფლება. მეფედ გამოაცხადეს გუსტავის ბიძა, რომელიც აკურთხეს კარლოს XIII სახელით. მაგრამ ერთი მეფის მეორით შეცვლამ ვერ გადაჭრა სახელმწიფოს წინაშე არსებული ყველა პრობლემა: კარლოს XIII უშვილო იყო, ამიტომ დაუყოვნებლივ წამოიჭრა მისი მომავალი მემკვიდრის საკითხი. ნაპოლეონს სტოკჰოლმიდან ეწვია დელეგაცია, რომლის წევრებიც ითხოვდნენ მარშალ ბერნადოტის გაშვებას შვედეთში ამ ქვეყნის ტახტის მემკვიდრედ. იმ დროისათვის ბერნადოტისა და ნაპოლეონის დამოკიდებულება საკმაოდ დაძაბული იყო, და იმპერატორმა დელეგატებს შესთავაზა ასარჩევად რამდენიმე სხვა კანდიდატურა, მაგრამ შვედებმა უარი განაცხადეს. ყოველივე ამის შედეგად, 1810 წელს ბერნადოტი და დეზირე ჩავიდნენ შვედეთში, სადაც რიქსდაგმა ოფიციალურად გამოაცხადა ბერნადოტი შვედეთის ტახტის მემკვიდრედ.

1812 წლის ზაფხულში ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა. თითქოსდა, საფრანგეთის მარშალი სიმპათიით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ნაპოლეონის მიმართ. მაგრამ ჯერ კიდევ 1812 წლის ომის დაწყებამდე ბერნადოტი დესპან ალექსანდრე ჩერნიშოვის მეშვეობით შეპირდა იმპერატორ ალექსანდრე პირველს, რომ არ ეცდებოდა ფინეთის დაბრუნებას. უფრო მეტიც: ომის პირველ დღეებში მან ურჩია იმპერატორს არ შეეჩერებინა ნაპოლეონის არმია საზღვარზე და დაეხია უკან, ქვეყნის სიღრმეში.

იხ. მე-7 გვ.

# როგორ გავხდეთ დედოფალი?

(მეექვსე გვერდიდან)

[illegible]



[illegible] ნაპოლეონმა მარშლის კვერთხი უბოძა ბერნადოტს მარშალ ჟურდანისგან ხუთი წლის შემდეგ. 1813 წლის ოქტომბერში ლაიფციგთან გაიმართა „ერთა ბრძოლა“, [illegible] ამ ბრძოლის ყველა ეპიზოდი, მოვიყვანთ მხოლოდ მისი ერთ-ერთი მონაწილის მარბოს სიტყვებს: „სწორედ ფრანგმა, რომლის გვირგვინიც ფრანგების სისხლით იყო მოპოვებული, გვაგემა უკანასკნელი დარტყმა“. ეს ფრანგი ბერნადოტი გახლდათ.

შვედების მონაწილეობას კოალიციაში არა იმდენად სამხედრო, რამდენადაც პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა: გამარჯვებულთა სუფრასთან შვედეთმა მიიღო თავისი წილი – გადაეცა ნორვეგია, რომელიც 1905 წლამდე შეადგენდა უნიას შვედეთთან ერთად. მაგრამ საინტერესოა საკითხის არა სამხედრო, არამედ მორალური მხარე. ფრანგებისათვის ბერნადოტი არის მოღალატე, რომელიც თვისტომთა წინააღმდეგ იბრძოდა. შვედები კი, პირიქით, ბერნადოტის ასეთ საქციელს ბუნებრივად მიიჩნევენ: იგი ემსახურებოდა სახელმწიფოს, რომელმაც აკურთხა მემკვიდრე უფლისწულად, და რომლის მეფეც, გარკვეული დროის შემდეგ, თვითონ უნდა გამხდარიყო.

1814 წლის გაზაფხულზე ბერნადოტი კოალიციის ჯარებთან ერთად შევიდა პარიზში. ქმარს სტოკჰოლმიდან დეზირეც ჩაჰყვა. ფრანგების უმრავლესობა ბერნადოტს საკმაოდ მტრულად ეკიდებოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მარშალ ლეფევრის ცოლმა მას საჯაროდ უწოდა მოღალატე. ალექსანდრე პირველს, შეგნებული ჰქონდა, რომ ასეთ პირობებში შვედეთის პრინცის მონაწილეობა საფრანგეთში ბურბონების ტახტის აღდგენის საქმეში შეუძლებელი იყო. ამიტომ ბერნადოტმა მალე დატოვა პარიზი და ამის შემდეგ იქ აღარ დაბრუნებულა. დეზირეს უყვარდა ქმარი, თუმცა სტოკჰოლმში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ყოველივე ამის შედეგად, როცა ნაპოლეონი კვლავ შევიდა პარიზში, რათა ასი დღით გამხდარიყო საფრანგეთის იმპერატორი, მას იქ დეზირე დახვდა. არ ღირს იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ მოიქცეოდა ბონოპარტი თვით ბერნადოტი რომ ჩაეგდო ხელში, მაგრამ ქალთან ბრძოლა მას არ დაუწყია და დეზირეს მშობლიური საფრანგეთიდან შვედეთში მშვიდად დაბრუნების შესაძლებლობაც კი მისცა.

1818 წელს 50 წლის ჟან ბატისტ ბერნადოტი შვედეთის მეფე გახდა, მისი მეუღლე დეზირე კი – დედოფალი. შვედური ტრადიციების თანახმად, მეფეს მიენიჭა ახალი სახელი კარლოს XIV იუჰანი. ახლა ბერნადოტს უნდა დაემალა სვირინგი, რომელიც ახალგაზრდული თავქარიანობით გაიკეთა თავის დროზე. საგარეო პოლიტიკის სფეროში მან გამოაცხადა შვედეთის ნეიტრალიტეტი, დაამყარა გაწონასწორებული ურთიერთობა რუსეთთან და დიდ ბრიტანეთთან. კარლოს XIV 1844 წლის მარტში გარდაიცვალა და შვედეთის მეფე გახდა შორეულ საფრანგეთში დაბადებული მისი ვაჟი, რომელიც ტახტზე ოსკარ პირველის სახელით ავიდა. მამისგან განსხვავებით, რომელიც ტახტზე რიქსდაგმა მიიწვია, ვაჟმა სავსებით კანონიერად დაიკავა იგი. დეზირე აღესრულა 1860 წელს, 90 წლის, დედა-დედოფლის სტატუსით.

გავიდა წლები. ისტორიას ჩაბარდა ჯერ XIX, შემდეგ კი XX საუკუნეც. მაგრამ ფრანგი მარშლის ბერნადოტის და ბონაპარტის ყოფილი საცოლის დეზირეს მიერ დაარსებული დინასტია კვლავ რჩება შვედეთის სამეფო ტახტზე. ამჟამად შვედეთის მეფეა კარლოს XVI გუსტავი. იგი დაიბადა 1946 წელს, ერთი წლის შემდეგ კი დაკარგა მამა, რომელიც ავიაკატასტროფაში დაიღუპა. 1973 წელს, პაპის გარდაცვალების შემდეგ, კარლოს XVI გუსტავი შვედეთის მეფე გახდა. მისი მეუღლე – დედოფალი სილვია დიდგვაროვანი წინაპრებით ვერ დაიტრაბახებს. იგი გერმანელი ბიზნესმენის ქალიშვილია. მომავალმა მონარქმა სილვია გაიცნო 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ ასპარეზობაზე, სადაც ქალიშვილი თარჯიმნად მუშაობდა. რეალური ძალაუფლება შვედეთის მეფეს არ აქვს, მაგრამ მას მინიჭებული აქვს მრავალი წარმომადგენლობითი ფუნქცია. აქედან ყველაზე ცნობილია ნობელის პრემიით დაჯილდოება. ყოველი წლის დამლევს შვედეთის მეცნიერებათა აკადემია აქვეყნებს ნობელის ლაურეატთა მორიგ სიას. ტელევიზიას ხშირად გადმოუცია სტოკჰოლმიდან ახალი ლაურეატების დაჯილდოების პროცედურის ფრაგმენტები.

**„ოგონიოკი“.**

## ისლამი არც ისე საშიში ყოფილა

**ამერიკის შეერთებულ შტატებში კინოგაქირავებაში გამოვიდა ისლამისადმი მიძღვნილი მულტფილმი. „მუჰამედი: უკანასკნელი წინასწარმეტყველი“ გადაიღეს ჯერ კიდევ 2001 წელს, მაგრამ 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენის გამო, გადაიდო ფილმის პრემიერა ამერიკაში.** მულტფილმის შემქმნელების მთავარი ამოცანა იყო გაეუმჯობესებინათ ურთიერთგაგება მუსლიმანებსა და დანარჩენ ამერიკელებს შორის, დაწვრილებით მოეთხროთ მუჰამედის ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ისლამის თანახმად, რელიგიური ფიგურების ვიზუალური გამოსახვა კატეგორიულად აკრძალულია, ასე რომ, მთელი ფილმის მანძილზე მაყურებელი ეკრანზე ვერ იხილავს წინასწარმეტყველს, რადგან ფირზე აღბეჭდილია მხოლოდ მისი ნაბიჯების ხმა და მთხრობელის ტექსტი, რომელიც პერიოდულად კითხულობს ნაწყვეტებს ყურანიდან.

## ძილის სამეფო

**ტოკიოს ოფისებისა და დაწესებულებების მოსამსახურეებს მიეცათ სამუშაო საათებში თვალის მოტყუების შესაძლებლობა.**

ქრონიკული გამოუძინებლობა საერთო პრობლემაა ყველა იაპონელი მოსამსახურისთვის. გარდა იმისა, რომ ამ ადამიანებს არანორმირებული სამუშაო დღე აქვთ, გზაშიც ეკარგებათ საშუალოდ ორი-ოთხი საათი. ძილისთვის დრო პრაქტიკულად აღარ რჩებათ. და აი, ამ ცოტა ხნის წინათ ტოკიოს საქმიან უბანში გამოჩნდა ღრმა ძილის პირველი სალონები. აქ ყველა მსურველს შეუძლია გამოიძინოს სამსახურში შესვენების დროს. იმ ადამიანებისთვის კი, რომლებსაც არ სურთ საერთო დარბაზში ძილი, გამოყოფილია სპეციალური ოთახები. ასეთი სალონების აუცილებლობა უკვე კარგა ხანია გაჩნდა ტოკიოსა და იაპონიის სხვა დიდ ქალაქებში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, ადამიანები ათასგვარ ეშმაკობას მიმართავდნენ იმისთვის, რომ ოდნავ მაინც დაესვენათ სამუშაო დღის განმავლობაში. იყო შემთხვევები, როცა მათ ეძინათ მაღაზიების ტანსაცმლის მოსაზომ კაბინებშიც კი. გარდა ამისა, ზოგიერთი საროსკიპო კლიენტებს სთავაზობდა სპეციალურ მომსახურებას – ნებისმიერ მსურველს შეეძლო ოთახში შესულიყო გოგონას გარეშე და ერთი გემოზე გამოეძინა.



## ეს თქვენც შეგიძლიათ

**რა მოსატანია „ფიატი“ ან „ფერარი“! ეს იტალიელი „შერეკილები“ სულ სხვა მანქანებზე ფიქრობენ. იტალიაში ყოველწლიურად იმართება გამომგონებელთა შეკრება.** თანაც, არა ჩვეულებრივი გამომგონებლებისა, არამედ იმ ადამიანების, რომლებიც საკუთარი ხელით ქმნიან საკმაოდ უჩვეულო ავტომობილებს. როცა ამ ხალხს ვუყურებთ, უნებლიედ გვაგონდება საბჭოური ტელევიზიის ერთ-ერთი პოპულარული პროგრამა – „ეს თქვენც შეგიძლიათ“, რომელშიც საბჭოთა ხელმარჯვე ოსტატები უჩვენებდნენ თავიანთ გამოგონებებს და იცავდნენ მათ ექსპერტთა საბჭოს წინაშე.





**⊙ ერთი უიღბლო ქორწინების ამბავი**

# გენერალ პეტრე ბაგრატიონის პირველი და უკანასკნელი მარცხი

(მესამე გვერდიდან)

მეტერნიხმა საბოლოოდ ამოიკვეთა ფეხი პალე შანკენტრასაზე, სადაც დე საგანი ცხოვრობდა. მეტერნიხი ალექსანდრე პირველმა შეცვალა. ეკატერინე სკავრონსკაია სულაც არ განიცდიდა ალექსანდრე პირველთან დაცილებას. მან ბავარიის ახალგაზრდა პრინცის შემდეგ, კვლავ სცადა ძველი კავშირი აღედგინა ნაპოლეონ ბონაპარტის გერთან ევგენი ბოჰარნესთან.



როგორც ჩანს სკავრონსკაიაც და დე საგანიც ერთმანეთს ჰგავდნენ მსუბუქი ყოფაქცევითა და ენატარტარითაც. ჰერცოგის ასულმა ურცხვად გამოააშკარავა თავისი სიახლოვე ინგლისელ ლორდ სტიუარტთან, რამაც მისი ახალი საყვარელი ალექსანდრე I განარისხა, ძველი მეგობარი მეტერნიხი კი ცოტა დაამშვიდა. ორივე ქალბატონთან დაახლოებასა და დაცილებას დიდი დრო და მოფიქრება არ სჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I მალე ორივესთანაა, ორივეს ერთნაირად ნახულობს, ორივეს უყოფს დროს. ალექსანდრე I ორივესთან ერთდროულად სიახლოვემ იქაური მაღალი საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და ორივე ქალბატონის ავსტრიიდან გაძევება მოითხოვა.

პარალელურად, მეტერნიხსა და ალექსანდრე I შორის ისევ დაიძაბა ურთიერთობა. მთელი ვენა იმათზე ლაპარაკობდა, ყველაფერს კი, ეკატერინე სკავრონსკაიას და დე საგანს აბრალებდნენ და აცხადებდნენ, „პოლიციას რომ დროზე გაეძევებინა ორივე ქალბატონი ვენიდან, მეტერნიხსა და ალექსანდრე პირველს შორის ურთიერთობა ასე მტრული არ იქნებოდაო“. ალბათ, საზოგადოების წყრომას მოერიდნენ და ორივე ქალბატონის მოქმედებით საქმე გამოსწორებისაკენ წავიდა. მალე მეტერნიხმა ორივე ქალბატონის ნდობა დაიბრუნა; ორივე მის სასარგებლოდ ამოქმედდა: ეკატერინე სკავრონსკაია ალექსანდრე პირველზე ახდენს ზეგავლენას, დე საგანი კი – მეტერნიხზე. ავსტრიის პირველ მინისტრსა და რუსეთის იმპერატორს შორის დაძაბულობამ იკლო. ურთიერთობა განახლების კეთილ გზას დაადგა.

ერთხანს სკავრონსკაია წაახალისა ალექსანდრე პირველის ძმის კონსტანტინე პავლეს ძის ყურადღებამ და არშიყობამ. ქარაფშუტა ქალი დიდი თავადის კონსტანტინე პავლეს ძის საყვარელი გახდა, მაგრამ არც მასთან ყოფილა დიდხანს. როცა კონსტანტინე პავლეს ძემ იგი ფრანგ მსახიობ ლამბერზე გაცვალა, იგი უახლოვდება ახალგაზრდა უფლისწულს ვიურტენბერგს, რომელიც ალექსანდრე პირველის დის ეკატერინე პავლეს ასულის ქმარი იყო.

ბედის დაცინვა თუ არა, სხვაგვარად როგორ აიხსნებოდა ეკატერინე სკავრონსკაიას ეს საქციელი. ალექსანდრე პირველის და ეკატერინე პავლეს ასული პეტრე ბაგრატიონის ცოლობას აპირებდა, ის სხვაზე გაათხოვეს და ქართველი გენერლის კანონიერი, ვენაში გადახვეწილი ცოლი მისი მეუღლის საყვარელი გახდა. ამასთანავე ავრცელებდა ხმებს, რომ ალექსანდრე პირველის და ეკატერინე პავლეს ასული არ უყვარდა პრინცს, ვინაიდან არ მოსწონდა იგი. ეკატერინემ იმპერატორთან იჩივლა... თქვენს დას ვეზიზღები თავისი ქმრის გამოო.

ერთი სიტყვით, არ ყოფილა დრო, რომ ამ ორ ქალბატონს, რომელიმე ყოვლისშემძლე, ხშირად გვირგვინოსანი საყვარელი არ ჰყოლოდა.

ეკატერინე სკავრონსკაია ისე დაუახლოვდა იმპერატორის დის ქმარს, ვიურტენბერგს, რომ როცა ამ უკანასკნელმა ვენა დატოვა, მან რამდენიმე სადგურით გააცილა იგი. ორივე ქალბატონის ავტორიტეტი დაეცა. ეკატერინე სკავრონსკაია საბოლოოდ ჩამოცილდა ალექსანდრე პირველს და კარლსრუეში გაემგზავრა, რათა ახლოს ყოფილიყო თავის საყვარელ ვიურტენბერგთან. როგორც ჩანს, მას მოსწყინდა უაზრო, ფუქსავატური ცხოვრება და 1816 წელს პეტრე ბაგრატიონის ქვრივი ეკატერინე სკავრონსკაია ინგლისელ ლორდ ჰოვენზე გათხოვდა.

აღსანიშნავია, რომ უღირსმა მეუღლემ ეკატერინე სკავრონსკაიამ სიკვდილამდე ატარა ბაგრატიონის გვარი. მეორედ დაქვრივებული, 62 წლის ასაკში, გარდაიცვალა ქ. ნიცაში.

1852 წელს ტენორ როჟე წერდა თავის მოგონებებში: „ის ტახტზე იწვა, 82 წლისა იყო (ის 62 წლის იყო და არა 82-ის), მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდა თავისი კბილები და ჩინებული ქერა თმა. კვლავ ემჩნეოდა ადრინდელი სილამაზე, რომელსაც ასე ახლოს იცნობდა ევროპის თითქმის ყველა გვირგვინოსანი. ახლა კი, წარსულში სიცოცხლისუნარიან უსულო გვამს ამშვენებს თავისი ხელების სილამაზე და სითეთრე“.

ასეთი იყო ეკატერინე I ძმის შთამომავლის, პეტრე ბაგრატიონის მეუღლის ეკატერინე სკავრონსკაია-ბაგრატიონის პიროვნება, რომელმაც სამუდამო დაღი დაასვა დიდებულ გენერალს თავისი უღირსი საქციელით, სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც.

**სურათზე: იმპერატორ პავლე პირველის ასული ეკატერინე – პეტრე ბაგრატიონის დიდი სიყვარული.**

**მიხეილ გონიკიშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## „ამელის“ ავტორის შეჭირვებანი

**ჩემი ბოლო სურათი ნამდვილად ფრანგულიაო – ამის დამტკიცებას ცდილობს სასამართლოში, პოპულარული ფილმის „ამელის“ რეჟისორი ჟან-პიერ ჟენე. სურათს „გრძელი ნიშნობა“ (მთავარ როლში დორი ტოტუ) აღფრთოვანებული გამოხმაურებები მოჰყვა აშშ-ში პრემიერის წინ.** სხვა პროდიუსერები დაეჭვდნენ ჟენეს უფლებაში საფრანგეთის მთავრობის სუბსიდიაზე: ფილმთან დამოკიდებულება აქვს ამერიკულ კინოსტუდიას „უორნერ ბრადერს“. არადა, რეჟისორის მტკიცებით, სურათს იღებდნენ საფრანგეთში, ფრანგი მსახიობებითა და ფრანგული გუნდით.

„გრძელი ნიშნობა“, რომლის მოქმედება პირველი მსოფლიო ომის წლებშია გაშლილი, ერთ-ერთ ყველაზე ძვირ ფრანგულ სურათად იქცა – 45-მილიონიანი ევროს ბიუჯეტით. სპონსორებად რამდენიმე ფრანგული კომპანია გამოვიდა, მათ რიცხვში „უორნერ ბრადერსის“ საფრანგეთის განყოფილება; და მაინც, ფრანგი პროდიუსერების ორი ასოციაცია ირწმუნება, რომ ფილმს არა აქვს უფლება საფრანგეთის სუბსიდიებზე.

**⊙ მიდიან...**

## მისი ბოლო დასაფრენი



**ამერიკული ლიტერატურის პატივისმცემლებს უთუოდ დაწყვეტს გულს გამოჩენილი პროზაიკოსის არტურ ჰეილის გარდაცვალება. დიდ ლიტერატურად მის დასასახელებლად ეგებ ენა ვერ მოგვიბრუნდეს, მაგრამ 11 რომანის დამწერი ხომ იყო, რომელთაგან უმეტესობა არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობდა.**

გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთული ყოველთვიური ჟურნალი „ინოსტრანნაია ლიტერატურა“ სისტემატურად აქვეყნებდა უცხოეთში გახმაურებული ნაწარმოებების თარგმანს. მახსოვს, აქ წავიკითხე გაგრძელებებით დასტამბული არტურ ჰეილის „აეროპორტი“, „ოტელი“, „ბორბლები“, „გადატვირთვა“ – ყველაზე სახელგანთქმული რომანები (ზოგიერთს ღამეც „ვუთიე“). რაკი ჟურნალი გამოწერილი მქონდა, გაგრძელებები ამოვჭერი და წიგნებად ავაკინძვინე – ასე „დავასწარი“ რუსეთში მათ ცალკე გამოცემას... ამ ქვეყნის ხსენებაზე – ცნობილია, რომ დიდ ქალაქებში საათობით იდგნენ უზარმაზარ რიგებში მწიგნობარნი, რომ მაკულატურა ჩაებარებინათ, ტალონი მიეღოთ და არტურ ჰეილისა და სხვათა წიგნები შეეძინათ...

აღსანიშნავია, რომ იმ დროში, ალბათ, მხოლოდ ასეთი სქელტანიანი დეტექტივებიდან თუ შეიტყობდი, როგორ ცხოვრობენ აშშ-ში, გინდა სხვაგან. მაგალითად, თვით არტურ ჰეილი, რომანის წერას სანამ შეუდგებოდა, დაწვრილებით შეისწავლიდა თურმე ხან დიდი სასტუმროების, ხან დიდი აეროპორტების, ხანაც საავადმყოფოების მუშაკთა ცხოვრებას. შეუძლებელი იყო მისთვის უნდობლობის გამოცხადება მკითხველის მხრიდან! სჯეროდათ კიდევაც ავტორისა, თუმცა მას სკოლაც არ ჰქონია დამთავრებული.

აი, ასეთი „უსწავლელი“ პროზაიკოსის რომანები მსოფლიოს 38 ენაზეა გადათარგმნილი, ხოლო წიგნების საერთო ტირაჟმა 170 მილიონ ცალს გადააჭარბა!

ბოლო წლებში არტურ ჰეილიმ, რომელიც ბაგამის კუნძულებში შემავალ ნიუ-პროვიდენსში ცხოვრობდა ქალაქ ლიფორდში, საკუთარ ვილაში, თავი დაანება მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის წერას. ორი თვის წინათ კი ინსულტი გადაუტანია, რის შედეგადაც პრობლემები გაუჩნდა მეხსიერებასთან დაკავშირებით.

იმსხვერპლა კიდეც ინსულტმა: 26 ნოემბერს ძილში „ბედნიერად“ წასულა 84 წლის მხცოვანი კალმოსანი. ვინ იცის, ეგებ დაბინდულ გონებას „აეროპორტში“ აღწერილი რეისის მძაფრი პერიპეტიები ეზმანა...

არტურ ჰეილის სიკვდილი მსოფლიოს მისმა ერთგულმა თანამეცხედრემ შეილამ აუწყა...

**თამაზ ეზანოიძე.**

**⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან**

**რომელი კატეგორიის პენსიონერები სარგებლობენ შეღავათით კბილის პროთეზის გაკეთების დროს?**

**ვახტანგ ბაბაძე.**

– სტომატოლოგიური მომსახურება (მათ შორის პროთეზირება ძვირფასი ლითონების გარეშე) ინვალიდთა სტომატოლოგიური დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია სამამულო ომის I და II ჯგუფის ინვალიდების, I ჯგუფის მარტოხელა პენსიოერების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრებისთვის (თბილისი, ჭავჭავაძის 60).

* * *

**ვარ მარტოხელა, ვცხოვრობ მაღალმთიან რეგიონში. ვმკურნალობ ონკოლოგიურ საავადმყოფოში, რისთვისაც მჭირდება დიდი თანხა. მივმართე რაიონის გამგეობას, მაგრამ სამკურნალო თანხების ჩარიცხვაზე უარი მითხრეს. უკვე დახარჯული მაქვს 3800 ლარი.**

**გთხოვთ მიპასუხოთ, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფს, მეკუთვნის თუ არა შეღავათი მკურნალობისათვის?**

**ელისო ბექაური.**

– ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში მუშაობს „ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის თანახმადაც პაციენტთა მკურნალობის დაფინანსება ხდება თანაგადახდის პრინციპით. თანაგადახდის მოცულობა მომსახურებაზე შეადგენს 20 პროცენტს პაციენტის მხრიდან.

ვინაიდან თქვენს შეკითხვაში არ არის აღნიშნული კონკრეტულად რა ნოზოლოგიური კოდებით ჩაგიტარდათ მკურნალობა და რა ოდენობით, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად გირჩევთ მიმართოთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანრთელობის დაცვის დეპარტამენტის პროგრამების სამმართველოს (თბილისი, გამსახურდიას გამზ. 30).

**2004 წლის 25 ნოემბრის № 273 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ განცხადებებში ტენდერის ჩატარების შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:**

1. კომპიუტერული ტექნიკისა და საოფისე აქსესუარების შესყიდვის ტენდერში უნდა იყოს

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტია: | რაოდენობა |
|---|---|---|
| I ლოტი | კომპიუტერი | 37 ცალი |
| II ლოტი | ლეპტოპი | 9 ცალი |
| III ლოტი | ქსეროქსი | 12 ცალი |
| IV ლოტი | სკანერი | 4 ცალი |
| V ლოტი | კვების წყარო (UPS) | 27 ცალი |
| VI ლოტი | პრინტერი | 31 ცალი |
| VII ლოტი | სერვერი 1 ცალი | |
| VIII ლოტი | ვიდეო პროექტორი | 2 ცალი |
| IX ლოტი | USB Flash Drive | 13 ცალი |

2. საწვავის ტალონური სისტემით მიწოდების მომსახურების შესყიდვის

| დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|
| ბენზინი 92-93 | ლიტრი | 40600 |
| დიზელი | ლიტრი | 1000 |

3. სასტამბო მომსახურების შესყიდვის ტენდერს უნდა დაემატოს

| დასახელება | აღწერილობა | განზ. | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| წიგნი | A4 ფორმატი | ცალი | 1100 |

4. საოფისე ავეჯის შესყიდვის ტენდერში უნდა იყოს

| ლოტი | საქონლის დასახელება | საქონლის მოკლე მახასიათებლები | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|
| I | კომპიუტერის მაგიდა | უჯრებით და საკეტით | 12 |
| | საოფისე მაგიდა | დამზადებული ლამინატისაგან | 64 |
| | წიგნების კარადა | შუშებით, დამზადებული ლამინატისაგან | 34 |
| | ტანსაცმლის კარადა | დამზადებული ლამინატისაგან | 16 |
| | წიგნების თარო | დამზადებული ლამინატისაგან | 35 |
| II | ტანსაცმლის საკიდი | დასადგამით | 14 |
| | სკამი საოფისე | მბრუნავი, ამორტიზატორით | |
| | | ხის ან მეტალის, რბილი საფარით 12 | |
| | სკამი საოფისე | ქსოვილის ზედაპირით | 140 |
| III | სამეული | ხელოვნური ტყავის ან ნაჭრის | 10 |
| | სავარძელი | ხელოვნური ტყავის ან ნაჭრის | 8 |

5. ახალი სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების (ლაბორატორიული, სადიაგნოსტიკო, ინტენსიური თერაპიის, სასტერილიზაციო და სხვა), ინვენტარისა და სახარჯი მასალის შესყიდვის ტენდერის II ლოტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| II ლოტი | სამედიცინო სახარჯი მასალები (შპრიცები, კათეტერები, კონდომები, ბამბა და სხვა) |

დაემატოს VI ლოტი:

| | |
|---|---|
| VI ლოტი | სამედიცინო ტესტ-სისტემები, დიაგნოსტიკუმები, ქიმიური ნივთიერებები და სხვა |

# ვინ „მოუხმო“ რუსეთში „ალ-ქაიდას“?

**როცა კრემლი ჩვენი ქვეყნის ყველა უბედურებას „საერთაშორისო ტერორიზმის ხრიკებს“ მიაწერს, მრავალი რუსეთელი ზიზღით იჭმუხნის შუბლს: ესაოდა, ხელისუფალნი კვლავ ცდილობენ თავიანთი შეცდომებისათვის პასუხისმგებლობა ვიღაც გარე მტერს გადაულოცონო. ასეთ მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვალი. საერთაშორისო მასშტაბის ტერორისტად ბენ ლადენის გადაქცევაც კი კრემლის ბინადართა, თუმცა ყოფილთა, შეცდომების პირდაპირი შედეგია.**





რუსეთისადმი „დიდი სიყვარულით“ ცნობილი, ეროვნული უშიშროების დარგში პრეზიდენტ კარტერის თამაშემწე ზბიგნევ ბჟეზინსკი „ცივ ომში“ სსრ კავშირის დამარცხების იდეით იყო შეპყრობილი. 1979 წლის ივლისში მან დაარწმუნა სახელმწიფოს მეთაური ავღანეთში პრომოსკოვური რეჟიმის შიგა მტრებისათვის ფარული დახმარების გაწევაზე ბრძანების ხელმოწერაში. მოგვიანებით თვით ბჟეზინსკიმ აღიარა, რაც იყო ამ ტრიუკის აზრი: ავღანური პოლიტიკის დამღუპველ საფლობში სსრ კავშირის რაც შეიძლება ღრმად შეტყუების ცდა. ბრეჟნევმა ეგრევე გადაყლაპა სატყუარა. უკვე 1979 წლის დეკემბერში ქაბულში საბჭოთა ტანკები გამოჩნდნენ. „ახლა ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს სსრ კავშირს საკუთარი ვიეტნამის ომი მოვუწყოთ“ – მისწერა მაშინ მოზეიმე ბჟეზინსკიმ თავის ბოსს კარტერს.

კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც ავღანეთში საბჭოთა ინტერვენციამ ეიფორია გამოიწვია, საუდის არაბეთი გახდა. იმ წელიწადს ვაჰაბიტური სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა ყველა ნაკერზე ირღვეოდა. მრავალი ათწლეულის მანძილზე საუდის არაბეთის მმართველები ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ რელიგიურ ფანატიკოსებს. ფუნდამენტალისტები კი იმდენად მოღონიერდნენ, რომ ღიად გაუბედეს გამოწვევა ყოფილ მფარველებს. ოპოზიციურმა „მუსულმანთა ძმობამ“ განაცხადა, რომ სამეფო ოჯახმა დაკარგა ქვეყნის მართვის უფლება თავისი „კორუფციისა და დასავლეთის მოუფიქრებელი იმიტაციის“ გამო. მალე ფანატიკოსები კონკრეტულ მოქმედებებზე გადავიდნენ. ბოევიკების ჯგუფმა ისლამის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე დაიპყრო – დიდი მეჩეთი მექაში. ამას მოჰყვა ორკვირიანი სისხლიანი ბრძოლა, რომელშიც რამდენიმე ასეული ადამიანი დაიღუპა... საუდის სამეფო ოჯახის წინ ძალაუფლების დაკარგვის რეალური პერსპექტივა გამოიკვეთა.

აი, სწორედ აქ მიართვა ბრეჟნევმა საუდის ლიდერებს გრანდიოზული საჩუქარი. ავღანეთში ჩვენი ჯარების შეყვანამ საუდის არაბეთის მმართველებს „ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლის“ კალაპოტში თავიანთი რელიგიური ფანატიკოსების ენერგიის წარმართვის შესაძლებლობა მისცა. სამეფოში უმალვე განელდა შინაგანი დაძაბულობა. ყველა ადგილობრივი მაჰმადიანი ექსტრემისტი ან ავღანელი მოჯაჰიდების ფინანსური დახმარების ორგანიზებას შეუდგა, ან თვითონვე გაემგზავრა საომრად. აქ საუდის მმართველთა წინაშე დადგა ერთი მცირე, მაგრამ დელიკატური პრობლემა. სამეფო ოჯახის იმიჯის მხარდასაჭერად ურიგო არ იქნებოდა, თუ ავღანეთში საუდის „საექსპედიციო კორპუსს“ რომელიმე პრინცი გაუძღვებოდა. არადა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში უკვე მაშინაც იყო პრინცთა სიჭარბე – რამდენიე ათასი – არც ერთი მათგანი არ ანთებულა „ურწმუნოებთან“ პირადად ბრძოლის სურვილით.

სამაგიეროდ ამისათვის მზად აღმოჩნდა მშენებლობის მაგნატის მოჰამედ ბენ ლადენის ვაჟი უსამა. რამდენადაც ბენ ლადენები სამეფო ოჯახის უახლოეს მეგობრებად ითვლებოდნენ, საუდის ხელისუფალნი სიხარულით შეეგებნენ მანამდე ყველასათვის უცნობი პირტიტველა ბიჭის სურვილს. ასე დაიწყო მომავალი ნომერ პირველი საერთაშორისო ტერორისტის კარიერა.

ჩეჩნეთში 1990-იანი წლების დასაწყისში „ალ-ქაიდის“ შეღწევის ზუსტი დეტალები უცნობია. შეიძლება ვარაუდი, რომ პირველი ჩეჩნეთის ომის დაწყების წინ, ბენ ლადენის ხალხის ყოფნა დუდაევის სამფლობელოში მინიმალური იყო, აი, მას შემდეგ კი, რაც ელცინმა ფაქტობრივად გაიმეორა ბრეჟნევის შეცდომა და ჯარების შეყვანის წინდაუხედავი გადაწყვეტილება მიიღო, ყველაფერი შეიცვალა.

ამრიგად, გვაქვს ჩვენი ხელისუფლების დადანაშაულების საბაბი. ოღონდ მხოლოდ კრემლს ნუ ავკიდებთ ყველა ცოდვას. ეს დაემგვანება ათასობით პაწია ნამსხვრევად გატეხილი ჭურჭლის შეწებების ცდას. მობრუნების წერტილი უკვე გავლილია: იმისაგან დამოუკიდებლად, მზადა ვართ თუ არა ამ რეალობის საცნობად. დღეს რუსეთს ჩეჩნეთში ნამდვილად საერთაშორისო ტერორიზმი უპირისპირდება.

**მიხეილ როსტოვსკი.**
**„მკ“.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 282, კვირა, 5 დეკემბერი, 2004 წელი.

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1965 წელი. ვლადიკავკაზის ქართულ საშუალო სკოლაში თბილისიდან სტუმრად ჩასული მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის კოლექტივის წარმომადგენლები.
სურათი გადაღებულია სკოლის შენობასთან.

ნათელა ფაილოძის საოჯახო არქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

***ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.***

გიხაროდენ!

# ლომიძეებში ვაჟიანობაა



ჩვენს ძმას, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის მთავარ ბუღალტერს ხვიჩას და მის მეუღლეს, ფიზიკოს მარიკა ჭილაშვილს 10 წლის ოჯახი აქვთ. აქამდე ორივენი 8 წლის ლაშას შეჰხაროდნენ, ახლა კი მეორე ვაჟიც შეემატათ. მარიკას თბილისის დავით ქორიძის სახელობის მე-4 სამშობიარო სახლში ვაჟი შეეძინა — ლუკა. მეორე ვაჟის შეძენით გაიხარა ლომიძეების ოჯახმა.

ჩვენს ძმისწულებს ლაშას და ლუკას ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ.

**ნანა და ნონა ლომიძეები.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

ცოტაც გავიღიმოთ...



ნამდვილმა ქალმა ცხოვრებაში სამი რამ უნდა გააკეთოს და არა სულელივით ქურქზე დაკომპლექსდეს.

* * *

ახალწლის ღამეს გამოჯერკილი პატიმრები მთელი ქვეყნის ციხეებში თანასაკნელებს პეტუხის წელს მიულოცავენ.

* * *

შემოდგომის გრძელ, ცივ საღამოებს ჩემს სავარძელში ვატარებ: ვზივარ და გაშტერებული შევყურებ შპალერს... შპალერზე ჩემი ბანჯგვლიანი ფეხებია.

* * *

ახალგაზრდა ტალანტური პიანისტი რადიოსტუდიაში ჩასაწერად მივიდა. მაგრამ მღელვარებისგან ისე მოხდა, რომ რაც მეტს უკრავდა, მით უფრო ცუდად გამოსდიოდა. უკვე ღამის 12 საათია. მინის თეჯირს იქით ზის ნაღვლიანი ხმის ოპერატორი... ყავა დამთავრდა, ცოლმა სამჯერ დაურეკა, დაპირდა სახლში არ შემოგიშვებო. ყველაფერი ყელში ამოუვიდა. სტუდიაში მიკროფონს რთავს და პიანისტს ეუბნება:

— მისმინე ყმაწვილო!!! დაანებე თავი, გეყოფა. ხომ ხედავ, არ გამოგდის. შენ გამების დაკვრა მაინც თუ შეგიძლია?

— გამების? რა პრობლემაა!

— ჰოდა დაუკარი, მე შემდეგ დავჭრი.

* * *

ერთმანეთს ორი მეგობარი ხვდება.

— გავიგე, ცოლი შეგირთავს.

— სწორია.

— მერე?

— ყოველდღე ინტელექტუალური სექსი მაქვს.

— ეგ როგორ?

— ყოველდღე ტვინს მიბურღავს.

კროსვორდი



თარაზულად: 2. მგალობელი ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. 5. კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური ან მეცნიერული ნაწარმოები. 6. ცნობილი იტალიელი მევიოლინეს სახელი. 8. ერთგვარი მტაცებელი ფრინველი. 10. უფერული მინერალი, რომელიც გავრცელებულია დედამიწის ქერქში. სილიციუმის ორჟანგი. 11. რკინაბეტონის ან სხვა რამ მასალის ფილა, რომელსაც იყენებენ ასაწყობ მშენებლობაში. 12. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი. 14. დაბალი დიპლომატიური რანგი. 15. რისამე ხარისხის დონე. 17. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი. 18. სატყორცნი სპორტული საგანი. 19. ფოსტალიონის მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა. 20. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი. 21. ნიაღვრის მიერ ჩამორეცხილი მიწის ზედაპირის წვრილი ნაწილაკები, რომლებიც შეიცავს ორგანულ ნივთიერებათა გახრწნილ ნარჩენებს. კარგი სასუქია. 23. წნეხი ანუ... 24. ძველ ეგვიპტეში ღვთაბრივი ხარი. 26. სრული „მთლიანი" მარცხი. 27. „სამი მუშკეტერი"-ს პერსონაჟი. 29. როკენ-როლის მეფე. 30. თვე. 31. ზოგ მუსულმანურ ქვეყანაში, მთავრის მმართველის ტიტული. 35. გ. დანელიას ფილმი. 36. ყვავის, ყორნის, ჭილყვავის და მისთ. ბარტყი. 37. ძალიან ცუდი ე.ი. ...

შვეულად: 1. ქალაქი ყაზახეთში. 2. სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის ჩვეულებრივი ოთხტაეპიანი ლექსი. 3. ერთგვარი კანფეტი. 4. სამკურნალო დეკორატიული მცენარე. 5. დახურული მსუბუქი ავტომობილის ტიპი, აქვს ორი ან სამი რიგი დასაჯდომები. 7. რადიოდადგმულობის ნაწილი — გამტარი ან გამტართა სისტემა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება რადიოტალღების გამოსხივება. 9. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი. 12. ვოინიჩის ნაწარმოები. 13. სახელმწიფო აზიაში. 15. წველადობაში რეკორდსმენი ძროხის სახელი. 16. სახელმწიფო აზიაში. 22. ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი. 25. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება. 28. ჰომეროსის ძველბერძნული ეპიკური პოემა. 31. ალ. ყაზბეგის ნაწარმოები. 32. სახელმწიფო აზიაში. 33. წონის ერთეული ზომათა მეტრულ სისტემაში, უდრის 1000 კილოგრამს. 34. ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი.

**3 დეკემბრის კროსვორდის პასუხები:**

**შვეულად: 1. ბასი; 2. ერდო; 3. დანტესი; 4. ხარი; 5. ეტნა; 7. ანდერძი; 9. ჰობი; 10. ელია; 14. მარტი; 15. იროდი; 16. თერძი; 17. რკალი; 18. ბის; 20. ათი; 24. არითმია; 25. ალია; 26. ბიჯი; 27. დავრიში; 32. ტროა; 33. აბბა; 34. საკე; 35. თორი.**

**თარაზულად: 3. დესაი; 6. არშია. 8. კანტი; 11. ვეტო; 12. ლარი; 13. ბემბი. 16. თერძი; 18. ბიმი; 19. ალია; 21. რკო; 22. რვა; 23. საგა; 26. ბედი; 28. კრინი; 29. ისინი; 30. ჰილი; 31. ჯავა; 36. კოლბა; 37. არაკი; 38. არამი.**

მოდა

# ამაო ბრძოლა დიზაინერებთან

**პარიზსა და ნიუ-იორკში ამ სეზონის ტრადიციული მოდის კვირეული დაიწყო, უკვე რამდენიმე ჩვენება გაიმართა და მთავარი მიმართულებებიც სწორედ ამ დეფილეებით გამოიკვეთა. კერძოდ, ელეგანტურობისა და სისადავის სიმბოლო შავი ფერი კვლავ აქტუალურია. ზოგიერთმა დიზაინერმა წარმოდგენილი კოლექციებით გარკვეული ირონიაც გამოხატა, მათი შემოქმედება თეატრალურ სანახაობას წააგავდა.**

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ცხოველების დამცველთა თავდაუზოგავმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ტანსაცმლის შესაქმნელად ბეწვეულისა და ტყავის გამოყენება საგრძნობლად შემცირდა, მაინც, ამ სეზონისთვის ბუნებრივი ბეწვი მოდის უკანასკნელი გამოძახილი გახლავთ.

კოლექციების ჩვენება XIX საუკუნის მეჯლისსაც მოგაგონებდათ, მოდელებს ეროტიკული ფანტაზიით შექმნილი კოსტიუმები ამშვენებდათ. თეატრალიზებულ სცენაზე თეატრალური მოდელებით წარსდგნენ **ემანუელ უნგარო, ჯონ გალიანო, კარლ ლაგერფილდი** და სხვები. განსხვავდებოდა **ალექსანდრ მაკუინის** კოლექცია, მან მაღალ მოდას უძვირფასესი, თვალისმომჭრელი და ამასთანავე, პრაქტიკული ბეწვეულის გრძელი და განიერი ქურქები შესთავაზა.

ამჯერად, მოდის კანონმდებლებმა უარი თქვეს ქალის მკაცრ, კონსერვატიულ პალტოებზე, სამაგიეროდ, მათ ბუნებრივი ბეწვით გაწყობილი ქურთუკები და პალტოები წარმოადგინეს.

მოდის სამყაროს კლასიკოსი დიზაინერი **ვალენტინო,** ამჯერადაც ჯიუტად იმეორებს — მაღალი მოდა თეატრი არ არის, ის ზღაპარია და არ უნდა დასრულდესო... სწორედ ზღაპრული სილამაზე და უზღვავი ფანტაზია გამოიხატა მის ზამთრის მოდელებში, ფერადი ბეწვისგან შექმნილი ქურთუკები და ქურქები პრაქტიკული თვალსაზრისითაც უბადლო გახლდათ.

ნიუ-იორკის მაღალი მოდის კვირეული, ამჟამად ერთ-ერთმა ყველაზე მოდურმა დიზაინერმა **იამამოტომ** ულამაზეს შოუდ გადააქცია. მან ჩვეული სიფაქიზითა და დახვეწილი გემოვნებით შეარჩია მსოფლიოს ცნობილი მანეკენები, რომელთაც მოდელების წარმოჩენა მიანდო. მის შემოქმედებაში, ძირითადად, სადა, კლასიკური სტილის, ამასთანავე, შავი და თეთრი ფერი დომინირებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა მოდელს მაღალქუსლიანი, მრგვალცხვირიანი და მაღალყელიანი ელეგანტური ჩექმა ამშვენებდა.

ასე რომ, ცხოველთა სამყაროს დამცველების თავდაუზოგავი ბრძოლა ამაოა. ურჩი დიზაინერები ჯიუტად ცდილობენ წარმატებული შემოქმედებისთვის კვლავ ბუნებრივი ბეწვი, ან ტყავი გამოიყენონ.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: ზამთრის უახლესი მოდელები.**









მკითხველის ფელეტონი

# ეს მატარებელი სამგზავროა თუ სატვირთო?

**ეს კითხვა, ალბათ არასოდეს დამებადებოდა, წლეულს 26 ნოემბერს ბორჯომიდან თბილისამდე მატარებლით რომ არ მემგზავრა. მემგზავრა კი არა, თავბედი რომ არ მეწყევლა.**

ვიცი, მეტყვით: შე კაიდედმამიშვილო, ამ „მარშრუტკების" ოხრობაში მატარებელში რამ აგიყვანაო. სწორედ მაგათმა შიშმა ამიყვანა. საღამოვდებოდა, ვიფიქრე, ამ „მარშრუტკებმა" (გიჟებივით დარბიან) ავარიას არსად გადამყარონ-მეთქი და მატარებლით გარანტირებული მგზავრობა ვარჩიე.

როგორ გაამართლა გარანტირებულმა მგზავრობამ, ამასაც გეტყვით. სალაროდან დავიწყებ: ბორჯომის სადგურში სალაროსთან რომ ვერავინ დავინახე, ელდა მეცა, ვიფიქრე, ყველა ბილეთი გაყიდულია-მეთქი, მაგრამ მოლარემ გამამხნევა, ბილეთების მეტი რა მაქვს, ოღონდ გირჩევ პირველ ვაგონში ახვიდეო. ვაგონში რომ შევყავი თავი, მივხვდი რატომაც მირჩია. აქ რამდენიმე ფანჯარა მაინც იყო მთელი, სხვა ვაგონებში კი — ერთიანად ჩამტვრეულ-ჩალეწილი. სკამებიც ისე იყო დამტვრეული, სადღაც კიდეზე ძლივს ჩამოვჯექი.

ახლა მგზავრობას არ იკითხავთ? მატარებელი ბორჯომიდან გრაფიკით საღამოს 5 საათზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ იმის გამო, რომ „ბორჯომის" ყუთებით იტვირთებოდა პირდაპირ სამგზავრო ვაგონებში, მთელი 20 წუთის დაგვიანებით დაიძრა. კი დაიძრა, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა — ხაშურამდე ვირის ურემივით მოღოღავდა და ყველა ბაქანზე „ბორჯომის" ახალ-ახალი ტვირთით სულ წელში იზნიქებოდა.

მატარებელში ნამდვილ მგზავრს იშვიათად დალანდავდით, ფაქტობრივად მას „ბორჯომის" გადამზიდავები მოყვებოდნენ. ფანჯრებიც ეტყობა იმიტომ იყო ჩამტვრეული, რომ ყუთები ადვილად შემოეზიდ-გაეზიდათ. რა მომსახურება, რის მომსახურება. ერთადერთი რაც „გვემსახურებოდა", ღია ფანჯრებიდან შემოჭრილი სუსხიანი ქარაშოტი იყო, რომელიც ძვალ-რბილში ერთიანად გვივლიდა. ტუალეტში სინათლე არ იყო და გაჭირვებული მგზავრები სურვილს გაჩერებების დროს სადმე მოფარებულ ადგილზე იკლავდნენ.

შეცივნული მგზავრები სულ ერთმანეთს ვეფარებოდით, მაგრამ „პრავადნიკმა" მაინც გამოარჩია უბილეთოები და ფულები დააყაჭვინა. უბილეთოები კი გაცილებით მეტნი იყვნენ მატარებელში, ვიდრე ბილეთიანები. თავად „პრავადნიკს", როგორც წესი, არც ფორმა ეცვა და არც ქუდი ეხურა.

ასეთ ყოფაში მოვაღწიეთ თბილისამდე, სადაც „ბორჯომის" გადამზიდაეებს, ამავე წყლის გადამყიდველების მთელი არმია დახვდა. ვერ გეტყვით, როგორია მათ შორის დაწესებული „ტაქსა", მაგრამ მატარებელი ბორჯომიდან თბილისამდე გასავლელ გზას რომ სამსაათნახევრის ნაცვლად ხუთსაათნახევარს მოუნდა, ამაზე პასუხს გნებავთ სასამართლოში ვაგებ.

მაგრამ ამ „კომფორტულ მგზავრობაზე" მეტად უფრო ის გამიკვირდა, ამას წინათ, რკინიგზის თავკაცმა ტელევიზორით გამოსვლისას რომ თქვა — მაგარ რეფორმას ვატარებთო. ამან უფრო შემაგულიანა, თორემ რედაქციაში ფელეტონის გამოგზავნას ალბათ ვერ გავბედავდი.

**ოტია ჩართოლანი,**
**ბორჯომი-თბილისი.**

მსახიობთა ცხოვრებიდან



საკუთარ ძალებში მტკიცედ დარწმუნებული და მუდამ შემართული აგენტი 007 — პირს ბროსნანი აპირებს გადაღებას „თომას კრაუნის აფერაში". ერთი შეხედვით, აქ საოცარი არაფერია, მაგრამ ფილმის პროდიუსერებს მიაჩნიათ, რომ მთავარმა გმირმა ეკრანზე ხორცი უნდა შეასხას 11 სექტემბრის მოვლენების შედეგად მორალურად დათრგუნული ადამიანის სახეს.

ისრაელში ორთოდოქსმა ებრაელებმა პროტესტი გამოუცხადეს სარა ჯესიკა-პარკერს: საპნის სარეკლამო პოსტერებზე იგი სისხლით მოსვრილია აღბეჭდილი. ორთოდოქსებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ბრეტელებიან კომბინაციას, საპონს და თვით ჯესიკას. მაგრამ კონფლიქტი ჩააცხრეს და ახლა სარეკლამო პოსტერზე აღბეჭდილია მსახიობი, რომელიც გრძელსახელოებიან კაბაშია გამოწყობილი.



**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

კვირეული

# ვინ უკეთ იცნობს ილიას?

**ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების თაოსნობით ილიასადმი მიძღვნილი კვირეული გაიმართა. იგი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 167-ე წლისთავს მიეძღვნა. კონკურსი-ვიქტორინის შედეგები ყვარლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შეჯამდა.**

ეს ტრადიციული ღონისძიებაა და იმართება თემაზე: „ვინ უკეთ იცნობს ილიას". მიზანი ნათელია, ახალგაზრდებისათვის ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ გაცნობა. იგი ორ ტურად ჩატარდა და მისმა მონაწილეებმა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს. ამ დღეს მოსწავლეებმა ილიას შემოქმედების თემაზე აგებული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციაც წარმოადგინეს.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების პერსონაჟების მიხედვით შექმნილი ბავშვთა ნახატების რაიონული გამოფენა სამხატვრო გალერეაში მოეწყო. მას წინ უძღოდა რაიონის სკოლებში გამართული ილიასადმი მიძღვნილი კვირეული, რომელიც მოიცავდა წრეობრივ მეცადინეობებს, საბიბლიოთეკო დღეს — „ვკითხულობთ ილიას", მოსწავლეთა ექსკურსიებს ილიას მუზეუმში და ა.შ.



ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სააქტო დარბაზში კი რაიონის პედაგოგიური საზოგადოება შეხვდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და კახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოს წარმომადგენლებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თემურ სამადაშვილმა ყვარლის რაიონის სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 60 მასწავლებელს საჩუქრად ილია ჭავჭავაძის ორტომეული და 50 ლარი გადასცა.

**ნათელა ფაილოძე.**



ძმა ვალიკო, ძმისწულები თამარ, გიორგი სიმონიშვილები, რძლები ნანა ვადაჭკორია, ნინო ჭიჭინაძე, სიძე გოჩა ბერიაშვილი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

უშანგი ილიას ძე
სიმონიშვილი

დაკრძალვა 7.XII. 13 სთ. სიღნაღი, ერეკლე მეორის 1.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს ვალიკო სიმონიშვილს ძმის

უშანგი სიმონიშვილის

გარდაცვალების გამო.

---



დედა ამალია, მეუღლე ლალი ელბაქიძე, შვილები ნინო, ნიკა, და ციური, ძმები ნოდარ, ვაჟა მათიაშვილები, რძლები ნანა ალხაზიშვილი, ნანა გირგვლიანი ოჯახებით, სიძე ვალოდია ჯაში ოჯახით, სიდედრი პელაგია ელბაქიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ მათიაშვილი

პანაშვიდი 5, 6 XII, 15 სთ. გამოსვენება 7 XII, 14 სთ. მისამართი პატარძეულის ქ. №5.

---

ირაკლი და ნიკა კვეზერლები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კახა წერეთელი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika